ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 2 სექტემბერი, 2013 | №207 (6208) | ფასი: 30 თეთრი

30 აგვისტოდან!
„ახალი თაობა“
+
ალექსანდრე მაკედონელი
8 ლარი




# „ივანიშვილი საპარლამენტო უმრავლესობას აღარ ენდობა“



გვ.5

## „კიდევ კარგი, ბურჯანაძე და მარგველაშვილი ერთმანეთს არ ერჩიან“



ვის და რატომ მოსწონს დავით ბაქრაძე გვ.4

## პრეზიდენტობის სურვილი უკვე 43-მა კაცმა გამოთქვა გვ.2



## „19 წელია, ამ ხეობაში მარტოდმარტო ვცხოვრობ“

გვ.3



## ნიკოლოზ მჟავანაძე: „გამგებლის გადაყენების მიზნით საკრებულოს წევრები დაათვრეს“

გვ.6



ლენტეხში ნაციონალები და რესპუბლიკელები დაძმობილდნენ

### ირაკლი სესიაშვილი: „სირიაში ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, საქართველოსთან მიმართებით პირდაპირი საფრთხეები არ ჩანს“ გვ.5



ISSN 1987-9385

**7** მოხუცმა ქალმა ადგილობრივი ხელისუფლება მარგველაშვილთან „ჩაუშვა“

**4** სექტემბრიდან პენსია იზრდება

**2** ფინანსთა უწყებამ სიგარეტის აქციზის გაძვირებაზე განცხადება გაავრცელა

**6** თელავში სტალინის ძეგლი გაიხსნა

# პრეზიდენტობის სურვილი უკვე 43-მა კაცმა გამოთქვა

შორენა გონგლაძე

**ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აგვისტოს ამავე უწყების ყოფილმა ხელმძღვანელმა ზურაბ ხარატიშვილმა საკუთარი კანდიდატურა წარადგინა 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.**





სააგენტო „სივილ.გე"-ს ინფორმაციით, ხარატიშვილის ოფიციალური წარმდგენია პაატა დავითაიას პარტია ევროპელი დემოკრატები. წარდგენას ასევე ესწრებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. ხარატიშვილი სწორედ ამ ორ პარტიასთან მართავს კონსულტაციებს მემარჯვენე პოლიტიკური ცენტრის შესაქმნელად მას შემდეგ, რაც მან პოლიტიკაში წასვლის მოტივით ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობა 12 აგვისტოს, არჩევნებამდე 11 კვირით ადრე დატოვა.

ამ დროისთვის ოფიციალურად პრეზიდენტობის ორი კანდიდატია რეგისტრირებული: ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მიხეილ სალუაშვილი.

სულ, 31 აგვისტოს მდგომარეობით, ცესკოში პრეზიდენტობის 43 მსურველის განაცხადია შესული, საიდანაც კანდიდატობის ოთხ პრეტენდენტს უკვე უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

37 კანდიდატობის მსურველი, მათ შორის მმართველი კოალიცია ქართული ოცნებიდან გიორგი მარგველაშვილი; ნაციონალური მოძრაობიდან დავით ბაქრაძე; დემოკრატიული მოძრაობიდან ნინო ბურჯანაძე; ხალხის პარტიის ლიდერი კობა დავითაშვილი, რომელმაც ცოტა ხნის წინ დატოვა მმართველი კოალიცია; ტრადიციონალისტების ლიდერი აკაკი ასათიანი და დამოუკიდებელი კანდიდატი ნესტან კირთაძე, ცესკოს გადაწყვეტილებას ელიან კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე. კანდიდატების რეგისტრაციაზე გადაწყვეტილება ცესკომ არა უგვიანეს 27 სექტემბრისა უნდა მიიღოს.

თუმცა, მანამდე შესაძლოა პრეზიდენტობის მსურველთა რაოდენობა კიდევ გაიზარდოს, ვინაიდან პოლიტიკურ პარტიებსა და საინიციატივო ჯგუფებს 7 სექტემბრამდე აქვთ ვადა, დაასახელონ თავიანთი საპრეზიდენტო კანდიდატები.

ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ მას სურს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა და ცესკოს შესაბამისი განაცხადით, სავარაუდოდ, ორშაბათს მიმართავს.

თუმცა ორმაგი მოქალაქეობის მქონე ზურაბიშვილის არჩევნებში მონაწილეობის საკითხი დავის საგანს წარმოადგენს კონსტიტუციაში არსებული ორი ნორმის გამო.

კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც „საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში".

საქართველოს კონსტიტუცია ასევე ამბობს, რომ პრეზიდენტის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

სალომე ზურაბიშვილმა, რომელსაც საფრანგეთისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქეობა აქვს, საქართველო 2010 წლის ნოემბერში დატოვა, როცა მან, როგორც ოპოზიციური პარტია საქართველოს გზის ლიდერმა, ქართული პოლიტიკიდან დროებით წასვლის შესახებ გადაწყვეტილება გამოაცხადა და ამავე პერიოდიდან მუშაობა დაიწყო გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ირანის საკითხებზე შექმნილი ჯგუფის ხელმძღვანელად.

ზურაბიშვილი, რომელიც უცხოელ დიპლომატებთან და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან შეხვედრებს მართავს, აცხადებს, რომ მას კონსტიტუცია კანდიდატად რეგისტრაციის შესაძლებლობას აძლევს, ვინაიდან ორმაგი მოქალაქეობის ამკრძალავი ნორმა უკვე არჩეულ პრეზიდენტზე ვრცელდება.

ცესკოში აცხადებენ, რომ გადაწყვეტილებას სალომე ზურაბიშვილის კანდიდატად რეგისტრაციაზე მას შემდეგ მიიღებენ, რაც შეისწავლიან იმ დოკუმენტაციას, რომელსაც ის საარჩევნო ადმინისტრაციაში წარადგენს. საპრეზიდენტო კანდიდატის რეგისტრაციას ცესკოს თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი წყვეტს.

თუმცა ამ ეტაპისთვის არსებობს ცესკოში მიღებული ორი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, მან 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის კანდიდატობის ორ მსურველს რეგისტრაციაზე უარი იმ მოტივით უთხრა, რომ მათ ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდათ. ცესკოს ეს პოზიცია სასამართლომაც დაადასტურა. სადამკვირვებლო ორგანიზაციამ „სამართლიანი არჩევნები" გააკრიტიკა ცესკოსა და სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, როგორც არასწორი. ორგანიზაციის მოსაზრებით, ორმაგი მოქალაქეობა პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციას ხელს არ უშლის.

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სალომე ზურაბიშვილისადმი ღია წერილში, რომელიც 29 აგვისტოს მას შემდეგ გამოქვეყნდა, რაც ზურაბიშვილმა მას საჯარო პოზიციის გამოხატვა სთხოვა საპრეზიდენტო არჩევნებში მის მონაწილეობასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ის ვერ გადაწყვეტს რაიმე გამონაკლისის დაშვებას და ვერ ჩაერევა სასამართლოს ან საარჩევნო კომისიების კომპეტენციაში შემავალი საკითხის გადაწყვეტაში.

„მესმის თქვენი შეშფოთება იმის გამო რომ გავრცელებული არაოფიციალური შეფასებებისა და ცესკოსა და სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით არსებობს სამართლებრივი ხასიათის კითხვები არჩევნებში თქვენი მონაწილეობის შესაძლებლობის თაობაზე, მაგრამ მე ვერ და არ ვიქნები სამართლის უმაღლესი ინსტანცია", – მიმართა ივანიშვილმა ზურაბიშვილს ღია წერილში, სადაც მას თავისი ინტერესების დაცვისთვის ბრძოლისკენ, ხოლო შესაბამის ორგანოებს მოუწოდა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელონ „მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციით, კანონებით და საკუთარი შინაგანი რწმენით".

იმავდროულად, საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია საკონსტიტუციო ცვლილება, რომლის თანახმადაც, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს შეეძლებათ დაიკავონ პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობები. ინიციატივის მიღება პარლამენტში საპრეზიდენტო არჩევნებამდე იგეგმება.

## მინისტრის მოადგილე სტიქიით დაზარალებულ რაიონებში გაემგზავრა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე შოთა მურღულია დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა. სამინისტროს ინფორმაციით, ის უხელმძღვანელებს სამუშაო ჯგუფს, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობების შესაბამის სამსახურებთან ერთად, მუნიციპალიტეტებისთვის სტიქიის მიერ მიყენებულ ზიანს დაითვლის.

სტიქიით მიყენებული ზარალის დათვლის შემდეგ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, მოამზადებს მთავრობის განკარგულებას და მუნიციპალიტეტები ინფრასტრუქტურის აღსადგენად საჭირო თანხას მიიღებენ.

შეგახსენებთ, რომ ძლიერმა წვიმამ ლანჩხუთისა და სენაკის რაიონები დააზარალა.

მედიანიუსი

## ფინანსთა უწყებამ სიგარეტის აქციზის გაძვირებაზე განცხადება გაავრცელა

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ თამბაქოს აქციზის ზრდაზე განცხადება გაავრცელა. როგორც მასშია აღნიშნული, მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან თამბაქოს ნაწარმზე აქციზის არსებული განაკვეთის ზრდა თანხვედრაშია თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის სამთავრობო კომისიის მიერ ინიცირებულ კომპლექსურ მიდგომასთან, რომელიც მიმართულია ქვეყანაში თამბაქოს კონტროლის გაძლიერების გრძელვადიანი სტრატეგიის შექმნისკენ და რომლის მიზანია, თამბაქოსგან გამოწვეული ჯანმრთელობისა და სოციალური ზიანის შემცირება, ასევე ქვეყნის მიახლოება თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციით გათვალისწინებულ რეგულაციებთან.

„აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების სხვადასხვა მექანიზმს შორის ერთ-ერთია თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადის მატება. საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-3 გრაფაში შესული ცვლილების თანახმად, ფილტრიანი სიგარეტებისათვის (ადგილობრივი და იმპორტირებული) აქციზის არსებული განაკვეთი იზრდება მხოლოდ 0.60-დან 0.75 ლარამდე, ხოლო უფილტრო სიგარეტისთვის – 0.15-დან 0.20 ლარამდე. შესაბამისად, აღნიშნული რეგულაციები არ არის გათვლილი ფისკალური ეფექტის მიღებაზე.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ თამბაქოს აქციზის განაკვეთის ზრდის შემდეგ კონტრაბანდის შესაძლო მატებასთან დაკავშირებული რისკები გაანალიზებულია და ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გაგრძელდება", –- ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებაში.

ამავე განცხადებით, რაც შეეხება სიგარეტის ფასის შესაძლო მატებას – თამბაქოს აქციზის განაკვეთის ზრდა უპირობოდ არ იწვევს საცალო გაყიდვებზე ფასის მატებას და მისი მოცულობა დამოკიდებულია ბაზარზე არსებულ ვითარებაზე.

მედიანიუსი

## უზენაეს სასამართლოსთან აქცია გაიმართა

უზენაეს სასამართლოსთან კოტე კუბლაშვილის გადადგომის მოთხოვნით აქცია გაიმართა. როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, უზენაესი სასმართლოს თავმჯდომარე სამართლიანობის აღდგენის პროცესს ხელს უშლის.

აქციის მონაწილეები მიმართავენ პარლამენტს, მალე დაიწყოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხი.

„ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, რომ პარლამენტმა და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები იმისათვის, რომ სახელმწიფო ტერორის ბურჯი სასამართლო ხელისუფლების სათავეში არ იყოს", – განაცხადა პატრიოტთა ალიანსის თავმჯდომარე სოსო მაჯნავიძემ.

ორგანიზატორები აქციების გაგრძელებას იქამდე გეგმავენ, სანამ კოტე კუბლაშვლი თანამდებობას არ დატოვებს.

მედიანიუსი

## შალვა ნათელაშვილი რუხთან ამომრჩევლებს შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი სამეგრელოში „სოფელ-სოფელ" პროგრამის ფარგლებში რუხის მონაკვეთზე ადგილობრივ და გალის რაიონის მოსახლეობას შეხვდა. ეს ის ტერიტორიაა, სადაც აფხაზეთთან ხელოვნური საზღვარი გადის.



შალვა ნათელაშვილმა აღუთქვა ამომრჩეველს, რომ მისი გაპრეზიდენტების შემდეგ აუცილებლად დაიწყება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და წაიშლება ყველა ხელოვნური საზღვარი ქართულ მიწაზე. ლეიბორისტების ლიდერმა გალელებს სთხოვა, „მოკითხვა გადაეცათ" ენგურს იქეთ მცხოვრები ყველა ადამიანისა და მთელი აფხაზეთისათვის.

მედიანიუსი

## ბაზა „ფენიქსზე" გაძლიერებული ოცეულის როტაცია განხორციელდა

ქაბულში, ბაზა „ფენიქსის" დაცვის ამოცანებს საქართველოს შეიარაღებული ძალების I ქვეითი ბრიგადის მე-13 მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ერთი გაძლიერებული ოცეული უზრუნველყოფას.

გაძლიერებული ოცეულის სამხედრო მოსამსახურეები ექვსი თვის განმავლობაში ბაზის შიდა და გარე პერიმეტრის პატრულირებას და ბაზის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა დავალებებს შეასრულებენ. სამშვიდობო ოცეულმა ავღანეთში მყოფი დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფების გაძლიერებულ ოცეული როტაციის წესით ჩაანაცვლა.

ოფიციალური გადაბარების ცერემონია ბაზა „ფენიქსზე" გაიმართა. ღონისძიებას საფრანგეთის, კანადის, პორტუგალიის, ბულგარეთის, რუმინეთი და იორდანიის უფროსი სამხედრო წარმომადგენლები და ქვედანაყოფის მეთაურები დაესწრნენ.

ცერემონიალზე ქართველ ჯარისკაცებს სიტყვით მიმართა პოლკოვნიკმა ალექსანდრე კიკნაძემ და პოლკოვნიკმა სილვესტერ ქენონმა, რომელმაც ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის გაძლიერებული სამშვიდობო მსუბუქი ქვეითი ოცეული ალაბამას შტატის პატივისცემის მედლებით დააჯილდოვა.

საერთაშორისო მისიაში მონაწილეობისთვის 13-ე ბატალიონის ოცეულის ჯარისკაცები ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში" ემზადებოდნენ. მათ სპეციალური სწავლება 8 კვირის განმავლობაში ტაქტიკურ და საცეცხლე მომზადებაში, ტოპოგრაფიაში, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენასა და ნავიგაციაში გაიარეს. სრული სპექტრის ოპერაციებისთვის I ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცებს ეროვნული სასწავლო ცენტრის ინსტრუქტორები ამზადებდნენ.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „19 წელია, ამ ხეობაში მარტოდმარტო ვცხოვრობ“

## რეპორტაჟი თრუსოს ხეობიდან

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს მშვენიერი ადგილები არ აკლია, თუმცა თრუსოს ხეობა თავისი სილამაზით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია. მინერალური წყლებითა და ბუნების საოცარი ძეგლებით მდიდარი ხეობა ყოველთვის იზიდავდა ტურისტებს. რამდენიმე წლის წინ კი ის პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრში მოექცა. ავადსახსენებელი აგვისტოს ომის შემდეგ ედუარდ კოკოითიმ განაცხადა, რომ მალე სამხრეთ ოსეთს თრუსოს ხეობასაც მიუერთებდა. დანაპირები ვერ აასრულა. რამდენიმე დღის წინ რუსული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისთვის რამდენიმე დღეც რომ ეცალათ, ამ ხეობასაც მიიერთებდა.**



ამ ხეობის ცხინვალისთვის მიერთებაზე არც რუსები იტყოდნენ უარს. თრუსოს ხეობის ნაწილი ჯავის რაიონს ესაზღვრება, მეორე ნაწილი კი – ჩრდილოეთ ოსეთს. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხეობის დაკავებას მოახერხებდნენ, თავისუფლად შეძლებდნენ, ყაზბეგის რაიონი დანარჩენი საქართველოსგან მოეწყვიტათ.

დღეისათვის მშვენიერი თრუსოს ხეობა, ფაქტობრივად, დაცლილია. ულამაზესი სოფლები ნასოფლარებად არის ქცეული. თითქმის ყველა სოფელში დგას კოშკები თუ სალოცავები. ხეობის ცენტრში მთავარანგელოზის სახელობის მონასტერი დგას. ეს მონასტერი მეათე საუკუნით თარიღდება. ახლა აქ მამათა მონასტერი შენდება. სასულიერო პირები ახლო მომავალში შეუდგებიან აქ მოღვაწეობას.

სოფლების განლაგება ძირითადად ხეობის მარცხენა მხარესაა. სოფლის სახელებია: მნა, ნოგყაუ, ოქროყანა, კეტრისი, აბანო, ზაქათგორი, დესი, სუატისი, ყარატყაუ, ბურმასიკი, ცოცოლთა, გიმარა, ტეფი, რესი. თითქმის ყველა სოფელში შემორჩენილია ციხე-კოშკები.

თრუსოს ხეობა კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე, კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედსა და ხოხის ქედს შორის, უღელტეხილ თრუსოდან სოფელ კობამდე მდებარეობს. ხეობის უდაბლესი ნაწილი 2000 მ-ზეა.

ხეობაში თითქმის არ არის ხემცენარეულობა. შემოსილია სუბალპური და ალპური ბალახეულით. სოფელ კობამდე მისვლა საქართველოს სამხედრო გზით შეიძლება, იქიდან ხეობაში შედის გრუნტის გზა, რომელზეც გადაადგილება მხოლოდ ორხიდიანი მანქანით არის შესაძლებელი.

ხეობაში ბოლომდე შესვლას მაინც ვერ შეძლებთ. იქ დღეისათვის ჩვენი მესაზღვრეები დგანან და სოფელ კეტრისის იქით არავის არ უშვებენ. გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ სასაზღვრო დეპარტამენტი მოგცემს საშვს.

ტურისტები ხეობას დღესაც აქტიურად ეტანებიან. სანახავი აქ მრავლად არის. თითქმის ყველა სოფელშია ძველი ციხე-კოშკები და ეკლესიის ნანგრევები. შემაღლებულ ადგილებზე თავს იწონებენ სალოცავები.

ეს ხეობა ძირითადად ოსებით ყოფილა დასახლებული, თუმცა მათ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მიატოვეს იქაურობა და თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლდნენ. გასული საუკუნის ბოლოსთვის კი ხეობა თითქმის მთლიანად დაიცალა. ძველი მობინადრეები ახლა მხოლოდ ზაფხულობით ამოდიან. როგორც აქაურებმა გვითხრეს, დახედავენ სახლებს, უფრო სწორად, ნასახლარებს და უკან დაბრუნდებიან. ამ სახლებში ცხოვრება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

### მარტოობის ბინადარი

მართალია, თრუსოს ხეობა ულამაზესია, მაგრამ იქ ცხოვრება ძალიან რთულია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ხეობის უდაბლესი წერტილი 2000 მეტრია. ხეობაში არ არის ბუნებრივი აირი და, ალბათ, ამიტომაც დატოვეს თავის დროზე ხეობა აქაურებმა.

დაცლილი ნასოფლარები და დანგრეულ-გაძარცვული სახლები მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს ყველაფერი განსაკუთრებით მძიმე სანახავია ზამთარში, როცა აქ მხოლოდ სიჩუმე ხმაურობს.

აქ გამეფებულ შემზარავ სიმყუდროვეს ხეობის ერთადერთი ბინადარი სიმა ბიდიხოვა არღვევს. ის 19 წელია, რაც მარტოდმარტო ცხოვრობს სოფელ ოქროყანაში. სხვათა შორის სწორედ ამ სოფელში დაიბადა გენიალური ქართველი მხატვარი ლადო გუდიაშვილი.

ოქროყანაშია გადაღებული მხატვრული ფილმი „ფატიმა“. გადაღებები გუდიევების სახლში მიმდინარეობდა. ამ სახლის პატრონები ქვისმთლელები იყვნენ და მდიდრული სახლი ჰქონდათ. ახლა ეს სახლიც ნასახლარად არის ქცეული. სხვა სახლების მსგავსად ისიც დარბეული და გაძარცვულია.

სოფელში სახლების ნაწილს სახურავები აღარ აქვთ. კედლები გაბზარულია. ამ სოფლის სიახლოვეს ქვის მოპოვება ხდება და ხშირად აფეთქებენ კლდეებს. ეს კი ისედაც დაზიანებულ სახლებს კიდევ უფრო აზიანებს.

სიმა ნადიხოვას სახლიც სერიოზულად არის დაზიანებული. აქ ცხოვრება თითქმის შეუძლებელია. სიმასაც ძალიან უჭირს აქ გაძლება, მაგრამ უძლებს.

– ძლიერი ადამიანი ვარ და ღმერთის მჯერა. ამიტომაც გავძელი აქ მარტომ ამდენი ხანი. სხვა ჩემს ადგილას ამდენს ვერ გაუძლებდა, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში სიმა ბიდიხოვამ.

ხეობის დიასახლისი სოფლის განაპირას ქვაზე ჩამომჯდარი ვნახეთ. ხეობაში ქვას მოიპოვებენ და სიმა ამ პროცესს აკვირდებოდა. ჩვენს გამოჩენას სიხარულით შეხვდა. სიმა 60 წლის არის, მაგრამ ბევრად უფროსს ჰგავს. ასეთ მძიმე პირობებში ცხოვრება ადამიანს დაღს მალე ასვამს.

სიმა ბიდიხოვას საქონელი არ ჰყავს. მას კარტოფილი მოჰყავს და ამით გააქვს თავი. ხშირად ეხმარება ეკლესია. დახმარებაზე უარს არც ჩვენი მესაზღვრეები ეუბნებიან.

– არც კი ვიცი, როგორ ვცხოვრობ, მთლიანად ღმერთის იმედზე ვარ. ღმერთი მაძლევს ყველაფერს. მეხმარებიან სასულიერო პირები. დახმარების ხელი მესაზღვრეებმაც გამომიწოდეს. როცა რამე მჭირდება, მათ მივმართავ და ისინიც მეხმარებიან. შარშან და შარშანწინ მათ მომიტანეს შეშა. აქ ბუნებრივი აირი არ არის და რაღაცით ხომ უნდა გავთბე, – ამბობს სიმა ბიდიხოვა.

სანამ ხეობა დაიცლებოდა, აქ ელექტროენერგია სოფლებს ჩვეულებრივ მიეწოდებოდა. მერე ყველაფერი გაოხრდა. აღარც დენი იყო და რამდენიმე წელი სიმამ სრულ სიბნელეში გაატარა.

– ახლა უდენობას აღარ ვუჩივი. კეთილმა ადამიანებმა გააკეთეს ისე, რომ დღეს ჩემს სახლში არის ელექტროენერგია, – გვეუბნება ხეობის ერთადერთი მუდმივი მკვიდრი.

ადრე სიმა ვლადიკავკაზში ცხოვრობდა, ხეობაში მშობლებთან ამოდიოდა ხოლმე. 19 წლის წინ დედა გაუხდა ავად და აქეთ გადმოვიდა საცხოვრებლად.

– 19 წლის წინ ჩამოვედი ოქროყანაში. დედა ჩავარდა ლოგინად და მისთვის უნდა მიმეხედა. დედა გარდაიცვალა, მე კი აქაურობას შემოვრჩი. თავიდან გამიჭირდა, მერე ნელ-ნელა შევეგუე. ახლა საზღვარი გახსნილია და ჩემი ძმაც მაკითხავს ხოლმე. რითიც შეუძლია, მეხმარება. ის ვლადიკავკაზში, ბამზე ცხოვრობს. მასთან წასვლა არ მინდა, რადგანაც თავისი ოჯახი ჰყავს და მგონია, შევაწუხებ, – სევდიანად გვიყვება თავის ამბავს სიმა.

სიმა ბიდიხოვას ჯერ საპენსიო ასაკისთვის არ მიუღწევია. ამის გამო ის პენსიას ვერ იღებს. მას არც სოციალური დახმარება აქვს დანიშნული. მისთვის ვერც ძველმა ხელისუფლებამ მოიცალა და ვერც ახალმა. არადა, სიმას ისტორია მთელმა რაიონმა იცის. მის შესახებ ჩემმა კოლეგებმაც მოამზადეს რამდენიმე სიუჟეტი. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ მისთვის ვერ მოიცალა. არადა, ის ხეობის ერთადერთი ბინადარია და დახმარებას ნამდვილად იმსახურებს. თავად სიმა ხელისუფლებისთვის დახმარების თხოვნას არ აპირებს.

– ვის ვთხოვო დახმარება? პენსია ჯერ არ მეკუთვნის, სოციალურ დახმარებას მე არავინ მაძლევს. არადა, მთელმა რაიონმა იცის ჩემი ამბავი. ხელისუფლებამ იცის, რა პირობებში ვცხოვრობ, მაგრამ ჯერ ვერ მოიცალეს ჩემთვის. ძირითადად ახლობლები მეხმარებიან. გაზის ბალონს მიტენიან და პროდუქტებსაც მიტოვებენ. მეხმარება ეკლესიაც, ასე გამაქვს თავი, – აღნიშნავს ბიდიხოვა.

მას არც სახლის შეკეთებაში ეხმარება ვინმე. არადა, მისი სახლი დანგრევის პირასაა. როგორც თავად გვითხრა, მისი საცხოვრებელი კლდის აფეთქების შედეგად დაზიანდა. საშინელ დღეშია სახურავიც. სახლში ყოველი წვიმის დროს წყალი ჩადის. სიმას სახლის აღდგენის არც თავი აქვს და არც შესაძლებლობა. ის სტიქიას პოლიეთილენის დახმარებით ებრძვის.

– ხელისუფლებას მხოლოდ ერთი რამე ვთხოვე, ვთხოვე, დაზიანებული სახლის აღდგენაში დამხმარებოდნენ. მე ამის გაკეთების არც თავი მაქვს და არც შესაძლებლობა. სამწუხაროდ, არავინ დამხმარებია. ნახევრად დანგრეულ სახლში მიწევს ცხოვრება. ჩემი სახლის გარდა, სოფელში სხვა სახლებიც დაინგრა. რამდენიმე წლის წინ რამდენიმეტონიანი კლდე ააფეთქეს და მაშინ დაზიანდა ეს სახლებიც, – გვიყვება სიმა და ხელით გვაჩვენებს დანგრეულ სახლებს.

მარტოობის ბინადრის უსაფრთხოებას ერთი ძაღლი იცავს. როგორც სიმამ გვითხრა, ზოგჯერ მასთან რამდენიმე ძაღლი აფარებს თავს.

– ისინი მდარაჯობენ და არ მეშინია. ადრე უფრო საშიში იყო აქ ყოფნა. ახლა აქვე ახლოს დგანან მესაზღვრეები. თუ რამე მოხდა, აუცილებლად დამეხმარებიან. ისე, არაფრის არ მეშინია. მე ღმერთის იმედად ვარ, – განაცხადა სიმა ბიდიხოვამ.

მასთან კიდევ კარგა ხანს ვისაუბრეთ, სახლშიც მიგვიპატიჟა, ყავას დაგალევინებთო.

ოქროყანიან რამდენიმე კილომეტრში მესაზღვრეები დგანან. მეორე საგუშაგო ხეობის სიღრმეშია. ხეობის სიღრმეში სხვა გზით გვიწევს წასვლა. ძველი გზით გადაადგილება შეუძლებელია. ხიდია დანგრეული და არავინ იცის, როდის აღდგება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მესაზღვრეები თრუსოს ხეობაში, სოფელ კეტრისს იქით შესვლას კრძალავენ. გამონაკლისი არც ტურისტებზე და არც ჟურნალისტებზე არ დაიშვება.

როგორც ადგილობრივებმა გვითხრეს, მესაზღვრეები ტურისტებს ხეობაში გაჩერების უფლებას მხოლოდ 4 დღით აძლევენ. კეტრისის იქით გადასვლას ვერც მწყემსები ახერხებენ. მწყემსებს აქ ზაფხულობით ცხვარი და საქონელი აჰყავთ. მართალია, ისინი მესაზღვრეებთან კოაბიტაციაში არიან, მაგრამ კეტრისის იქით ფეხს მაინც ვერავინ გადაადგამს.

### თრუსოს ტრავერტინები განადგურების პირასაა

ხეობის სიღრმეში სიმა ბიდიხოვას ნასწავლი გრუნტის გზით შევდივართ. ეს გრუნტის გზა 1985 წელს გაუკეთებიათ. მართალია, რთული გზაა, მაგრამ ულამაზესი სანახაობა იშლება წინ და ღირს ამის ხათრით ამ რთული მონაკვეთის გავლა.

კეტრისის სიახლოვეს მდებარე ტრავერტინების ველსაც შევავლეთ თვალი, თუმცა აბანოს ცნობილი ტბის მონახულება ვერ შევძელით. იქ მესაზღვრეები არავის უშვებენ. არადა, ამ ადგილას მოხვედრა ბევრ მომლოცველს სურს.

რამდენიმე წლის წინ აქ პატრიარქის კურთხევით გაიხსნა მამა იოსებ მოხევის საფლავი. მამა იოსები მეცხრამეტე საუკუნეში აწამეს, მისი სხეული და გული უხრწნელი აღმოჩნდა.

ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რა ვითარებაში მოკლეს იოსებ მოხევე. იოსებ მოხევის თავის ქალა შავი ფერისაა, გოგირდის წყლების ბრალია, რომელიც აქ მრავლად მოიპოვება. გარდაცვლილ სასულიერო პირს სახეზე ორი ჭრილობა აქვს მიყენებული. თვალში ხიშტი აქვს ჩარტყმული, ხოლო პირში ნასროლი აქვს ტყვია.

ამავე სოფელშია ეკლესიის ნანგრევებიც. სწორედ ამ ეკლესიაში მოღვაწეობდა მამა იოსები და, როგორც გადმოცემით არის ცნობილი, მამა იოსები სწორედ ეკლესიაში მოკლეს.

საფლავის გახსნის შემდეგ აქ მოხვედრის სურვილი ბევრს გაუჩნდა, მაგრამ შეღავათები არავისზე არ ვრცელდება. გამონაკლისს მხოლოდ სასულიერო პირები წარმოადგენენ.

სოფელ აბანოში, როგორც უკვე გითხარით, არის ბუყბუყა ტბა, რომელიც უამრავ ტურისტს იზიდავდა. ტურისტები არც 20 ჰექტარზე გადაჭიმულ ე.წ. ტრავერტინების ველს აკლდა. ვარდისფერი, აგურისფერი და წითელი ტრავერტინები მართლაც საოცარი სანახავია, თუმცა ძალიან მალე ისინი, შესაძლოა, საერთოდ გაქრეს.

ალბათ, ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ აქ ნახშირმჟავა აირის მოიპოვებენ და სპეციალური ჭაბურღილებიც გააკეთეს. სწორედ ეს ჭაბურღილები იწვევს ტრავერტინების გაქრობას.

დღეისათვის ჭაბურღილი არ ფუნქციონირებს. მისი ფუნქციონირება 5 წლის წინ შეწყდა. შარშანდელ არჩევნებში ნაციონალებს რომ გაემარჯვათ ეს ჭაბურღილი აუცილებლად ამოქმედდებოდა. ნახშირმჟავა აირის მოპოვებას ერთ-ერთი ფირმა აპირებდა, რომლის მფლობელები ყაზბეგის ყოფილი გამგებელი გოჩა მალანიას ვაჟი და ნაციონალებთან დაახლოებული ბიზნესმენი თემურ უგულავა არიან.

ამ ფირმამ 8 წლის წინ მიიღო თრუსოს ხეობაში ნახშირმჟავა აირის მოპოვების 25-წლიანი ლიცენზია. ნახშირმჟავა აირი გაზირებული სითხის სახით საგანგებო ჭურჭელში უნდა ჩამოესხათ, თუმცა არ დასცალდათ. 3 წელიწადში მათ ლიცენზია გაუუქმეს. ეს გადაწყვეტილება სასამართლო დავის საგანიც გახდა. ლიცენზია ფირმამ გასულ წელს დაიბრუნა. ისინი შარშანვე გეგმავდნენ ნახშირმჟავა აირის მოპოვებას, მაგრამ არჩევნებმა მათი გეგმები ჩაშალა.

ახლა იქ ნახშირმჟავა აირი არ მოიპოვება, თუმცა ეს ტრავერტინების ველისთვის დიდი შეღავათი არ გახლავთ. თრუსოში ნახშირმჟავა აირის მომპოვებელი ჭაბურღილი ახლაც დგას. წყალთან ერთად ამოსული ნახშირორჟანგი აირი წყლისგან იქვე მდებარე რეზერვუარებში უნდა განცალკევებულიყო და მილსადენით გადაქაჩულიყო ქარხანაში. ეს ქარხანა სოფელ კობის სიახლოვეს უნდა აეშენებინათ.

დღეისათვის ტრავერტინების თავზე ფუნქციადაკარგული ჭაბურღილიდან წყალთან ერთად ამოსული ნახშირორჟანგი ამ დროისთვის ჰაერში უმიზნოდ იფანტება. ტრავერტინები კი ნელ-ნელა ფერს კარგავს.

როგორც ადგილობრივებმა გვითხრეს, თავის დროზე თრუსოს ტრავერტინებიც და აბანოს ბუყბუყა ტბაც ბუნების ძეგლის სტატუსით სარგებლობდა. ისინი საბჭოთა „წითელ წიგნშიც“ შეუტანიათ.

ამ ღირსშესანიშნაობებმა ბუნების ძეგლების სტატუსი 17-18 წლის წინ დაკარგეს, ცოტა ხნის წინ კი ისევ დაიბრუნეს. აქედან გამომდინარე, იქ ნახშირმჟავა აირის მოპოვება უნდა შეწყდეს.

თუმცა, როგორც ცნობილი ხდება, აქ ისევ აპირებენ ნახშირმჟავა აირის მოპოვებას. ეტყობა, რომ არც ახალ ხელისუფლებას ადარდებს ტრავერტინები. ეს ამ ზაფხულსაც ნათლად გამოჩნდა. როცა სამხედრო გზის რეაბილიტაციისას ერთ წამში გაანადგურეს ტრავერტინები. ამას დიდი მღელვარება მოჰყვა, მაგრამ ტრავერტინებს არაფერი ეშველათ.

იმედი ვიქონიოთ, რომ თრუსოს ხეობაში მაინც დაინდობენ ტრავერტინებს. მათ ისედაც ეკარგებათ ფერი. როგორც გეოლოგები განმარტავენ, ჭაბურღილები დაილუქება, ტრავერტინები ძველ ფერს დაიბრუნებს და ისევ ისეთი ლამაზი სანახავი იქნება. სილამაზე მათ არც ახლა აკლია, მაგრამ, როგორც ამბობენ, მაშინ სულ სხვა იყო.

ასე დავტოვეთ თრუსოს ხეობა. ამ სილამაზემ მაინც ვერ გადაფარა ის მძიმე განწყობა, რაც ამდენი ნასოფლარის ნახვამ გამოიწვია. აქეთა გზაზე ისევ გავხედეთ დაცარიელებულ ოქროყანას. ხეობის ერთადერთი ბინადარი არსად ჩანდა. ეტყობა, სახლში იყო შესული.

ძველ ხელისუფლებას სიმა ბიდიხოვას დასახმარებლად არაფერი გაუკეთებია. სამწუხაროდ, არც ახალი ხელისუფლება აკეთებს რამეს. არადა, ეს ადამიანი ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას. ის ნამდვილად ჩვენი დროის გმირია. გმირები კი საკადრის მოპყრობას იმსახურებენ.

და კიდევ ერთი: თრუსოს ხეობის მონახულება შესანიშნავი ოჯახის, ნანა ფირანიშვილისა და სოსო სუჯაშვილის დახმარებით შევძელით, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით.

# „კიდევ კარგი, ბურჯანაძე და მარგველაშვილი ერთმანეთს არ ერჩიან“

## ვის და რატომ მოსწონს დავით ბაქრაძე

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილთან



***– ბატონო სოსო, მართალია ეს ზაფხული გრილი აღმოჩნდა, მაგრამ წინ პოლიტიკურად ცხელი შემოდგომა გველის. როგორია თქვენი შეფასებები განვლილი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან დღემდე? საუბარია, რომ საზოგადოებაში იმედგაცრუება უფრო დიდი იყო, ვიდრე იმ მოლოდინის შესრულება, რასაც ახალი ხელისუფლება გვპირდებოდა...***

– თავისთავად ოცნება უკიდეგანო ცნებაა. ამიტომ ვიდრე რაიმე ოცნება ასრულდება, მეოცნებე ადამიანებს უკვე სამი-ოთხი ახალი ოცნება უჩნდებათ. შესაძლოა ამის ბრალია, რომ ბევრმა ჩვენგანმა მიივიწყა, თუ რა ხდებოდა ერთი წლის წინ და ჩათვალა, რომ ეს უკვე შორეული წარსულია და მათ აღარ ეხებათ. სამწუხაროდ, რეალობა სხვაგვარია, დამდგომ ოქტომბერს, იმავე ადამიანებს, რომლებმაც შარშან, ოქტომბერში იზეიმეს გამარჯვება, კვლავ მოუწევთ დამტკიცება იმისა, თუ რატომ შეიცვალა ხელისუფლება ქვეყანაში. ცხადია, არგუმენტები შეიძლება მოიძიონ მათაც, ვინც კრიტიკულად აფასებს განვლილ წელიწადს, მაგრამ ფაქტია, რომ ნაციონალური მოძრაობა ვეღარ ახორციელებს თავის სადისტური ჟინის გამოხატვას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. თუმცა იგი არსად გამქრალა, მას კვლავ აქვს სურვილი და გეგმებიც, რომ კვლავ დაიპყროს ყველა სადავე ქვეყანაში. მათ არ აკმაყოფილებთ ის გავლენები, რომელიც შეინარჩუნეს თითქოსდა ოპოზიციონერი პარტიის პირობებში და მოგვევლინნენ მეორე რეალურ ხელისუფლებად ქვეყანაში.

***– იმდენ ბერკეტს ფლობენ, რომ განა შესაძლებელია მათ ოპოზიცია ვუწოდოთ?***

– რასაკვირველია, ნაციონალური მოძრაობა თავის თავს ოპოზიციურ პარტიას რომ უწოდებს, ეს უპირველეს ყოვლისა, არის შეურაცხყოფა თავად ტერმინის და ყველა სხვა ოპოზიციური პოლიტიკური ძალის, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. ახლა რისი ოცნება ჰქონდა, რა აუსრულდა და არა, ეს ინდივიდუალურად თითოეული მოქალაქის გადასაწყვეტია. რასაკვირველია, სერიოზული ზიანი მიაყენა დღევანდელ ხელისუფლებას, ჩემი აზრით, წინდაუხედავად გადადგმულმა, ნაჩქარევმა ნაბიჯმა, რომელსაც არისტოკრატულ სამყაროში ეძახიან კოაბიტაციას. ნათქვამი კი არის, ერთ საშუალებას კიდევ ვცდი, ეშმაკს დავუწყებ ვედრებასო, მაგრამ სავედრებელი ნამდვილად არაფერი ჰქონია ქართულ ოცნებას ნაციონალურ მოძრაობასთან. თუმცა როგორც ჩანს, მათ დასავლელ მხარდამჭერებთან სურდა რა შეენარჩუნებინა სავალი გზა, სწორედ ამ მიზეზით მოხდა საქართველოს მოქალაქეების დიდი უმრავლესობისთვის გაუგებარი სირბილე იმ პოლიტიკური ძალის მიმართ, რომელმაც პრაქტიკულად ღირსება აყარა მთლიანად სახელმწიფოს და მის მოსახლეობას, განვლილი წლების განმავლობაში. ახლა უშეცდომო არავინ არის, მაგრამ ჩემი აზრით, ნაციონალური მოძრაობის დანაშაულობებსა და ქართული ოცნების შეცდომებს შორის, მკაფიოდ უნდა შევძლოთ ზღვრის დადება. რასაკვირველია, შეიძლებოდა უფრო ეფექტური მენეჯმენტის პირობებში უკეთესი შედეგების მიღება, მაგრამ მოგეხსენებათ, ირგვლივ, პრაქტიკულად ყველა სფეროში იმდენი ნეგატიური პროცესები მიმდინარეობდა წლების განმავლობაში, რომ ერთბაშად ამის დაძლევა შეუძლებელი გახდა იმ პოლიტიკური გუნდის მიერ, რომელსაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში ეფექტური საქმიანობის გამოცდილება არ გააჩნდათ. მოდით, ჩავთვალოთ, რომ 2013 წელი იყო გარკვეული თრეინინგი ახალი ხელისულფების და მზადება უფრო სერიოზული ნაბიჯებისთვის. ეს ხდებოდა იმ ფონზე, როდესაც ნაციონალური მოძრაობა აკონტროლებდა და დღესაც აკონტროლებს ქვეყანაში სასამართლო სისტემას, საბანკო სისტემას, დიპლომატიური წრეების დიდ ნაწილს საზღვარგარეთ, ადგილობრივი ხელისუფლების სოლიდურ ნაწილს, ფინანსური კონტროლის ინსტიტუტებს და ასე შემდეგ. ასეთ პირობებში, რაც არ უნდა ვარსკვლავთბიჭუნებით და მზეთუნახავებით დაკომპლექტებული ყოფილიყო ქართული ოცნების მმართველი ძალა, რასაკვირველია, შედეგი გაჭირდებოდა. ხოლო ის, რაც ხდება ეკონომიკურ სივრცეში, ეს პირდაპირი შედეგია იმ საბოტაჟისა, რაც გეგმაზომიერად განავითარა ნაციონალურმა მოძრაობამ და გამოიხატება ყოველდღიურ გამოსვლებში ქვეყნის პრეზიდენტისა, რომელიც არ იშურებს არანაირ ნეგატიურ ეპითეტებს და ცილისმწამებლურ განცხადებებს, როგორც ქვეყანაში არსებული რეალობის, ასევე მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ. ცხადია, ბიზნესი ასეთ პირობებში ჩაყვინთავს სიღრმეში და ამოყვინთავს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისთვის სანდო გარემო იქნება ქვეყანაში. ასეთი სანდოობა კი შეიძლება ეწვიოს საქართველოს ეკონომიკურ სივრცეს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ელიტარული კორუფციისა და სახელმწიფო რეკეტის მამამთავრები მოძიებულ იქნებიან საზღვარგარეთ და დასჯილი საქართველოს ციხეების მკვიდრად დაფუძნებულნი.

***– ნაციონალებს რაც შეეხებათ, საზოგადოებაში მატულობს ის შიშები, რომ ძალა, რომელიც რევანშისთვის ემზადებოდა მთელი ათი თვე, ნელ-ნელა ხელისუფლებაში დაბრუნებას იწყებს. თუნდაც იგივე გამგებლების დონეზე, ოცნების კანდიდატებს კვლავ ნაციონალები ანაცვლებენ. რა ხდება, ბატონო სოსო, და ამ პროცესებს როგორ აფასებთ?***

– რასაკვირველია, აქტიურობის ხარისხი იყო და რჩება უფრო მაღალი ნაციონალური მოძრაობისა, ვიდრე ქართული ოცნების. ამას გარკვეული ლოგიკა გააჩნია, რადგან სიკეთის კეთება, კონსტრუქციული ნაბიჯების გადადგმა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე მავნებლობა და ცილისწამება. თავად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა საკმაოდ გამოცდილია, როგორც ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო. აი, სწორედ ის 9-წლიანი ჭირი, რომელიც მოვიხადეთ, ამდიდრებს ცნობიერებას ჩვენი მოსახლეობისა და ვფიქრობ, რომ დამდგომი ოქტომბერი იქნება იმ პოლიტიკური პაექრობის მეორე ტაიმი, რომლის პირველი ტაიმი შარშან ოქტომბერში ქართული ოცნების გამარჯვებით დამთავრდა. შეძლებს თუ არა ჩვენი მოსახლეობა ამ ორტაიმიანი ბრძოლის იმავე ხერხით მოგებას, ეს თავად ამომრჩეველზეა დამოკიდებული. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლება გულხელდაკრეფილი თუ იქნა არჩევნების დღემდე, მისი მხარდამჭერი იმდენივე იყოს, როგორც შარშანდელ ოქტომბერში.

***– ბატონო სოსო, რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს და წარმოდგენილ კანდიდატებს, ვხედავთ, რომ ამ დროისთვის სია საკმაოდ გრძელია, თუმცა სერიოზული პაექრობა და დაპირისპირება, ვხედავთ, რომ ნინო ბურჯანაძის მომხრეებსა და გიორგი მარგველაშვილის მომხრეებს შორის მიდის. როგორ აფასებთ თქვენ მათ შანსებს?***

– გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი საუბრისას უკვე 43 კანდიდატია ცნობილი ცსკ-ოსთვის, რომელსაც სურს ქვეყნის პრეზიდენტობა, მერწმუნეთ, ეს ფაქტი იწვევს სერიოზულ გაოცებას საერთაშორისო ჟურნალისტურ წრეებში. არაერთი მედიასაშუალება მიკავშირდება საზღვარგარეთიდან იმის გასარკვევად, თუ რა ხდება ამ მიმართულებით ქვეყანაში? მე ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი მაქვს – იქნებოდა ბევრად უფრო ნაკლები კანდიდატი, თუ ქართული კანონმდებლობა, პრეზიდენტობის მსურველთაგან მოითხოვდა ჯანმრთელობის ცნობას. ვინაიდან ასეთი მოთხოვნა არა აქვს ჩვენს კანონმდებლობას, რატომაც არა, იქნება 100, 150 კანდიდატი... ჯერ ერთი, იუმორის გრძნობა განვითარებულია ქვეყანაში, მერე, დაუსაქმებლები ცდილობენ, დროებითი სამსახური მაინც მონახონ. ტელევიზიაში თუ გამოჩნდები, შეიძლება საერთოდ შეგეცვალოს ბედი – ასეთია წარმოდგენა უმრავლესობის, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რომ ყველა კანდიდატს თავად მოუვიდა თავში ეს სურვილი. ნამდვილად მეგულება ზოგიერთი ფსევდოპოლიტიკოსი, რომელიც საშინაო დავალების ფორმით, შესაძლოა იძულებით, ან რაიმე სიკეთის დაპირებებით, არ თაკილობს, გავიდეს 32-ე, 38-ე და საერთოდ მე-60 ადგილზე, ანუ თავმოყვარეობის დეფიციტი სახეზეა. აი, სულ ახალი მაგალითი, ჩემი აზრით, გახლავთ ბატონი ხარატიშვილის გამოჩენა პრეზიდენტობის კანდიდატად. წლების განმავლობაში მას აზრად არ მოსვლია ასეთი რამ და დარწმუნებული ვარ, არც ახლაა ეს მისი ინიციატივა. თუნდაც მისი ნაღვლიანი გამომეტყველება გვარწმუნებს ამაში. ასევე გამიჭირდება დაჯერება, რომ მისი მხარდამჭერი ე.წ. ორი პოლიტიკური ძალა, თვითონ იყოს ინიციატორი ამ ადამიანის მხარდაჭერისა. ყველაზე უფრო მეტი გული იმაზე მწყდება, რომ ცხონებული გია ჭანტურიას ეროვნულ დემოკრატიული პარტია, მისი მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების ნაცვლად გვევლინება როგორც ნაციონალური მოძრაობის ფილიალი. არც „ევროპულ დემოკრატებად“ მონათლულ პარტიის |– „მე თვითონს“ ლიდერს აქვს საფუძველი ამტკიცოს, რომ ეს მისი იდეააა, რადგან გვახსოვს წინა არჩევნებში, როგორ აღმოჩნდებოდა ხოლმე იგი თავის პარტიიანა ქრისტიან-დემოკრატთა წყვილში და ალბათ ყველაზე უკეთ ამ პარტიის ლიდერმა იცის, ვინ აძლევდა მას სიას, იმ ადამიანებისა, რომელიც უნდა ჩაესვათ ამ პარტიის სახელით საარჩევნო კომისიებში მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამდენად, შემიძლია გავაგრძელო სია, მათ საკუთარი ფანტაზია არ ეყოფოდათ იმისთვის, რომ გამხდარიყვნენ ასეთი მაძიებლები საპრეზიდენტო სავარძლის, მაგრამ ფაქტია, რომ უკვე სახელმწიფოებრივი შეურაცხყოფის დონეზეა ასული ამ კანდიდატების რაოდენობა.

***– ბატონო სოსო, ეს არის მავნებლობა ნაციონალების მხრიდან, რომ რაც შეიძლება გაიფანტოს ამომრჩეველთა ხმები?***

– ეს არის მკაფიო სტრატეგია და ვფიქრობ, რომ არცთუ უშედეგო იმისთვის, რომ გაიფანტოს ხმები იმის იმედით, რომ ხუთმა, ათმა ნაცნობმა მაინც მისცეს თითო კანდიდატს ხმა. შემდგომ იყოს მეორე ტური და მეორე ტურში დამარცხებაც კი საოცნებოა ნაციონალური მოძრაობისთვის. მეორე ტურში გასვლა კი მათ სერიოზულად სწყურიათ და არ გამოვრიცხავ, რომ რაღაც ეტაპზე მათი ეს სურვილი გაიზიაროს ქართულმა ოცნებამ.

***– დიახ, ამაზე ბევრი მათგანი ღიადაც საუბრობს, რომ ურჩევნიათ მეორე ადგილზე გავიდეს ბაქრაძე, ვიდრე ბურჯანაძე... რატომ?***

– იმიტომ, რომ კოაბიტაცია ბაქრაძესთან შედგა და ბურჯანაძესთან კოაბიტაცია არავის უცდია. უფრო მეტიც, ბურჯანაძე თავისი პოლიტიკური კლასით და აქტიურობით, ბევრად უფრო ანგარიშგასაწევი ძალაა, ვიდრე ბაქრაძე, გინდ პარტიით და გინდაც უპარტიოდ. ამასთანავე, როგორც ჩანს, არის პიროვნული მოტივები ამ სიტუაციაში. ისიც გულდასაწყვეტია, რომ ერთმანეთთან კინკლაობენ ქართული ოცნებისა და ბურჯანაძის წარმომადგენლები და ნამდვილად მისასალმებელია ის ფაქტი, რომ თავად მარგველაშვილი და ბურჯანაძე ერთმანეთს არ ერჩიან. რადგან უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს სცემენ პატივს, საკუთარ წარსულს, ერთობლივი წარმატებული თანამშრომლობისა. ამდენად, გვქონდა შესანიშნავი შესაძლებლობა, რომ ევროპული სტანდარტებით გაგვევითარებინა ეს პაექრობა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს შორის, მაგრამ ზოგიერთი ვაი პატრიოტი, საკუთარი პოლიტიკური ძალის, რატომღაც გადასულია ისეთ რეჟიმში, რომ თავად უნდა ლანძღოს კონკურენტი ადამიანი, რომელსაც თავად კონკურენტი არ ერჩის.

***– ძალიან მძიმე პოლიტიკური წარსული აქვს ნინო ბურჯანაძესო და თქვენი აზრით, რას ვერ პატიობენ ყველაზე მეტად?***

– აბა, რა გითხრათ? ბურჯანაძეს გარკვეული კრიტიკა, მოყოლებული 2007 წლიდან არ აკლდა. ჩემი აზრით, თუ რაიმე შეცდომა აქვს დაშვებული ბურჯანაძეს, ეს ის გახლავთ, რომ მას არ უყვარს საჯაროდ საუბარი საკუთარ შეცდომებზე, მაგრამ შეფასებების უნარი ნამდვილად გააჩნია. როგორც პოლიტიკოსი, გავიმეორებ, რომ ის არის ერთ-ერთი უმაღლესი კლასის პოლიტიკოსი ქვეყანაში. დღეს ასეთივე კლასის მეგულება მხოლოდ ბატონი დავით უსუფაშვილი. დანარჩენებმა მომიტეონ და ნახევარი წელი მომცენ კიდევ შემდგომი კლასიფიკაციისთვის.

***– ბატონო სოსო, რაც შეეხება პირველ-მეორე ადგილებს, ჩვენ სოციალური კვლევის შედეგებიც ვიხილეთ... თქვენი აზრით, რა ხდება? რამდენად არის საზოგადოების სურვილი, რომ მეორე ადგილზე მართლაცდა დავით ბაქრაძე იხილოს?***

– ხალხი რას ისურვებს, ეს გამოჩნდება 28 ოქტომბერს. ხოლო კვლევებთან დაკავშირებით, რასაკვირველია, გარკვეული სკეპტიციზმი დანერგა ენდიაიმ და აირაიმ, რაც ასე მალე ალბათ არ გაქრება ჩვენი მოსახლეობის ცნობიერებიდან. თუმცა რატომღაც დამკვიდრდა წესი, რომ პოლიტიკური პარტიები, ჯერ ატარებენ კვლევას, ისე, რომ ამ ფაქტის შესახებ საზოგადოება არ არის ინფორმირებული, ხოლო შედეგების გამოქვეყნებისას, დამკვეთი არის გამარჯვებული ყველა ასეთ გამოკითხვაში. ალბათ უპრიანი იქნებოდა, რომ ასეთი გამოკვლევები პოლიტიკურმა ძალებმა შეინახონ საკუთარი ინფორმირებისათვის და ნუ შეიტანენ დაბნეულობას მოსახლეობაში. მე სრულად ვენდობი იმ ადამიანებს, რომლებიც ატარებდნენ გამოკვლევას, რომელიც გაკეთდა ქართული ოცნების დაკვეთით, მაგრამ რამდენად დამაჯერებელია ეს შედეგები მოსახლეობისთვის, გამიჭირდება ამის მტკიცება. რადგან თავად ამ კვლევაშიც არის რამდენიმე ისეთი მონაცემიც, რომელიც კითხვებს ბადებს. როდის გადაასწრო რეიტინგით მარგველაშვილმა ივანიშვილს? არის ასეთი გამოკითხვებიც, რომელიც ახსნა-განმარტებას მაინც საჭიროებს. დარწმუნებული ვარ, რომ 43-მა ორგანიზაციამ რომ ჩაატაროს კვლევები, 43 სხვადასხვა გამარჯვებული იქნება შემოთავაზებული.

***– ბატონო სოსო, რაც შეეხება თავად გიორგი მარგველაშვილს, რამდენად იმოქმედებს მის რეიტინგზე ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, რომ ის ხელისუფლებიდან წასვლას აპირებს...***

– ახლა, სხვადასხვა ხერხი არსებობს ბავშვისთვის ცურვის სწავლების და მარწმუნებენ, რომ ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურია, როცა ზღვაში არშესულ ბავშვს პირდაპირ წყალში აგდებენ და ის თვითონ იკვლევს გზას და მშვენიერი მცურავი ხდება. უნებლიეთ, აი, ეს აზრი წამომიტივტივდა, როდესაც თქვენი კითხვა მოვისმინე. რასაკვირველია, გამოუცდელი არ გახლავთ ბატონი მარგველაშვილი სხვადასხვა სახის პოლიტიკურ დისკუსიებში. მას საკმაო გამოცდილება აქვს მენეჯმენტისაც, რადგან „ჯიპას“ რექტორობა წლების განმავლობაში, თანაც წარმატებული რექტორობა, დავესესხები ისტორიულ პიროვნებას და ლობიოს ჭამა არ გახლავთ. გარდა ამისა, მას აქვს უნარი ადამიანებთან ურთიერთობის და როგორც იტყვიან, ის სალი მოქალაქეა ჩვენი საზოგადოებისა. თუმცა თუ ფარულ გამოკვლევას ჩაატარებდა და შესაძლოა ჩაატარა კიდეც, ოცნების დაკვეთით რომელიმე სოციოლოგიურმა დაწესებულებამ, საინტერესო იქნებოდა თავად ქართული ოცნების წარმომადგენელი დეპუტატებისგან, რამდენი უჭერს მას მხარს, ფარული კენჭისყრის პირობებში? ვფიქრობ, რომ იგი, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად ცნობადია ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, შეძლებს იმ პოპულარობის მოპოვებას, რომელიც მას მისცემს საშუალებას, იყოს ერთ-ერთი ძირითადი კანდიდატი წარმატებისა, მაგრამ ცხადია, ერთ-ერთი და არა ერთადერთი.

---

## პატრიარქი თბილისში დღეს დაბრუნდება

სვანეთში მყოფმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მესტიის რაიონ სოფელ ლატალში ტაძრები მოილოცა. პატრიარქმა ის უძველესი ფრესკებიც დაათვალიერა, რომლებიც ტაძრის კედლებზეა გამოსახული.

„შემთხვევითი არ არის, რომ ეს ძვირფასი, ისტორიული ხატები იმყოფება სვანეთში. ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი სიწმინდეა ხალხშიც და თვითონ ადგილიც წმინდაა“, – ბრძანა უწმინდესმა.

ილია მეორემ მრევლი დალოცა და სვანეთის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზეც ისაუბრა. მოგვიანებით, უწმინდესი მესტიის მუზეუმს ესტუმრა და იქ დაცული სიწმინდეები და სხვადასხვა ექსპონატები დაათვალიერა.

პატრიაქრი თბილისში გუშინ უნდა დაბრუნებულიყო, თუმცა „მედიანიუსის“ ინფორმაციით, უამინდობის გამო ვერტმფრენი სვანეთში ვერ გაფრინდა, რის გამოც უწმინდესის ჩამობრძანება დღეისთვის გადაიდო.

მედიანიუსი

---

## სექტემბრიდან პენსია იზრდება

საქართველოში პირველი სექტემბრიდან ასაკობრივი პენსია არსებულ საარსებო მინიმუმს გაუტოლდება და 150 ლარით განისაზღვრება. პენსიონერები, გაზრდილ პენსიასთან ერთად, სადაზღვევო პაკეტით კვლავ ისარგებლებენ. საქართველოში პენსია ქალებს 60 წლიდან, მამაკაცებს კი 65 წლიდან ენიშნებათ.

როგორც ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ამასწინათ განაცხადა, მთავრობა ბიუჯეტით და წინასაარჩევნოდ ნაკისრი ყველა ვალდებულის შესასრულებლად მზად არის და ბიუჯეტიდან გასაწევ ხარჯებს არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ამ დროისათვის ასაკობრივი პენსიის რაოდენობა 125 ლარს შეადგენს.

მედიანიუსი

---

## პარლამენტი საშემოდგომო სესიის ფორმატში მუშაობას 3 სექტემბრიდან განაახლებს

საქართველოს პარლამენტი საშემოდგომო სესიის ფორმატით მუშაობას 3 სექტემბრიდან განაახლებს. პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საშემოდგომო სესია ოფიციალურად სწორედ სექტემბრის პირველ სამშაბათს ბიუროს სხდომით გაიხსნება. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირინე იმერლიშვილმა განაცხადა, სავარაოდოდ, 4 სექტემბრიდან პარლამენტის პლენარული სხდომები დაიწყება.

„ბიურო დღის წესრიგს შეიმუშავებს. კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტებზე საჯარო განხილვები დასრულდა. ვვარაუდობთ, რომ პირველივე სხდომებზე განსახილველად ამ პროექტებს გამოვიტანთ. ეს არის სამი სხვადასხვა ცვლილება. ერთი შეეხება მოქალაქეობის საკითხს, მეორე –– პრემიერის უფლებამოსილების შეზღუდვას და მესამე –– კონსტიტუციის მიღებისას კვორუმის გადასინჯვას“, – განაცხადა ირინე იმერლიშვილმა.

მედიანიუსი

## ირაკლი სესიაშვილი: „სირიაში ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, საქართველოსთან მიმართებით პირდაპირი საფრთხეები არ ჩანს“



**პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, აშშ-ის მიერ სირიაში სამხედრო ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, საქართველოსთან მიმართებით პირდაპირი საფრთხეები არ ჩანს.**

როგორც ,,მედიანიუსთან“ საუბარში ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, სირიის თემა, მხოლოდ სირიის საკითხს გასცდა, რადგან იქ უდანაშაულო ადამიანები იღუპებიან.

,,გარდა ამისა, მნიშვნელოვანი საფრთხე ექმნება მთლიანად რეგიონს ამიტომ ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს. შესაბამისად, ამ პროცესში საერთაშორისო საზოგადოება და ცივილიზებული სამყარო– ის ქვეყნები უნდა ჩაერთონ, ვისაც რეალურად ძალუძთ ამ პრობლემის გადაჭრა. შესაბმისად, ჩვენ თავისთავად დაინტერესებულები ვართ, რომ ეს პრობლემა მალე გადაიჭრას. ვინაიდან, არც თუ ისე შორს ვართ ერთმანეთისგან. თუ იქ იქნება მშვიდობა, სტაბილურობა შესაბამისად, აქ ჩვენი ინტერესიც დიდია. საქართველოსთან მიმართებაში სხვა პირდაპირი საფრთხეები არ ჩანს. კონკრეტული საფრთხე არ არსებობს, თუმცა უნდა ვიყოთ ფხიზლად, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩვენი ქვეყნის ტრანზიტად გამოყენება არ მოხდეს,“– მიიჩნევს სესიაშვილი.

სესიაშვილი დარწმუნებულია, რომ საბოლოო ჯამში რუსეთიც გაიზიარებს ცივილიზებული სამყაროს გადაწყვეტილებას და ისიც ჩაერთვება სირიის პრობლემის მოგვარებაში.

,,სირიის საკითხთან დაკავშირებით, მიუხედავად რუსეთის განსხვავებული პოზიციისა, საერთო ჯამში ცივილიზებული სამყარო შეთანხმდება და რუსეთსაც მოუწევს ამ გადაწყვეტილების გათვალისწინება. ასეთი ტიპის კონფლიქტები პოლიტიკური ვაჭრობის თემა ხდება ხოლმე. დარწმუნებული ვარ, ამ გადაწყვეტილებას საბოლოო ჯამში რუსეთიც გაიზიარებს და შესაბამისად, ისიც ჩაერთვება ამ პრობლემის მოგვარებაში,“– აცხადებს სესიაშვილი.

შეგახსენებთ, რომ სირიაში სიტუაცია კრიტიკულ ფაზაში 21 აგვისტოს მას შემდეგ გადავიდა, რაც ქიმიური იარაღის გამოყენების შედეგად 1300 ადამიანი დაიღუპა. ამის შემდეგ აშშ და დასავლეთის ქვეყნებმა განაცხადეს, რომ შესაძლოა სირიის კონფლიქტში სამხედრო სახით ჩაერიონ. აღნიშნულ განცხადებას რუსეთი და ჩინეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

**მედიანიუსი**

# „ივანიშვილი საპარლამენტო უმრავლესობას აღარ ენდობა“

### ბედნიერია ის, ვისაც ლევან ბერძენიშვილი გალანძღავს

**სახალხო კრების წევრი და „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი პირველ ოქტომბერს გათამაშებულ ამერიკულ სცენარზე საუბრობს. მისი თქმით, საქართველოს გადარჩენა კოალიციის გარეთ ქართული ორიენტაციის პრეზიდენტშია.**

**— ნუ გვაშინებს ბიძინა ივანიშვილი წასვლით. თუ მიდიხარ, წადი, ნუ გვიტოვებ შენს პრეზიდენტს. ხალხს ერთხელ მაინც მიეცი სამართლიანი არჩევანის გაკეთების საშუალება. ყველა ქალაქმა და რაიონმა ივანიშვილის ხათრით აირჩია დეპუტატი. ვინ არის ამით მოგებული, ნახეთ. ვინც ივანიშვილის გუნდს არ მოსწონს, ბევრი ინტელექტუალური ადამიანი უფუნქციოდ დატოვეს და ბევრი ჭკვიანი პოლიტიკოსი ახლოს არ გაიკარეს, — აცხადებს თემურ შაშიაშვილი.**

**რატომ იქნება გაზაფხულზე არეულობა, რას არ პატიობს შაშიაშვილი ივანიშვილს და რატომ არ აწყობს ხელისუფლებას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „თეთრების“ ლიდერ თემურ შაშიაშვილთან.**

შორენა კოწოწაშვილი

*— ბატონო თემურ, ბოლო დროს გააქტიურა ხელისუფლების კრიტიკა. პოლიტიკოსთა ნაწილი პრემიერის მიერ შერჩეულ მინისტრთა კაბინეტს სუსტს უწოდებს, პარლამენტს კი — ქმედუუნაროს. რამდენად შეძლებს ივანიშვილი ამ გუნდით პირობის შესრულებას — მაქსიმუმ 4 წელში ქვეყანა ფეხზე დადგებაო.*

— ის, რაც დღეს ხდება, ჩემში, როგორც პოლიტიკოსში, გაკვირვებას არ იწვევს. როცა ქვეყნის ბოლო ოცწლიანი მართვა იყო ემოციებზე აწყობილი და მმართველობიდან გონება იყო განდევნილი, ის შედეგი მივიღეთ, რაც დღეს არის. რაც ხდება, ბევრი რამ ივანიშვილს ბრალდება, სინამდვილეში და მისი ბრალი არ არის. ვიმეორებ და ვადასტურებ, 1 ოქტომბერი არ არის ბიძინა ივანიშვილის გამარჯვება. ეს არჩევნები არ აღმოჩნდა საქართველოს გამარჯვება. 1 ოქტომბერიც გარეთ დაგეგმილი აღმოჩნდა. ორი ვარიანტი განიხილებოდა: პირველი ვარიანტი — გაყალბებით ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილი შეენარჩუნებინათ, მეორე ვარიანტი — დაეთმოთ და წასულიყვნენ „ვარდების რევოლუციის“ გზით, მაგრამ ევოლუციური გზით. „ვარდების რევოლუცია“ იყო რევოლუციური, კოაბიტაცია არის ევოლუციური. რამდენიმე წელზე გათვლილი პროცესია. რა ფუნქციაც ჰქონდა „ვარდების რევოლუციას“, იგივე ფუნქცია აქვს კოაბიტაციას — შენარჩუნება იმ ძალისა, რომელიც მოიმართება ქვეყნის გარედან; შენარჩუნება იმ ხალხისა, რომელიც დაჩოქილია ყოველგვარი უცხოურის წინ. რომ არ გამოჩენილიყო ივანიშვილი ამერიკელები იმ გზით წავიდოდნენ, რომ ქართული განწყობის ძალა არ მოეყვანათ, გააყალბებდნენ არჩევნებს და სააკაშვილს და ნაცმოძრაობას დატოვებდნენ. მაგრამ აქ ცდომილება იყო დიდი. ჩვენ მივიღებდით მეორე ჩაუშესკუს სააკაშვილის სახით, იმიტომ რომ ეკონომიკა და ქვეყანაში მდგომარეობაა ისეთი, სააკაშვილი რომ დარჩენილიყო, ქვეყანაში არეულობა გარდაუვალი იყო. ივანიშვილის დამსახურება ის არის, რომ გადაწყვეტილება იქნა მიღებული არა ვთქვათ, გაყალბებაზე და სააკაშვილის დატოვებაზე, არამედ საპარლამენტო არჩევნების შედეგებით აღებულ იქნა ორიენტაცია: ახლოს ყოფილიყო ერთმანეთთან ორი ძალა, და მთელი ტვირთი ამ ოცწლიანი და განსაკუთრებით, ბოლო ცხრა წლის უბედურების მთელი ტვირთი აელო ბიძინა ივანიშვილს. არჩევნების შედეგები სხვაგან დაიგეგმა, მაგრამ არეულობა რომ არ მოხდა, ეს არის ივანიშვილის დამსახურება. მაგრამ ივანიშვილს, „ქართულ ოცნებას“ და ყველას ერთად, თუ არ გამოვფხიზლდით, ქვეყანა მიგვყავს სერიოზული არეულობისაკენ უფრო დიდი არეულობისაკენ, ვიდრე ეს მოხდებოდა მაშინ, თუ არჩევნების გაყალბებით სააკაშვილი და ნაცმოძრაობა დარჩებოდა.

*— რას სდებთ ბრალად ბიძინა ივანიშვილს?*

— ივანიშვილი ჩაიკეტა თავის ბანაკში, რომელსაც მე უკვე „ქართულ ოცნებას“ არ დავარქმევ. ბანაკს იქეთ ვეღარაფერს ხედავს, ვერც ადამიანებს, ვერც პროცესებს. ივანიშვილის შეცდომაა ის, რომ ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი არის აბსოლუტურად გამოუყენებელი, ისევე გამოუყენებელი, როგორც იყო სააკაშვილის დროს. აგდებული დამოკიდებულებაა მეცნიერებათა აკადემიის მიმართ. ივანიშვილს რომ დაემსხვრია პარტიული საზღვრები, ,,ქართული ოცნების“, ,,ქართუ ბანკის“ საზღვრები და ეფიქრა, რომ ამათ გარეთაც არიან საქართველოზე მოფიქრალი ადამიანები და ისინი გამოეყენებინა, ის ამაზე არ წავიდა. დღეს ისე მიდის ყველაფერი, რომ წააგებინონ არჩევნები ნინო ბურჯანაძეს. ხალხი ხედავს, რომ ივანიშვილის გუნდიდან პრეზიდენტის არჩევა, ეს ივანიშვილის დასამარებაა. ეს არის რეალობა. თუ ივანიშვილის ხათრით ავირჩევთ პრეზიდენტს, გაზაფხულზე ისევ არეულობა გვექნება. საქართველოს გადარჩენა ისეთი პრეზიდენტის არჩევაშია, რომელიც იქნება კოალიციის გარეთ. ასეთი პრეზიდენტობის კანდიდატი კი ფეხქვეშ არ უნდა გაეგოს ივანიშვილს, არ უნდა დაუპირისპირდეს მას. და მესამე, ,,ქართულმა ოცნებამ“ მოკლა ივანიშვილის პოტენციალი, მომავალმა პრეზიდენტმა კი პრემიერს თავისი პოტენციალის ბოლომდე გამოვლინებაში უნდა შეუწყოს ხელი. სახალხო კრებამ გადადგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, მე ვიტყოდი ისტორიული და ეროვნული განწყობის და პრეზიდენტობის კანდიდატად დააყენა ნინო ბურჯანაძე. კრებამ თქვა: თუ ივანიშვილის წამოაყენებდა პრეზიდენტობის კანდიდატს კოალიციის გარეთ ისეთ პიროვნებას, როგორიც არის, მაგალითად, ვასაძე, მინდია უგრეხელიძე, პაატა ცნობილაძე, ცისკარიშვილი, ჩვენ ვიფიქრებდით და შეიძლება ასეთი კანდიდატისთვის მხარი დაგვეჭირა. მაგრამ ივანიშვილმა ყველა ეს პიროვნება გადახაზა და ის პიროვნება დაასახელა, ვინც უნდა ამერიკელებს. რუსული მსუნაგობა გრძელდება ამერიკელ პოლიტიკოსთა მსუნაგობით. ესენი ფიქრობენ, ყველგან ყველაფერი დავკარგეთ და საქართველოში უნდა იყოს პრეზიდენტად თავისუფლების ინსტიტუტის, სოროსის ფონდის დამფუძნებელი. რას ერჩიან ამ ქვეყანას?!

*— თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ მთავარი საპრეზიდენტო არჩევნებში ნინო ბურჯანაძის გამარჯვებაა, რომელიც სააკაშვილთან ერთად რევოლუციური სამეულის წევრია...*

— მთავარი ბურჯანაძის გამარჯვება კი არ არის, მთავარია, კოალიციის გარეთ მყოფმა და ტრადიციების პატივისმცემელმა კანდიდატმა გაიმარჯვოს საპრეზიდენტო არჩევნებში. პარტიული საზღვრები უნდა დაიმსხვრეს და ყველა საჭირო კადრი უნდა იქნეს გამოყენებული. ნონა გაფრინდაშვილმა გარკვევით თქვა, ჩვენ პარტიული საზღვრები უნდა დავანგრიოთო. ხელისუფლება იქითკენ მიდის, რომ ნინო ბურჯანაძეს არჩევნები წააგებინოს. პირდაპირ ვამბობ, ბურჯანაძის წაგება და მარგველაშვილის არჩევა, იმას ნიშნავს, რომ მარგველაშვილი გაზაფხულზე ჩამოგდებული იქნება და კაბინეტიდან გამოძევებული. ივანიშვილის გუნდიც დასამარდება და ნაციონალური მოძრაობაც, იმიტომ, რომ ეს ორი პოლიტიკური ძალა ერთმანეთს შეეკრა. დღეს ლაპარაკი მიდის იმაზე და ნაციონალები ეხვეწებიან, ოლონდ მეორე ადგილზე გაგვიყვანეო. მეორე ადგილი აწყობს ივანიშვილსაც. მსოფლიოს ეტყვის, ხომ ხედავთ არჩევნები დემოკრატიულად ჩავატარეო. ვინ იქნება ამით კმაყოფილი? — ამერიკის ძალიან ბევრი პოლიტიკოსი. რადგან მათ საქართველოში ეყოლებათ ამერიკული პარლამენტი, როგორიც დღეს არის; ამერიკული პრეზიდენტი და ამერიკის მიერ დაჩოქებული მთავრობის თავმჯდომარე. ეს ქვეყნისთვის კატასტროფაა. თუ ამას საქართველო მოითმენს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველების მენტალიტეტი მართლა შეუცვლიათ. ვიმეორებ, ივანიშვილმა ეროვნულ ტრაგედიას აგვაცილა, მაგრამ ქვეყანა დღეს ეროვნული ტრაგედიისკენ მიყავს. ეს არის ჩემი პროგნოზი. მეორე პოლიტიკოსი ცოტა მოიძებნება პარლამენტში, ვინც ნინო ბურჯანაძეს ისე აკრიტიკებდა, როცა პარლამენტის თავმჯდომარე იყო, როგორც მე. ბურჯანაძემ ბევრი შეცდომა მოინანია და კიდევ ბევრს მოინანიებს სახალხოდ. თქვენი მეშვეობით ვეტყვი ბურჯანაძეს, სახალხოდ ისაუბროს იმაზე, რაც კრებაში უსაუბრია. ეს ხალხს სჭირდება. ბურჯანაძე ფიქრობს, ხალხი როგორ გამიგებსო, მაგრამ ხალხი გაუგებს, რადგან მისგან მონანიებასაც ელოდება და ვაჟკაცურ დგომასაც. ღიად ვამბობ, მე თანამდებობისთვის არ ვიბრძვი. მხოლოდ გუბერნატორის არჩევნებში მივიღებ მონაწილეობას. მაგრამ ეს პარლამენტი ამას არ დაუშვებს. მე სახალხო კრებაში ვრჩები, რომელიც შეიქმნა როგორც რუსული აგრესიის, ისე ამერიკული პოლიტიკის შემოტევისაგან. აი, ამისთვის შეიქმნა კრება და ეს ძალა დადგა ნინო ბურჯანაძესთან. თუ ვინმეს ჰგონია, რომ პრეზიდენტობის შემთხვევაში ბურჯანაძეს სახალხო კრებისგან მშვიდი დღეები ექნება, ძალიან ცდება. სახალხო კრების არცერთი წევრი თანამდებობას არ მიიღებს. ნურავის ეგონება, რომ ჩვენ თანამდებობებისთვის ვუჭერთ მხარს ბურჯანაძეს. ხელისუფლებაში იქნებიან მოაზროვნე ადამიანები და ინტელექტუალები. მინდა, მივმართო ინტელექტუალებს და მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, ნუ ყიდით საკუთარ თავს. ნუ გახდით ფულის მონები და ნუ დგახართ იმ ადამიანთან, რომელმაც საქართველოში „თავისუფლების ინსტიტუტითა“ და სოროსის ფონდით შემოიტანა უბედურება. ამ გზით მათ ამერიკული იდეოლოგია დასვეს საქართველოს თავზე. ადამიანი, რომელიც თავს პლასტილინად თვლის, იმდენი შეგნება უნდა ჰქონდეს, თავი საქართველოს პრეზიდენტის კანდიდატად არ დააყენოს.



*— სახალხო კრების კანდიდატი კი საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, დეპუტატმა ლევან ბერძენიშვილმა გააკრიტიკა. უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდება...*

— ივანიშვილის ტრაგედიაა, რომ მას ლევან ბერძენიშვილი აქებს, ხოლო ბედნიერებაა, როცა მას ბერძენიშვილი ლანძღავს. ვისაც ლევან ბერძენიშვილი აქებს, იმან უნდა იფიქროს, რომ მისი საქმე ცუდადაა. მე, პირადად, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ბერძენიშვილს ჩემ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ნინო ბურჯანაძისთვის ტრაგედია ის იქნებოდა, ლევან ბერძენიშვილი რომ აქებდეს.

*— როგორ ფიქრობთ, რატომ არ აქტიურობს დღეს „თავისუფლების ინსტიტუტი“?*

— დღეს „თავისუფლების ინსტიტუტი“ გაჩერებულია. მათ იციან, რომ ივანიშვილი აკეთებს მათ საქმეს და პრეზიდენტად „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი გაჰყავს. რატომ უნდა იაქტიურონ?! ეს არა მხოლოდ ქვეყნის ტრაგედიაა, არამედ ივანიშვილისაც. დღესაც იმ განწყობით ვარ, რომ ივანიშვილის გადარჩენა სჭირდება საქართველოსაც და სახალხო კრებასაც.

*— რატომ ფიქრობთ, რომ ივანიშვილის მიერ მხარდაჭერილი მარგველაშვილის არჩევა პრეზიდენტად დიდ არეულობამდე მიიყვანს ქვეყანას?*

— საქართველოს არ სჭირდება სოროსისა და თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი პრეზიდენტად და იმ იდეების თავსმოხვევა, რაც ამ ინსტიტუტისთვის არის მისაღები. ხალხს არ სჭირდება დამნაშავეებთან კოაბიტაცია და ხელისუფლების ნაციონალებთან გარიგებაში შესვლა. ჩვენ არ გვინდა კოაბიტაცია, მაგრამ გვინდა, რაც თქვა ილია ჭავჭავაძემ. ილიამ „სამართლებრივი ოპტიმიზმის“ პოზიცია ჩამოაყალიბა. კოაბიტაცია კი არ უნდა შემოგვეტანა, „სამართლებრივი ოპტიმიზმი“ უნდა განგვეხორციელებინა. ჩვენ ილიას და სამართლებრივი ოპტიმიზმის გზით ვივლით. არავინ არ უნდა დაუჩაგროს. სააკაშვილმა ჯერ დაჭერებით მოიხვეჭა სახელი, მერე ახლა ამ დაპატიმრებულების გამოშვებით ცდილობს მომხრეების გაზრდას. რეგიონებში დავდივარ და ვიცი, რა მძიმე ვითარებაა. საქართველოში მთავარი ბიზნესი არის წამლის ბიზნესი. ახლა ექიმთან ანალიზების გაკეთება არის უფასო და წამლების ფასი კი კატასტროფულია. ზესტაფონიდან დამირეკა კაცმა. მის წლინახევრის შვილს გულის მანკი აღმოაჩნდა და ყველაფერი რომ გაყიდოს თურმე, ეს ფული მის მკურნალობას არ ეყოფა. ეს ხდება იმ ზესტაფონში, სადაც მერაბ სამადაშვილს სააკაშვილმა და მისმა ბანდამ მილიონები აჩუქეს და ამით მთელ ზესტაფონს თავზე მოაჯდა. ცოდვა ადამიანს ისიც ეყოფა, რა ცოდვა-მადლიც ზესტაფონში ტრიალებს. ადამიანი სოციალურ დახმარებას ირებდა. შვილი მოუკვდა და დახმარება მოუხსნეს, სარჩენი მოგაკლდაო. ეს არის სამართალი?! ზესტაფონში ჩასულმა ნახევარ საათში გავიგე ეს ყველაფერი. არა გყავთ ხალხი, ბატონო ბიძინა, იგივე ზესტაფონში, რომ ინფორმაციას სრულად ფლობდეთ? სამადაშვილს თქვენი ოჯახის წევრები უჭერენ მხარს, ის კი უფრო მეტად დააჯდა ზესტაფონის მოსახლეობას თავზე. დარწმუნებული ვარ, არ იცით ეს, ბატონო ბიძინა. ეს არის სამართლიანობა?! ეს შეიცვლება და ამას შეცვლის „სახალხო კრება“. ქვეყნის გადარჩენა არის ბიძინა ივანიშვილი პლუს პრეზიდენტი კოალიციის გარეთ.

*— დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა თქვა, შეეგუეთ იმას, რომ ვადამდელი არჩევნები არ იქნება. თქვენ ამას არ შეეგუებით?*

— რა თქმა უნდა, ვინც პარლამენტშია, ისინი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მომხრეები არ იქნებიან, ვინ აირჩევს ახალ პარლამენტში ან ბერძენიშვილებს ან სხვებს. ივანიშვილმა იცის, უკვე ვინ ვინ არის და ამ უმრავლესობიდან 95%-ს ახალ პარლამენტში არ შეიყვანს. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა დღეს ის არის, რომ ვინც ივანიშვილმა შემოიკრიბა, ეს ხალხი ისეთი არ აღმოჩნდა, როგორიც პრემიერს ეგონა. ტრაგედია კიდევ იმაშია, რომ არც ივანიშვილი აღმოჩნდა ისეთი, როგორიც ეგონათ. ესენი ბუნებრივად სცილდებიან ერთმანეთს. ბევრი დატოვებს ივანიშვილის მხარდამჭერთა რიგებს, რადგან ხედავენ, რომ არჩევნების შემდგომ მედროვეებმა უფრო ხმა აიმაღლეს და მაღალი პოზიციები დაიკავეს. გულწრფელად ვინც იდგა ივანიშვილთან, ისინი დღეს გარიყულები არიან.

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „გამგებლის გადაყენების მიზნით საკრებულოს წევრები დაათვრეს“

## ლენტეხში ნაციონალები და რესპუბლიკელები დაძმობილდნენ

გულიკო ბალაძე

როგორც განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს, ნაციონალურ მოძრაობას ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ჩართული ჰყავს ადგილობრივი საკრებულოები. ბოლო დროს ლენტეხის რაიონში ვითარება გამწვავდა მას შემდეგ, რაც საკრებულომ თანამდებობიდან გაათავისუფლა გამგებელი ზაზა ლიპარტელიანი. ხალხი პროტესტს გამოთქვამს გამგებლის გათავისუფლების გამო და საკრებულოსა და გამგეობის შენობები ბლოკირებული აქვს.

რაც ყველაზე უცნაურია, საკრებულოს სხდომაზე გამგებელ ზაზა ლიპარტელიანის გადაყენების საკითხი დასვა რესპუბლიკელმა, რომელიც, როგორც ჩანს, ალიანსშია ნაციონალურ მოძრაობასთან. სხვა შემთხვევაში არჩევნების წინ რაიონში ასეთი არეულობის გამოწვევა მმართველ კოალიციასთან რაიმე შემხებლობაში მყოფი პირის მხრიდან გაუგებარია, რადგან ახლა არეულობა დამარცხებულ ძალას, ნაციონალურ მოძრაობას აწყობს.

რაც მთავარია, საკრებულოს წევრების დასათანხმებლად უპრეცედენტო ხერხი გამოიყენეს — საკრებულოს წევრები დაათვრეს და მთვრალ მდგომარეობაში მიაღებინეს გადაწყვეტილება. რეალურად კი ლენტეხში ბრძოლა მიმდინარეობს ნაციონალებსა და „ოცნებას“ შორის. ამ პროცესების ინსპირირებას ნაციონალური მოძრაობა ახდენს. ამის თაობაზე საუბრობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აპროტესტებენ ლენტეხის რაიონის გამგებლის ზაზა ლიპარტელიანის თანამდებობიდან გადაყენებას. არასამთავრობო ორგანიზაციები „უფლებადამცველთა გაერთიანება“, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“, „ახალგაზრდა ადვოკატები“, კოალიცია „ერთსულოვნება“, „უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია“, „ეკოტექი“, „დონორთა ორგანიზაცია“, „საერთაშორისო იდეოლოგიური ფორუმი“, „აქტიური მოქალაქე“ კატეგორიულად გმობენ ლენტეხის საკრებულოს მიერ ლენტეხის გამგებლის ზაზა ლიპარტელიანის კანონდარღვევით გადაყენებას, რამაც ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი პროტესტი გამოიწვია.

— როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა, გამგებლის იმპიჩმენტის წესით გადაყენება განხორციელდა უკანონოდ გაყალბებული დოკუმენტაციით. გამგებლის გადაყენების საკითხი ბიუროს სხდომაზე არ დასმულა და საკრებულოს დღის წესრიგშიც არ იყო შეტანილი. საკრებულოს თავმჯდომარემ „ნაციონალური მოძრაობიდან“ ვალოდია ქურასბედიანმა და ყოფილმა ნაციონალმა, ამჟამად რესპუბლიკელმა სოსო მუკბანიანმა საკრებულოს წევრებზე განახორციელეს ზეწოლა, რის შედეგადაც მოხდა გამგებლის გადაყენება საკრებულოს რეგლამენტის დარღვევით. გარდა ამისა, საკრებულოს თავმჯდომარის ქმედებებში შეინიშნება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, რის გამოც არასამთავრობო ორგანიზაციები მოუწოდებენ საგამოძიებო სტრუქტურებს, შეისწავლონ ეს საკითხი და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება, — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ზემოთ აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციები ავრცელებენ.

ლენტეხის რაიონის გამგებლის ზაზა ლიპარტელიანის გადაყენებასა და ამ საქმეში კანონის დარღვევებზე ისაუბრეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

— ლენტეხში უკვე ერთი კვირაა პარალიზებულია გამგეობისა და საკრებულოს შენობა. ხალხი აღშფოთებულია იმ უკანონობის გამო, რაც მოხდა რამდენიმე დღის წინ ლენტეხში. საკრებულომ დოკუმენტების გაყალბებით და ზეწოლით, რომელიც განხორციელდა საკრებულოს წევრებზე, მოახდინა რაიონის გამგებლის გადაყენება. ამას მოჰყვა ძალიან დიდი მღელვარება ხალხში. გაიმართა აქციები. ხალხს, ფაქტობრივად, ჩაკეტილი აქვს საკრებულოსა და გამგეობის შენობა. რამდენიმე დღის წინ შევიდა ადმინისტრაციული სარჩელი ადგილობრივ სასამართლოში. უახლოეს დღეებში მივმართავთ პროკურატურას, ვინაიდან შეინიშნება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ, რეალურად, ადგილებზე ამას ხელმძღვანელობს ნაციონალური მოძრაობა და ამჟამად უკვე რესპუბლიკური პარტიის წევრი და ყოფილი ნაციონალი სოსო მუკბანიანი, რომელიც ყველაფრის თავიდათავია შექმნილ სიტუაციაში. ვფიქრობთ, ამ საკითხს სჭირდება დიდი დაფიქრება, რადგან, რეალურად, რთული ვითარებაა. ადგილობრივი მოსახლეობა ხელისუფლებისაგან რეაგირებას ითხოვს. ლენტეხში სიტუაცია შეიძლება ისე განვითარდეს, რომ ძალიან დიდ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდოს. რეალურად, ზაზა ლიპარტელიანი იყო არჩეული გამგებელი, რომელიც ხალხის ნების გამომხატველი გახლდათ. ის პრეცედენტები, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობებშია, ძალიან სავალალო და საგანგაშოა ქვეყნისთვის. მარტო ლენტეხი კი არ არის, ბოლნისშიც იგივე პროცესები განვითარდა. სხვა რაიონებშიც იგივე ხდება. მოვუწოდებთ ხელისუფლებას, მსვლელობა მისცეს ჩვენს განცხადებას, ვინაიდან იქ ოქმი არის გაყალბებული. საკითხი გამგებლის გადაყენების თაობაზე უნდა დაესვა საკრებულოს თავმჯდომარეს და დასვა საკრებულოს წევრმა რესპუბლიკური პარტიიდან. ამასთან ის ბრძანებულება, რომლითაც გადააყენეს გამგებელი, გატარებული არ არის. მთელი რიგი დარღვევებია ჩადენილი, — განაცხადა უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძემ.



**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

— ყველაზე პარადოქსული ის არის, რომ სანამ ეს სხდომა ჩატარდებოდა, საკრებულოს ყველა წევრი შეიყვანეს, დაათვრეს და არაფხიზელ მდგომარეობაში მიაღებინეს გადაწყვეტილება. შემდეგ საკრებულოს წევრები ჟურნალისტებთან აცხადებდნენ, რომ ამ გადაწყვეტილებას ფხიზელ მდგომარეობაში ვერც მივიღებდითო. პარადოქსული სიტუაციაა შექმნილი.

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, რომ არსებული სასამართლოს იმედი ნაკლებად აქვს, მაგრამ იმდენი დარღვევებია, სასამართლომ, რომელიც დღეს განიხილავს ამ საკითხს, ობიექტური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. თავის მხრივ საგამოძიებო სტრუქტურებმაც უნდა თქვან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და სიყალბეზე თავისი დასკვნა უნდა დადონ.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ წევრ ლევან ბერაძის თქმით კი, მოსახლეობა პროტესტს არ გამოთქვამდა, რეალურად პრობლემა რომ არ არსებობდეს.

— მოსახლეობა პროტესტს არ გამოთქვამდა, პრობლემა რომ არ არსებობდეს. შეიძლება საზოგადოება გახდეს უმართავი და მოხდეს დაპირისპირება. სწორედ ამიტომ მოვუწოდებთ ხელისუფლებას კანონით მინიჭებული უფლება გამოიყენოს. კერძოდ, დააწესოს თვითმმართველ ორგანოებზე ეფექტური კონტროლი, — განაცხადა ლევან ბერაძემ.

პრესკონფერენციაზე იმყოფებოდნენ ადგილობრივი (ლენტეხში არსებული) არასამთავრობო ორგანიზაციის („აქტიური მოქალაქე“) წარმომადგენლები. „აქტიური მოქალაქის“ თავმჯდომარემ მზევინარ ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ საკრებულოს უკანონო გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, კანონს მიღმა აღმოჩნდნენ.

— ჩვენ ადგილზე ვაკვირდებით მოვლენების განვითარებას. მოხდა ძალიან დიდი დარღვევა. ფაქტობრივად, კანონს მიღმა აღმოვჩნდით. ვცდილობდით ადგილობრივი ხელისუფლება როგორმე დაგვერწმუნებინა, ჩამდგარიყო კანონის ჩარჩოებში და ისე მიეღოთ აღნიშნული გადაწყვეტილება, მაგრამ ვერ მივაღწიეთ. იქ არის ბევრი დარღვევა. არ არსებობს ბიუროს სხდომის ოქმი, არ არსებობს რიგგარეშე სხდომის ოქმი. ოქმის გარეშე მოხდა შემდეგ სამართლებრივი აქტების მიღება. 23 აგვისტოს ჩატარდა საკრებულოს სხდომა. 23 აგვისტოსვეა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილება მიღებული. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ მოხდა ამ განკარგულებისა და შემდეგ ბრძანების გამოცემა. 26 აგვისტოს ლენტეხის საკრებულოს თავმჯდომარემ „ინფო-9-სთან“ საუბარში განაცხადა, ვერ გავაკეთეთ ოქმი, რადგან ამის საშუალება არ მოგვცესო, მაგრამ გვაქვს განკარგულება და ბრძანებაო. შემდეგ ჩვენ თვითონ ვნახეთ ის და გამგებლის მოვალეობის შესრულება დაკისრებული აქვს მის მოადგილეს. მოსახლეობა აპროტესტებს. ჩვენც შევუერთდით მათ. ძალიან დიდი მღელვარებაა 23 აგვისტოდან დღემდე. საკრებულო ბლოკირებულია, ვერ მუშაობენ. პარალელურად, ჩვენ ლენტეხის სასამართლოში შეტანილი გვაქვს სარჩელი ამ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით და ველოდებით სასამართლოს კანონიერ გადაწყვეტილებას, — განაცხადა მზევინარ ლიპარტელიანმა.

ნიკოლოზ მჟავანაძის ინფორმაციით, ლენტეხის მაჟორიტარი დეპუტატი გოგი ლიპარტელიანი არის ნაციონალური მოძრაობიდან და, რეალურად იქ პროცესები იმართება მის მიერ.

— როდესაც ხელისუფლების ადგილობრივი შტოებში კადრები იცვლება, შემდეგ ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანიზაციებზე ზეწოლაა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რაც ახლა ლენტეხში მოხდა, სპეციალურად არჩევნებისთვის გაკეთდა, რადგან შემდეგ რეაგირება რომ მოჰყვება ამას, ზეწოლად მონათლონ და იძახონ, ხელისუფლება ახორციელებს გარკვეულ ზეწოლას საკრებულოსა და გამგეობაზეო. არადა, იქ დარღვევით რომ ჩატარდა საკრებულოს სხდომა, რეაგირება ხომ უნდა იყოს. ფაქტია, რომ უკანონოდ მოხდა ამ ადამიანის თანამდებობიდან განთავისუფლება. პროცედურები მთლიანად დარღვეულია და ზეწოლა განხორციელდა თვითონ საკრებულოს წევრებზე. ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნაა, ამ სიტუაციის გარდატეხა მოხდეს და ცვლილებები განხორციელდეს.

მზევინარ ლიპარტელიანის თქმით, თვითონ საკრებულოს თავმჯდომარემ აღიარა, არ გვინდოდა ამ საკითხის დასმა, მაგრამ, იძულებულები გაგვხადეს, ასე გაგვეკეთებინაო.

— გამოდის, რაღაც შეთითხნეს, რომ დაესვათ გამგებლისადმი უნდობლობის საკითხი, რომელიც ახლა კანონში აღარ არსებობს, ამოღებულია (მე-40 მუხლი იყო). ამიტომ ამის უფლება არ ჰქონდათ. არსებობს კიდევ ერთი ფაქტი — 27 ივლისს, როდესაც საკრებულოში ანგარიში გააკეთა გამგებელმა, იქ მისი მუშაობა დადებითად შეფასდა. საკრებულოს თავმჯდომარემ ტელევიზიით განაცხადა, რომ გამგებლის მუშაობას დამაკმაყოფილებლად აფასებს. სამი კვირის შემდეგ კი, ბრძანებაში ჩაწერა, რომ არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო, უნდობლობას უცხადებენ, — განაცხადა მზევინარ ლიპარტელიანმა.

***— რა იყო მისი გადარჩენების მიზეზი?***

— რეალურად რა დააშავა ამ ადამიანმა გაუგებარია. მისი გადაყენების თაობაზე საკითხი საკრებულოს სხდომაზე დასვა რესპუბლიკური პარტიის წევრმა. ინსპირირება კი ნაციონალების მხრიდან მოხდა იმიტომ, რომ შემდგომში ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან რეაგირება, უხეშ ჩარევად შეაფასონ, — ასკვნის ნიკოლოზ მჟავანაძე.

რწმუნებულები, რომელთა გათავისუფლებას არასწორად უთვლიან ზაზა ლიპარტელიანს და ერთ-ერთი მიზეზი გახდა მისი გათავისუფლებისა, ფაქტობრივად, წინასაარჩევნოდ წარმოადგენდნენ ნაციონალური მოძრაობის ფარულ კოორდინატორებს.

ჩვენ მოგვაწოდეს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამ საქმეზე საგამოძიებო მოქმედებების წარმოებას. ფაქტობრივად, იკვეთება, რომ ნაციონალური კადრების გათავისუფლებას გადააყოლეს ზაზა ლიპარტელიანი. გათავისუფლებული სასამართლოში ჩივიან და არ არის გამორიცხული, ფაქტობრივად, ნაციონალურმა სასამართლომ აღადგინოს ისინი. ახლა გასაკვირი მხოლოდ რესპუბლიკური პარტიის წევრის ნაციონალებთან ალიანსია.

## თელავში სტალინის ძეგლი გაიხსნა

გუშინ თელავში, მეორე მსოფლიო ომის მემორიალთან, სტალინის ძეგლი საზეიმოდ გაიხსნა. ძეგლის გახსნის ორგანიზატორები საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინელი“ და ვეტერანთა კავშირი იყვნენ. როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, ძეგლი შემოწირულობებით გაკეთდა.

ძეგლი ვეტერანებმა გახსნეს და გვირგვინებით შეამკეს.

**მედიანიუსი**

## ნარკოდანაშაულისათვის ერთი პირი დააკავეს

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, წარსულში ნასამართლევი 1968 წელს დაბადებული ვაჟა შ. ნარკოდანაშაულის ბრალდებით სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა თურქეთიდან სხეულით 5 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“ შემოიტანა, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,04 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება „ბუპრენორფინს“ შეიცავს.

ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ დაკავებისას ვაჟა შ. ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტებზე სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

**პირველი**

## შსს-მ უკანონო იარაღი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, წარსულში ნასამართლევი 1982 წელს დაბადებული ბესიკ მ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბესიკ მ. თბილისში, ავტოსადგურ „ოკრიბას“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედების დროს დაკავებულის კუთვნილი სამგზავრო ჩანთის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა „კალაშნიკოვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 1 მჭიდი და 23 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე სსსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

**პირველი**

## „კოდელაკის“ შენახვისა და რეალიზაციის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით აკრძალული ფსიქოტროპული მედიკამენტის „კოდელაკის“ შენახვის და რეალიზაციის ფაქტზე მოქალაქე სოლომონ გიორგიშვილი დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული, გორის რაიონის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 44 800 აბ აკრძალულ ფსიქოტროპულ მედიკამენტ „კოდელაკს“ ინახავდა და შემდგომ მის რეალიზაციას ახორციელებდა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 3 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს“, — ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

**პირველი**

## მაშველებმა ხორვატი ალპინისტის ნეშტს მიაკვლიეს

შს სამინისტროს მაშველებმა 1974 წელს დაკარგული ხორვატი ალპინისტის ნეშტს მიაკვლიეს. ამის შესახებ შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადების და რეაგირების სამმართველოს მაშველებმა, მწვერვალ „უშბას“ მყინვარზე 1974 წელს დაკარგული ხორვატული ალპინისტური ექსპედიციის ერთ-ერთი წევრის ნეშტს მიაკვლიეს.

დადგენილია, რომ 1974 წელს ხორვატი ალპინისტების ჯგუფის ოთხი წევრი მწვერვალ „უშბაზე“, ზღვის დონიდან დაახლოებით 3000 მეტრის სიმაღლეზე, ზვავის ჩამოწოლის შედეგად დაიღუპნენ. ორი გარდაცვლილი ალპინისტი მაშინვე იპოვეს. 2012 წელს კი ხორვატული ალპინისტური ექსპედიციის წევრებმა მესამე გარდაცვლილი ალპინისტის ნეშტს მიაკლიეს.

მიმდინარე წლის აგვისტოში შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა, ხორვატული ექსპედიციის მეოთხე დაღუპული წევრის ნეშტის სავარაუდო ადგილმდებარების შესახებ შეტყობინება მიიღო. მაშველებმა საძიებო ღონისძიება შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყეს და რამდენიმე საათში ნეშტს მწვერვალ „უშბას“ ერთ-ერთ მყინვარზე მიაკვლიეს.

საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად გარდაცვლილის ვინაობის დადგენა შეძლეს. ის ცნობილი ხორვატი ალპინისტი ნენად ჩულიჩია.

გარდაცვლილი ალპინისტის ოჯახის წევრებს ნეშტის პოვნის შესახებ უკვე ეცნობა. ნეშტი ამ დროისათვის მესტიაშია გადასვენებული“, — აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

**პირველი**

## ვაკეში 50 წლამდე ქალი გარდაცვლილი იპოვეს

თბილისში, ვაკეში ყიფშიძის ქუჩაზე, საცხოვრებელ სახლში 50 წლამდე ქალი გარდაცვლილი იპოვეს. ჯერჯერობით უცნობია, ზუსტად რა მოხდა დაღუპულის ბინაში. გავრცელებული ინფორმაციით, მარტოხელა ქალმა თავი ცეცხლსასროლი იარაღით მოიკლა. მეზობლები გარდაცვლილს დადებითად ახასიათებენ და აღნიშნავენ, რომ მათ სროლის ხმა არ გაუგიათ. სამართალდამცავებმა მეზობლები უკვე დაკითხეს. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

**მედიანიუსი**

# მოხუცმა ქალმა ადგილობრივი ხელისუფლება მარგველაშვილთან „ჩაუშვა“

როლანდ ხოჯანაშვილი

წინასაარჩევნო კამპანია თანდათან შედის ეშხში. პრეზიდენტი სააკაშვილი თავის ადმინისტრაციით რაჭა-ლეჩხუმში მეღვინეობის ფესტივალს აწყობს, პრემიერი კი საჩხერიდან უჭერს მხარს მარგველაშვილს. საარჩევნო ხმებს ბაქრაძე აღმოსავლეთ საქართველოში, თარგამაძე აჭარაში და ზურაბიშვილი თბილისში „ეჩალიჩებიან“.

აგვისტოს ბოლო დღეს მარგველაშვილმა წინასაარჩევნო იმერული ტურნე საჩხერე-ჭიათურაში დაასრულა. ჭიათურაში 13 საათზე დაგეგმილი შეხვედრის პერიპეტიების გაშუქებაზე მეტად ინტერვიუს ჩაწერა მინდოდა, თუმცა როცა ორი შეხვედრა არის ჩანიშნული ორ საათში თუნდაც 15 კილომეტრით დაშორებულ მუნიციპალურ ცენტრებში, მაშინ ნაკლებად არსებობს იმის შანსი, რომ ინტერვიუ „გამოცხვეს“.

დაახლოებით ერთი საათით ადრე შეკრების ადგილზე მივედი და კანტიკუნტად მოსულ ჭიათურელთა შორის „იმპორტირებული“ ახალგაზრდები შევამჩნიე. მათ არც მიხვრა-მოხვრაზე ეტყობოდათ ზემოიმერლობა, მით უფრო—საუბრის მანერა აშკარად „ცენტრალური“ იყო და არა პროვინციული. „ქართული ოცნების“ წინა წელს გამოშვებული მაისურით შემოსილი ახალგაზრდა ქალი ხმამაღლა აპროტესტებდა იმას, რომ მაისური არ შეხვდა. ისე, შარშან ვამბობდი, რომ მაისურები იმდენი დაარიგეს პარტიებმა, რომ მისი დეფიციტი ნამდვილად არ ახლო მომავალში არ გვექნება-მეთქი (თავადაც მაქვს „ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ მაისურები), მაგრამ თადარიგიანი ადამიანები მომდევნო არჩევნებამდე მარაგს იკეთებენ.

აქციის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე მუნიციპალიტეტის რამდენიმე ხელმძღვანელი გამოჩნდა, თვალი გადაავლო შეკრების დინამიკას და სასწრაფოდ დატოვეს შეკრების ადგილი (ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ბრალდებას ყველა ერიდება). მართალი გითხრათ, პროფესიული თვალსაზრისით გამიხარდა, რომ 200-მდე ადამიანი ელოდებოდა მარგველაშვილს. ანუ მექნებოდა სათქმელი, რომ ჭიათურაში დაპირებების შეუსრულებლობის გამო ამომრჩეველი არ მოვიდოდა პროტესტის ნიშნად, ან კიდევ სიტუაციას დაძაბავდა რომელიმე განაწყენებული ამომრჩეველი. საერთოდ, აგრესიის ბაზარი საქართველოში ისევ არსებობს და თანაც აგრესიული შინაარსის წერილის დაწერა უფრო ადვილია.

მარგველაშვილის შემოსვლა სცენაზე აჟიოტაჟის ფონზე მოხდა. მხოლოდ ერთმა მოხუცმა ქალმა მოასწრო მასთან ომახიანად მიჭრა. ადგილობრივი ხელისუფლება „ჩაუშვა“და წუწუნს მოჰყვა: „არაფერს აკეთებენ გამგეობაში, სოციალური მომიხსნეს და ასეთ ღარიბ რაიონში როგორ უნდა ვიცხოვრო? ძროხისთვის საძოვარი არ გვაქვს, მაღაროების თავზე სიმინდის თესვას აზრი არ აქვს, როგორ ვიცხოვრო, როგორ?“

მარგველაშვილის გამოსვლამდე წინასიტყვაობა მხატვრულ-პათეტიკურად ერთმა მსახიობმა ქალბატონმა გააკეთა: 27 ოქტომბერს დასრულდება ყველაფერი „ოცნების“ გამარჯვებით, მერე ერთად უნდა ვაშენოთ საოცნებო საქართველო, რაშიც ჩვენ წინ წაგვიძღვება უნიჭიერესი და უგანათლებულესი გიორგი მარგველაშვილიო.

დეპუტატმა წერეთელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რეგიონის ყველაზე პოტენციური რაიონი ყველაზე ღარიბიაო. მანვე კიდევ ერთხელ შეახსენა ჭიათურელებს გზების და სკოლების სარეაბილიტაციო საქმიანობის შესახებ (ამჟამად 42 სკოლიდან 24 რემონტდება და სამი მიმართულებით გზები იგება) და პრეზიდენტი სააკაშვილი თავის ხალხს ჩაუდგა ოპოზიციაშიო.

უამრავი კითხვიდან, რომელიც საზოგადოებას გააჩნდა, ერთი უმნიშვნელოვანესი ჯანდაცვის საკითხი იყო. სერგეენკოს მოადგილე მახათაძე, რომელიც ჭიათურული წარმოშობისა აღმოჩნდა, საპიარო ელემენტების შემცველი სიტყვით გამოვიდა: 80 ამბულატორია აშენდება მალე, გაორმაგდა სოციალური დახმარება, ყველა დაზღვეულია, პენსია გაზრდება სექტემბრიდან და ასე შემდეგ. ვინ დაგასმევინა კითხვა, რომ არსებული ამბულატორიების უმეტესობა ფუნქციას ვერ ასრულებს, ან კიდევ ის ვინ გათქმევინა, რომ ჭიათურას ერთი პატარა სამედიცინო ხუხულა შერჩა ორი უზარმაზარი საავადმყოფოს გაუქმების შემდეგ. ..

თვალი გადავავლე შეკრებილ რამდენიმე ასეულ ადამიანს და ვერც სკოლის დირექტორები დავინახე და ვერც მასწავლებლების მორჩილი ჯგუფები, თუმცა „ჯოს, ჯოს, გაუმარ-ჯოს“ დამძახებლები ისევ ისე შემორჩენია ასეთ აქციებს, როგორც რამდენიმე წლის წინ.

მარგველაშვილის სიტყვა ხალხურობის ეფექტებით გამოირჩეოდა და ფილოსოფოსის მეტყველებიდან უფრო სენტიმენტალური აპლომბები ისმოდა. მანგანუმის წარმოების ნახევარი ჭიათურაზე მოდიოდაო, ისევ ცუდად ცხოვრობთ, მაგრამ არა იმიტომ რომ შრომა გეზარებათ, არამედ იმის გამო რომ, ცუდად გიხდიანო, 27-ში კოჰაბიტაცია დასრულდებაო. ჯოს-ჯოს ძახილით დასრულდა მარგველაშვილის სიტყვა და ამ დროს ჭიათურის საკრებულოს ყველაზე „იარკიი“ წევრმა, როსტომ ცარციძემ, მიმართა სცენაზე ამაღლებულებს, სიტყვა მათქმევინეთო. რკინის ღობურის გარეთ გამოვალ და მითხარიო, უპასუხა მარგველაშვილმა, თუმცა ღობურიდან გამოსულამდე ვერც ცარციძემ მიაღწია და ვერც ჩემმა დიქტოფონმა. ხალხის ტალღამ აქით-იქით მიმაგდო და ეპიზოდურად მესმოდა კითხვები: სოფლის ამბულატორიებს ეშველება რამე? ლგბტ-ზე რას იტყვით? და ამასობაში დაცვის სამსახურმა მანქანაში ჩასვა პრემიერის რჩეული და ბევრ კითხვაზე პასუხები დარჩა გაუცემელი.



საჩხერეში 14 საათზე დაგეგმილი შეხვედრა დაწყებული იყო, როცა გამგეობის წინ მივლასლასდი. მანქანით ახლოს ვერ მივედი და თითქმის 400 მეტრი ქოშინით ავირბინე. პრემიერი საჩხერელებს ეუბნებოდა: ჩვენ თითქმის ყველა დაპირება ავასრულეთ, მარგველაშვილი ჩემთვის აღმოჩენა იყო, კარგი პრეზიდენტი გეყოლებათ, მან წიგნების უფასოდ დარიგების პროგრამა თავად შეიმუშავა და მერე გამაცნოო. გთხოვთ, მოდით არჩევნებზე და პირველსავე ტურში გაამარჯვებინეთ მარგველაშვილსო.

თავად „ოცნების“ კანდიდატმა „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგიას გარყვნილი უწოდა და ბიძინა ივანიშვილის მიმართ წამოწყებული ამ იდეოლოგიის მსხვერპლი თავად გახდა „ნაცმოძრაობა“ და ყველაზე დიდი მარცხი სწორედ ამ მუნიციპალიტეტში განიცადაო.

საჩხერეში მარგველაშვილის სასცენო ამალაში დამატებით ჯანდაცვის მინისტრი და ვიცესპიკერი მანანა კობახიძეც იყო. საჩხერლებს უხაროდათ, რომ იშვიათად თვალმოკრულ მაჟორიტარ კობახიძე ისევ ვხედავთ და სათქმელს ვეტყვითო, თუმცა მარგველაშვილის სცენიდან ჩამოსვლისთანავე მაღალჩინოსნები სწრაფად გაქრნენ თვალსაწიერიდან. ეკა ბესელიამ, რომელიც მედიასთან კონტაქტურობით გამოირჩევა, კომენტარი გააკეთა მარგველაშვილის იმერული ტურნეს შესახებ: „მე ვფიქრობ, რომ ეს ტურნე იყო ისეთი, როგორიც თავად იმერეთია, განსაკუთრებული, კოლორიტული, გამორჩეული, პეწიანი, საინტერესო. ასეთი შეხვედრები არის ყველაზე ეფექტიანი, რადგან ყველაზე მეტი ინფორმაცია ასეთ დროს მოდის ჩვენამდე და კომუნიკაციის ყველაზე კარგი ფორმაა. საჩხერში შეხვედრა ერთგვარი შეჯამება იყო 10 თვიანი მუშაობისა, პრემიერმა ამის შესახებ უკვე თქვა. რაც შეეხება მარგველაშვილის საჩხერეში გამოსვლას, მომავალი პრეზიდენტის მარგველაშვილის დღეს გახმიანებული მესიჯები ერთგვარი გვირგვინი იყო ამ შეხვედრების, რომელსაც იმერეთში მართავს მომავალი პრეზიდენტი.“

სამოქალაქო ფორმის მიუხედავად პოლიციის ერთი მაღალჩინოსანი ვიცანი, გამიღიმა და მაშინვე ვუთხარი: ამ არჩევნების წინ არც ქვებს ისვრიან, არც საცემად იწევენ ჩემზე, არც იგინებიან და რაღაც „დვიჟენიები“ არ გინდათ სიტუაციის დასარეფრეშებლად თუ ასე უინტერესოდ უნდა გავატაროთ მომდევნო ორი თვე-მეთქი? ახლა არ არის ეგ საჭირო, ისედაც გაიმარჯვებს მარგველაშვილი, ჩემი აზრითო.

ერთმა ზემოთხსენებულ პარლამენტართაგანმა შეხვედრისთანავე მკითხა, როგორ იქნება აქ საქმე, მარგველაშვილი გაიმარჯვებს თუ ვერაო. რა ვიცი, სამწუხაროდ, ჩემი აზრით და ხელთ არსებული ინფორმაციით, მარგველაშვილი 50%+1 ხმას მიიღებს, არადა ორტურიანი არჩევნები უფრო დემოკრატიულობის ნიშანი იქნებოდა, — მივუგე მწარედ.

საინტერესოა, როცა მარგველაშვილს პიარში ეხმარება მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, დეპუტატები, იგივეს რატომ არ აკეთებენ ბაქრაძის მეგობარი პოლიტიკოსები? ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისგან შორს იჭერენ თავს? არადა ისინი ადრე ამას იყენებდნენ. კულუარული ინფორმაციით, ბაქრაძეს ის ურჩევნია, მარტომ იაროს, ვიდრე საქმე გაუფუჭოს „ნაციონალური მოძრაობის“ ცნობადმა სახეებმაო.

ისე, ეტყობოდა, რომ იმერეთი მაინცდამაინც დიდად აჟიტირებული არ ხვდება საპრეზიდენტო არჩევნებს...

# რომელი ქართული ფილმი გაიგზავნება „ოსკარზე“?

ეკა ირემაშვილი

რომელი ქართული ფილმი წარადგენს საქართველოს „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონიალზე? ამ კითხვაზე პასუხს დაინტერესებული საზოგადოება სექტემბრის პირველ კვირაშივე მიიღებს. როგორც ეროვნული კინოცენტრი იტყობინება, „ამერიკის კინოაკადემიის“ დაჯილდოების ცერემონიაზე კანდიდატ ფილმად წარსადგენად სამი ქართული ფილმია შერჩეული და მათგან ერთი საუკეთესო უნდა დასახელდეს.

უკვე ცნობილია, რომ „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონიალზე წარსადგენ კანდიდატ ფილმებს შორისაა ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“, თინა გურჩიანის „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ და გიორგი მეგრელიშვილის ფილმი „იბრძოლე“.

სექტემბრის პირველ კვირას კინოთეატრ „ამირანში“ სპეციალური კომისია შეიკრიბება, რომელიც წარდგენილი სამი ფილმიდან „ოსკარზე“ გასაგზავნ ფილმს ერთობლივად შეარჩევს. კომისიაში, რომელიც 17 წევრისგან შედგება, ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი ნანა ჯანელიძე, მერაბ კოკოჩაშვილი, ქეთი დოლიძე და სხვა ცნობილი რეჟისორები და პროდიუსერები არიან გაერთიანებული.

ის სიახლე, რომ ამერიკის კინოაკადემიამ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს თხოვნით მიმართა 2013 წლის კანდიდატი ფილმის შესარჩევად, აგვისტოს დასაწყისში გახმაურდა. ამ თემასთან დაკავშირებით ქართველ საზოგადოებას ინფორმაცია ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელმა ნანა ჯანელიძემ მიაწოდა:

— კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კანდიდატი ფილმის ასარჩევად განაცხადების მიღებას. განიხილება ფილმები, რომლებიც შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს: 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 30 სექტემბრამდე 7 დღის ვადაში უწყვეტად გადიოდა და გავა კინოთეატრებში, აღნიშნულ ფილმს გააჩნდა ინდუსტრიაში მიღებული ფორმის რეკლამა, პრემიერამდე მისი ჩვენება არ განხორციელდა ტელევიზიით ან ინტერნეტით და, რაც მთავარია, შემოქმედებით ჯგუფს უმეტესად საქართველოს მოქალაქეები უნდა შეადგენდნენ, — აღნიშნა ნანა ჯანელიძემ.

მისივე თქმით, „ოსკარის“ ნომინანტ ქართულ ფილმს 17-კაციანი კომპეტენტური ჟიური შეარჩევს, კინოსურათი კი ამერიკაში 2013 წლის პირველ ოქტომბრამდე უნდა გაიგზავნოს. როგორც კინოცენტრში განმარტავენ, რამდენიმე ქართულ ფილმს წარმატების მიღწევის რეალური შანსი აქვს.

— განაცხადში ფილმის მწარმოებელმა უნდა დაადასტუროს, რომ ფილმი აკმაყოფილებს ან დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს და მას აქვს უფლება და სურვილი წარმოადგინოს ფილმი განსახილველად. განაცხადს მწარმოებელმა უნდა დაურთოს ფილმის ასლი დივიდი/ბლურეი ან დისიპი-ზე, ინგლისურენოვანი სუბტიტრების თანხლებით. ბლურეი/დისიპი განმცხადებელს დაუბრუნდება ფილმების განხილვის შემდეგ. დივიდი ვერსია კი დარჩება კინოცენტრის არქივში. წარმოდგენილი ფილმის ვარიანტი უნდა შეესაბამებოდეს ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კინოთეატრში კომერციულად ნაჩვენებ ვარიანტს. განაცხადს უნდა ერთვოდეს ფილმზე მომუშავე პირების სია ინგლისურ ენაზე, კინოცენტრის/კინოაკადემიის შემოთავაზებულ ფორმატში. განაცხადის მიღების ბოლო ვადა 20 აგვისტოს ამოიწურა. რაც შეეხება სხვა პირობებს, იმ შემთხვევაში თუ პროექტი ჯერ არ აკმაყოფილებს კომერციულ კინოთეატრში 7-დღიანი უწყვეტი კომერციული ჩვენების მოთხოვნას, აუცილებელია, განმცხადებელმა დაადასტუროს, რომ 30 სექტემბრამდე ფილმი 7 დღის განმავლობაში უწყვეტად იქნება ნაჩვენები კომერციულ ეკრანზე და დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს. კვალიფიციური ფილმების ჩვენება კომისიის წევრებისათვის გაიმართება სექტემბერში. კომისიის წევრების მიერ ერთი წარსადგენი ფილმი განხილვისა და კენჭისყრის შედეგად ამოირჩევა, — განმარტა ნანა ჯანელიძემ.

როგორც ნანა ჯანელიძემ განმარტა, შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ რეჟისორს ჰქონდა. ამერიკის კინოაკადემიის „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონია ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად იმართება. კინოაკადემიის 86-ე დაჯილდოება მომავალი წლის 2 მარტს გაიმართება.

გარდა იმისა, რომ ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ერთობლივი ნამუშევარი „გრძელი ნათელი დღეები „ოსკარზე“ წარსადგენ ფილმებს შორის დასახელდა და არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის ჯილდოც დაიმსახურა, ეროვნული კინოცენტრის ექსკლუზიურად ავრცელებს ინფორმაციას, რომ სარაევოს ფესტივალზე წარდგენის შემდეგ ეს ფილმი, რომელიც არის ქართული ამბავი მოზარდების შესახებ, შეირჩა ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელების მიზნით ბრუკლინის „ბიგ უორლდ ფიქჩერზ“-ის მიერ.

— „ბიგ უორლდ ფიქჩერზი“ გეგმავს „გრძელი ნათელი დღეების“ დიდ ეკრანებზე ჩვენებას 2014 წლის დასაწყისში მას შემდეგ, რაც ის მოივლის ამერიკის შეერთებული შტატების ფესტივალებს. პარიზის ერთ-ერთმა ორგანიზაციამ პოპულარიზაცია გაუწია ფილმს „გრძელი ნათელი დღეები“, რომელმაც ასევე მოიგო საუკეთესო ქალი მსახიობის ნომინაცია ორი მთავარი ქალი გმირის — ლიკა ბაბლუანისა და მარიამ ბოკერიას სახით — სარაევოს მე-19 ფესტივალზე. ფილმმა „გრძელი ნათელი დღეები“ სილვერვეართან ერთად მოიპოვა ჯილდო ბერლინალეს ფორუმზე ისევე, როგორც ფიპრესისა და გოლდენ ფაიერბიორდ ნოდს-ის აღიარება ჰონგკონგში. სარაევოს ფესტივალზე წარდგენილი იყო დამწყები ქართველი კინორეჟისორი ნანა ექვთიმიშვილი, რომელმაც გერმანელ სიმონ გროსთან თანამშრომლობით გადაიღო ფილმი. ტალანტი, რომელმაც დატოვა კვალი და აძლევს გემოვნებიან მაყურებელს კიდევ ერთ საბაბს იმსჯელოს იმის თაობაზე, რომ ევროპაში ახალი ტალანტების აღმოჩენის პროცესში საქართველოს შეიძლება ვუწოდოთ „ახალი რუმინეთი“, — აღნიშნულია ეროვნული კინოცენტრის ექსკლუზიურ ინფორმაციაში.

ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“ მოგვითხრობს 1992 წლის საქართველოს დედაქალაქ თბილისზე — საბჭოთა კავშირის დაშლის მერე და საომარ სიტუაციაზე აფხაზეთში. ამას მოჰყვება ორი მოსწავლე გოგონას მეგობრობა — საშუალო ფენის ეკასა და კლასის ლამაზმან ნათიას შორის, რომელიც არის მუდმივად მეამბოხე მუშათა კლასის ოჯახიდან. ბავშვობასთან დამშვიდობებისთანავე ისინი უგულებელყოფენ დრომოჭმულ ტრადიციებს, ცდილობენ მოშორდნენ თავიანთ ქაოტურ ოჯახურ ცხოვრებას და უპირისპირდებიან მამაკაცების დომინირებისა და ძალადობის არაერთ მაგალითს, რაც ფილმს ტრაგედიად აქცევს.

— ვინმე თუ დარჩა ისეთი, ვინც ფიქრობს, რომ მეტი არაფერი გააკვირვებთ საყმაწვილო ჟანრში — უნდა ნახოს ეს ფილმი, — ენთუზიაზმით თქვა „ბიგ უორლდ ფიქჩერზ“-ის წარმომადგენელმა ჯონათან ჰოუელმა.

**მან ასევე თქვა:**

— გარდა დროის ძლიერი გამოწვევისა და ადგილისა, რომელიც აქამდე არასდროს იყო დაფიქსირებული ფილმში, ამბავი არის სულისშემძვრელი თავიდან ბოლომდე და ორი მთავარი გმირი არის ნამდვილი აღმოჩენა, რომლებმაც გაითავისეს თავიანთი როლები საკმაოდ დამაჯერებელი თამაშით.

„გრძელი ნათელი დღეები“ კარგად მიიღეს ბერლინში. ვარიეტი-მ უწოდა მას „შთამბეჭდავი, გონივრულად შედგენილი საყმაწვილო ფილმი. მყიდველებს შორის „არტიფიციელ აიემ“ მოითხოვა უფლებები გაერთიანებულ სამეფოზე, პელეს-მა ავსტრალიაზე და იმეჯინმა — ბენელუქსზე.

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმი პირველად ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ფორუმის ოფიციალურ პროგრამაში აჩვენეს. სურათმა საერთაშორისო კინოფესტივალებზე არაერთი წარმატება მოიპოვა. ფილმში მთავარ როლებს ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია ასრულებენ. „გრძელი ნათელი დღეები“ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ქართულ-გერმანულ-ფრანგული კოპროდუქციაა. კოპროდუქციის მხარეები გერმანიისა და საფრანგეთის სახელმწიფო კულტურული ფონდები და გერმანიის და საფრანგეთის ტელევიზიები არიან. ფილმი ორი გოგონას ისტორიას მოგვითხრობს, რომელიც 90-იანი წლების თბილისის ფონზე ვითარდება. ფილმზე ქართველ რეჟისორ ნანა ექვთიმიშვილსა და ბერლინელ სიმონ გროსთან ერთად ცნობილი რუმინელი ოპერატორი ოლეგ მუტუ მუშაობდა, რომლის ნამუშევრებს შორისაა ფილმები „გორაკებს მიღმა“, „4თვე, 3კვირა, 2დღე“. ფილმის სცენარი ნანა ექვთიმიშვილს ეკუთვნის, მონტაჟი — შტეფან შტაბენოვს, პროდუსერები — სიმონ გროსი, მარკ ვეხტერი, კო-პროდიუსერი — გიომ დე სეიე, მთავარ როლებში — ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია, როლებში — თემიკო ჭიჭინაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ბერტა ხაფავა, ანა ნიჟარაძე, ზაზა სალია, ენდი ძიძავა, მარინა ჯანაშია, მაია ლომიძე.

ერთობლივი ფილმი ორი თინეიჯერი გოგონას, ნათიასა და ეკას ცხოვრებას 90-იანი წლების ფონზე ასახავს. ფილმში გაცოცხლებულია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი დღეები.

**ფილმის რეჟისორი ნანა ექვთიმიშვილი აცხადებს:**

— ასამდე სკოლა მოვიარეთ, სანამ ეკას როლის შემსრულებელს ვიპოვიდით, ნათია კი ქუჩაში შევნიშნეთ და მაშინვე გადაღებებზე მივიწვიეთ. კასტინგი მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ფილმის მოქმედება 90-იანი წლების საქართველოში ვითარდება და ფილმის მთავარი პერსონაჟები ორი თოთხმეტი წლის გოგონა ეკა და ნათია არიან. მათი ცხოვრება სახლს, სკოლას, ქუჩას და პურის რიგს არ სცდება. ისინი ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობენ, კლასელები და საუკეთესო მეგობრები არიან და თითოეულის ოჯახური ცხოვრებაც თავისებურად სირთულეებითაა მოცული. თუმცა იმ დროს, როცა უფროსი თაობა ყოველდღიური პრობლემებით არის დაკავებული, გოგონებს თავიანთი ცხოვრება აქვთ. ისინი იმ დროინდელი ყოფის ფონზე, როცა საზოგადოებაში გადარჩენის უხეში კანონები მოქმედებს, ცდილობენ იმაში გაერკვნენ, თუ როგორ, რა პრინციპით და კანონით ფუნქციონირებს ურთიერთობა ორ საპირისპირო სქესს შორის. მათ, პირველად ცხოვრებაში, ისეთ საკითხებთან უწევთ შეხება, როგორებიცაა მეგობრობა, სიყვარული, შურისძიება... ფილმი იმის შესახებ მოგვითხრობს, თუ რა გამოწვევების წინაშე დგებიან ფილმის მთავარი გმირები და რა გადაწყვეტილებებს იღებენ ისინი.

**კითხვაზე, თუ როგორ გაჩნდა ფილმის იდეა, რეჟისორი პასუხობს:**

— თბილისში დავიბადე და გვიან 90-იან წლებში საქართველოდან გერმანიაში სასწავლებლად გავემგზავრე. სწავლის პერიოდშივე გამიჩნდა იდეა ფილმის შესახებ, რომელშიც ამბავი ორი თოთხმეტი წლის გოგონას შესახებ, 90-იანი წლების თბილისში არის მოთხრობილი. იმ წლებში მეც ჩვენი გმირებივით ყოველ დღე პურის რიგში ვიდექი, თუმცა ამას ტრაგედიად სულაც არ აღვიქვამდი. გერ-

**გაგრძელება მე-8 გვერდზე**

# ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ფილმს გადაიღებენ

ეკა ირემაშვილი

ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ფილმს გადაიღებენ. ამის შესახებ ინფორმაციას ეროვნული კინოცენტრი ავრცელებს და აღნიშნავს, რომ ექვთიმე ღვთისკაცზე სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან დოკუმენტურ-მხატვრული ფილმის 2013 წელს წარმოების დაფინანსების კონკურსი გამოცხადებულია.

— კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიზანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით ეროვნული ფილმის წარმოების დაფინანსება. 2013 წელი იუნესკომ ექვთიმე თაყაიშვილის წლად გამოაცხადა, წელს ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავი აღინიშნება. ამასთან დაკავშირებით, 2013 წლის 19 აგვისტოს გამოცხადდა კონკურსი „ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე“ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან დოკუმენტურ-მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების მიზნით, — ამბობენ ეროვნულ კინოცენტრში.

კინოცენტრის ცნობით, კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. საექსპერტო კომისიაში პროექტის განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს პროდიუსერის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს გადასახადის გადამხდელი როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. აღნიშნული პირობის დაკმაყოფილება განისაზღვრება, როგორც პროდიუსერის საგანაცხადო ვალდებულება.

—რაც შეეხება დაფინანსებას, კონკურსში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი არის სახელმწიფო დაკვეთა და კინოცენტრის მიერ დაფინანსდება სრულად ფილმის ბიუჯეტის 100%-ით. საკონკურსო ფონდი შეადგენს 100.000 ლარს. ეროვნული კინოცენტრი კომისიის რეკომენდაციით დააფინანსებს 1 პროექტს. „ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე“ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან დოკუმენტურ-მხატვრული ფილმის ხანგრძლივობა უნდა იყოს 60-90 წუთამდე. კონკურსი ჩატარდება ორ ტურად. პირველ ტურში საექსპერტო კომისიის წევრები გაეცნობიან კონკურსზე შემოტანილ პროექტებს და დააფასებენ დადგენილი ქულების სისტემის საფუძველზე. კომისია განსაზღვრავს იმ მინიმალურ ქულათა ოდენობას, რომელიც უნდა მიიღოს პროექტმა მეორე ტურში გადასასვლელად. მეორე ტურში გადავლენ მხოლოდ ის პროექტები, რომელთა ქულა აღემატება კომისიის მიერ დადგენილ მინიმალურ ზღვარს. პროექტები, რომლებიც არ გადავიდნენ მეორე ტურში კონკურსს ეთიშებიან. მეორე ტური გულისხმობს პროექტის პრეზენტაციას კომისიის წევრების წინაშე. მეორე ტურის შედეგად კომისიის წევრები აფასებენ პროექტის პრეზენტაციას და წერენ შესაბამის ქულას. კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ცალკეული პროექტის ქულათა საერთო ჯამის საფუძველზე და წარუდგენენ კინოცენტრს რეკომენდაციას გამარჯვებული პროექტ(ებ)ის შესახებ, — აღნიშნავს პროექტის კურატორი მანანა მელაძე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველი პროდიუსერები ვალდებულნი არიან, პირველ რიგში მოიპოვონ ეროვნული ფილმის ცნობა და მხოლოდ შემდეგ შემოიტანონ განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

— პროდიუსერებმა ეროვნული ფილმის ცნობის მისაღებად კინოცენტრში უნდა წარმოადგინონ განცხადება ეროვნული ფილმის ცნობის მისაღებად (კინოცენტრის მიერ დადგენილი ფორმით); იურიდიული პირებისათვის წესდების ასლი, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან; ფიზიკური პირისთვის პირადობის მოწმობის ასლი და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ან საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა; ინფორმაცია იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ; ფილმის ავტორთა (რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი) პირადობის მოწმობის ასლები, რომელიც ადასტურებს მათ მოქალაქეობას; ფილმის „თრითმენტი“ (მოცემული ამბის მოკლე აღწერა); ხელშეკრულებები რეჟისორთან, სცენარის ავტორთან და დიალოგების ავტორთან (ორიგინალები ან ასლები ნოტარიულად დამოწმებული), რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ განმცხადებელი არის კანონიერი მფლობელი ყველა იმ საავტორო უფლებისა, რომელიც ფილმში იქნება გამოყენებული და ფილმის ბიუჯეტი. განაცხადი, რომელიც არ შეიცავს ეროვნული ფილმის ცნობას „ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე“ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან დოკუმენტურ-მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსში არ განიხილება. ეროვნული ფილმის ცნობა გაიცემა, პროდიუსერის მიერ სრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. სავალდებულო საკონკურსო დოკუმენტაციაა ეროვნული ფილმის ცნობა; აპლიკაცია (ეროვნული კინოცენტრის მიერ შემუშავებული ფორმით); რეჟისორის წინა ნამუშევარი; პროდიუსერის წინა ნამუშევარი (თუ ასეთი არსებობს); ფილმის ავტორთა (რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, კომპოზიტორი) ბიოფილმოგრაფია და კოორდინატები; პროდიუსერის მოტივაცია; რეჟისორის ხედვა; ფილმის მოკლე სინოფსისი (1 გვერდამდე); ფილმის სცენარი (მოცემული ამბის დეტალური აღწერა); ფილმის ბიუჯეტი; საწარმოო გეგმა (სამუშაოების შესრულების განრიგი), რომელიც მოიცავს წინასაწარმოო, გადაღების, პოსტ პროდუქციის ვადებსა და პრემიერის სავარაუდო თარიღს. დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას 9 ეგზემპლარად და 1 ცალად ელექტრონული ვერსიის სახით. ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს პროდიუსერის ხელმოწერით. პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 9 სექტემბერი, — განმარტავს ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენელი.



მანანა მელაძის თქმით, კონკურსში დაწესებულია შეზღუდვები — კონკურსში მონაწილე პროდიუსერს მხოლოდ ერთი პროექტის წარდგენის უფლება აქვს:

— ეროვნული კინოცენტრი არ მიიღებს იმ პროდიუსერთა პროექტებს, რომელთა ავტორებმა (პროდიუსერი და რეჟისორი) ვერ შეასრულეს ეროვნული კინოცენტრის წინაშე აღებული ვალდებულება. არ შეიძლება, ერთი და იგივე პროექტი მონაწილეობდეს კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ ერთდროულად მიმდინარე სხვადასხვა კონკურსებში. ეროვნული კინოცენტრი კონკურსიის მონაწილეებს მოგმართავთ თხოვნით, დაიცვათ ეთიკის ნორმები საექსპერტო კომისიის წევრებისა და კინოცენტრის თანამშრომლების მიმართ და პატივი სცეთ ჟიურის გადაწყვეტილებას. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია კონსულტაციების გავლა. კონსულტაციები ჩატარდება ეროვნულ კინოცენტრში.

ექვთიმე თაყაიშვილი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და მას ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა. ცნობილია, რომ მან საქართველოს ქართული საგანძური შეუნახა და საფრანგეთიდან საქართველოში უვნებლად და უნაკლოდ ჩამოუტანა. ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოში საკმაოდ ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა: თბილისის ქართულ სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში ბერძნულ და ლათინურ ენებს ასწავლიდა, იყო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გამგეობის წევრი, პარალელურად აქვეყნებდა ძველ ხელნაწერთა აღწერილობებს გაზეთ ივერიაში. ექვთიმე თაყაიშვილის პირველ სამეცნიერო ნაბიჯებს მტკიცე ნიადაგი მოუმზადა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელსაც ექვთიმე შეხვდა გიმნაზიაში მასწავლებლობის დაწყებიდან ერთ წელიწადში. ისინი ხშირად ერთად მოგზაურობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ერთად ეძებდნენ, კრებდნენ ძველ ქართულ ხელნაწერებს, სწავლობდნენ და აბინავებდნენ მუზეუმში. მან შეისწავლა და გამოიკვლია „პარხლის სახარება“. ამას მოჰყვა შატბერდული „მოქცევაი ქართლისაის“ ახლებური წაკითხვა და დათარიღება. გამოსცა „ახალი ვარიანტი წმიდა ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“. საქართველოს ადრეული ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი იყო მის მიერ აღმოჩენილი „ხელმწიფის კარის გარიგების“ ხელნაწერი. ეს ხელნაწერი ექვთიმემ ქართლში მოგზაურობის დროს გაპარტახებულ სახლში იპოვა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ „ხელმწიფის კარის გარიგება“ მისი გამოკვლევით და წინასიტყვაობით გამოსცა. ასევე გამოკვლეული აქვს „აბდულმესიანის“, „თამარიანის“, „ვისრამიანის“, „ამირანდარეჯანიანის“, „როსტომიანის“, „ქილილა და დამანას“, „რუსუდანიანის“, „ომანიანის“, თეიმურაზ I თხზულებათა, თეიმურაზ ბატონიშვილის რუსთველოლოგიური შენიშვნებისა და სხვათა მრავალთა ხელნაწერები.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილ „ვეფხისტყაოსნის“ ძველ ხელნაწერებს. მან თავი მოუყარა 17 ხელნაწერს, რომელთა შორის ზოგი მეტად საყურადღებო იყო, როგორც ვარიანტებით, ისე მხატვრობით. საერთოდ კი 24 ხელნაწერის შესახებ მოკრიბა ცნობები. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ თავმოყრილ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შორის უძველესი იყო 1646 წლის, რომელიც ვინმე კორინთელისაგან შეიძინა, ასევე მეფე გიორგი XI-ისათვის მისი მდივნის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. ეს ხელნაწერი გამოირჩევა თავისი მოხატულობით. ექვთიმე თაყაიშვილის დიდი დამსახურებაა გადარჩენა პელაგია წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც სიუჟეტური მინიატურებით იყო დასურათებული.

ექვთიმე თაყაიშვილი ილია ჭავჭავაძეს განჯიდან თბილისში ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაში ეხმარებოდა. მისი რედაქტორობით „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი სრული კრებული.

ექვთიმე თაყაიშვილმა სამგზის იმოგზაურა საქართველოს სამხრეთ ნაწილში — თურქეთის საქართველოში. პირველ ექსპედიციაში მასთან ერთად მონაწილეობდნენ არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი და ფოტოგრაფი ალექსანდრე მამუჩაიშვილი. ახალციხისა და ახალქალაქის ზოგ ძეგლთან ერთად მაშინ მათ გამოიკვლიეს არტაანის ოლქის ძეგლები და ოლთისის ოლქის ნაწილი. მეორე ექსპედიციის დროს ექვთიმე თაყაიშვილმა ინახულა და აღწერა თორთუმის ხეობის ზემო წელში მდებარე ექექის ტაძარი, ამ ტაძრის სამხრეთით მდებარე სოფელ სოხროთის ტაძარი, ოთხთა ეკლესია, პარხალი და სხვა მნიშვნელოვანი ძეგლები. ამ არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიცა პარიზში, 1930-იანი წლების მეორე ნახევარში. ექვთიმე თაყაიშვილი იყო არქეოლოგიური ექსპედიციის ორგანიზატორი ლეჩხუმსა და სვანეთში, მონაწილეობდა ვანის აკროპოლისის გათხრებში.

ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომს „მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის“ მაღალი შეფასება მისცა რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ. იგი აღნიშნული საზოგადოების დიდი ოქროს მედლით დაჯილდოვდა. საქართველოს სამეცნიერო-კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მის მიერ დაარსებულმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომლის მიზანი საქართველოს ისტორიის, მისი ხალხის ყოფა-ცხოვრების, ხელოვნების ძეგლების შესწავლა იყო. საზოგადოების თავმჯდომარე თავად ექვთიმე თაყაიშვილი იყო 1921 წლამდე. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ფართო და ნაყოფიერი მუშაობა გაშალა. მრა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# რომელი ქართული ფილმი გაიგზავნება „ოსკარზე“?

დასაწყისი მე-7 გვერდზე

მანიაში ყოფნისას ძალიან ხშირად ვფიქრობდი ამ დროზე, ჩემს მეგობრებზე... იმაზე რაც ჩემს ცხოვრებაში და ჩემს სიახლოვეს მოხდა. ამ ყველაფერმა ფილმის სცენარამდე მიმიყვანა. 90-იანი წლები ძალიან დიდი თემაა, ჩვენი ისტორიაა, რომელიც ყველას შეეხო, ძალიან მტკივნეულად, ადამიანების და თაობების ბედი შეცვალა. ფილმის ამბავი ჩემი მახსოვრობიდან, ჩემი მაშინდელი მოგონებებიდან და შეგრძნებებიდან წარმოიშვა. ჩვენი ფილმის მოქმედება 1992 წლის გაზაფხულ-ზაფხულში ვითარდება. თავიდანვე ასე იყო, რომ ფილმის მოქმედება აუცილებლად გაზაფხულ-ზაფხულში უნდა მომხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარმა საოცრად ზუსტად და სასტიკად ასახა ის დრო, ამ ფილმის იდეას ჩემთვის წელიწადის თბილი და მზიანი დრო უფრო ზუსტად ეხმაურება.

ფილმის მწარმოებელი მხარეები არიან გერმანიის „ინდიზ ფილმ“, საქართველოს „პოლარე ფილმ“ და საფრანგეთის „არიზონა პროდაქშენს“. „გრძელი ნათელი დღეები“ იყო შექმნილი სამაუწყებლო კომპანია ზიდიეფ-თან ერთობლივი ძალებით და წინასწარ ნაყიდი არტე-ს მიერ. მან ასევე მიიღო მხარდაჭერა საქართველოს ეროვნული კინოცენტრისგან, რომელიც წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ ძალას საქართველოს კინემატოგრაფიის ხელახალ აღორძინებაში.

# ია ფარულავა „ნიჭიერის“ ჟიურიში დაჯდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვაში ნომერი წყდება. ჟიური მონაწილეს აფასებს ერთი სიტყვით: „კი“ ან „არა“. შემდეგ ტურში გადასასვლელად მონაწილემ უნდა მიიღოს ორი ან სამი „კი“. მეორე ეტაპზე პირველი ტურის დასრულების შემდეგ ჟიურის სამივე წევრი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად იკრიბება. ისინი კიდევ ერთხელ გადახედავენ იმ კონკურსანტებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს პირველი ტური და გადაწყვეტენ, იმსახურებს თუ არა ესა თუ ის მონაწილე ნახევარფინალში მოხვედრას.

„ნიჭიერის“ 5 ნახევარფინალი კონცერტის სახით გადაიცემა პირდაპირ ეთერში. თითო ნახევარფინალიდან ფინალში გადადის ორი მონაწილე: ერთი ის, ვინც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს კონკურსის მსვლელობისას, ხოლო მეორე ფინალისტს ჟიური შეარჩევს.

რაც შეეხება ფინალს, ნახევარფინალებში გამარჯვებული 10 კონკურსანტი ერთმანეთს ფინალურ კონცერტზე შეხვდება. ამჯერად მათი ბედი მთლიანად მაყურებლის ხელთაა — „ნიჭიერის“ გამარჯვებული და ბინის მფლობელი ის მონაწილე გახდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს.

პროექტის ფარგლებში ხორციელდება ინტერნეტნიჭიერიც — „საქართველოს ბანკი“ „ნიჭიერის ინტერნეტვერსიას წარმოადგენს.

სამი სეზონის განმავლობაში „ნიჭიერს“ უცვლელი წამყვანები ჰყავდა — თიკა ფაცაცია და ვანიკო თარხნიშვილი, უცვლელი იყო ჟიურის ბოლო ორ სეზონზე — პოპულარული მომღერალი სოფო ნიჟარაძე, „ზე ვანის შოუს“ წამყვანი, იუმორისტი ვანო ჯავახიშვილი და „რუსთავი 2“-ის მარკეტინგისა და პროგრამების მენეჯერი გეგა ფალავანდიშვილი. პირველ სეზონზე „ნიჭიერის“ ჟიურიში გეგა ფალავანდიშვილი, ნიკა მემანიშვილი და მაია ასათიანი იყვნენ.

პირველ და მეორე სეზონში გამარჯვება მომღერლებმა ლევან შავაძემ და ვანო ფიფიამ მოიპოვეს. მესამე სეზონის გამარჯვებული კი ნონა გიუნაშვილი გახდა, რომელიც ქვიშაზე ხატავდა.

წელს მორიგი „ნიჭიერის“ ძიება იწყება. თბილისში უკვე გაიმართა შესარჩევი ტურები. ორი დღის განმავლობაში ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე ყველა იმ ადამიანს შეეძლო საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა, ვისაც თავი ნიჭიერი ჰგონია. 25 ივლისიდან „ნიჭიერი“ უკვე საქართველოს რეგიონებში გადაინაცვლებს და გორში ყველაზე ნიჭიერი კონკურსანტების შერჩევას დაიწყებს. როგორც პროექტის პროდიუსერები ამბობენ, ისინი მთელი ზაფხულის განმავლობაში მთელ საქართველოს მოივლიან და ყველაზე ნიჭიერებს ფართო საზოგადოებას წარუდგენენ.


## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის — ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ. №166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● ძვალსახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბანლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა— ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ვიტ ჯორჯია გალიდერდა

**ვიტ ჯორჯია (თბილისი) – მერანი (მარტვილი) 3:0 (1:0)**

**მცხეთა. მცხეთა პარკი**

1:0 დავლაშელიძე (29), 2:0, 3:0 კორიფაძე (63, 73)

**ვიტ ჯორჯია:** დაუშვილი, მჭედლიშვილი, გეთიაშვილი, კასრაძე, ჯავაშვილი, წყაროზია (მაისურაძე 77), დავლაშელიძე, კორიფაძე, ჯანელიძე, სიჭინავა (პავლიაშვილი 56), კუხალეიშვილი (ლობჯანიძე 84)

**მერანი:** შეროზია, ფარულავა, ქარქუზაშვილი, ხუბუა, მელიავა, შ.კერძევაძე, მელქაძე (ლობჟანიძე 54), ბაბუნაშვილი, კვანტალიანი, შულაია (ფონიავა 51), კუჭუხიძე

ვეტერინარები მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ და სამართლიანადაც გაიმარჯვეს. ისიც აღსანიშნავია, რომ „ვიტ ჯორჯია" სეზონს საკმაოდ კარგად შეხვდა და ცხრილის სათავეშიც იმყოფებიან. თუმცა, მათ აკლიათ ის მარილი, რასაც საჩემპიონო ამბიცია ჰქვია. ერთია, ახალგაზრდული გუნდით ასეთი სტარტი მართლაც მოულოდნელი იყო. მარტვილელებს მთელი მატჩის განმავლობაში არანაირი ხიფათი არ შექმნია დაუშვილის კართან, მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდნენ მოედანზე.

თავისი პირველი გოლი გაიტანა უმაღლეს ლიაგაში შოთა დავლაშელიძემ, რომელმაც 29-ე წუთზე, კორიფაძის ჩაწოდებულ ბურთს თავი შეაგება და ანგარიში გახსნა.

ამის შემდეგ ორჯერ კორიფაძეს შეეძლო გატანა, ერთხელ – სიჭინავას, თუმცა მასპინძლები შესვენებაზე ერთბურთიანი ჰანდიკაპით გავიდნენ.

მეორე ტაიმში „ვიტ ჯორჯიამ" ტემპს კიდევ უფრო უმატა და კორიფაძემ პირველ ტაიმში დაშვებული შეცდომები აღარ გაიმეორა. ვეტერინართა შეტევამ ჯერ ჯანელიძის, შემდეგ კი პავლიაშვილის პასებით ორჯერ დაამწუხრა შეროზია. ამ გოლებამდე თავად პავლიაშვილსაც შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ვერ მოახერხა. ბოლო საგოლე მომენტი კი წყაროზიას ჰქონდა...

**ზუგდიდი – სიონი (ბოლნისი) 2:1**

**განმუხური. ცენტრალური**

0:1 ახალაია (8), 1:1 გუგუჩია (29პ), 2:1 აფაქიძე (34)

**ზუგდიდი:** მამალაძე, მეგაპედი (შ.ლომია 56), ქვარცხავა, აფაქიძე, კანკია, მირცხულავა, გ.ხუბუა, სიხარულია, წურწუმია (პაჭკორია 75), გუგუჩია (რიგვავა 69), ეხვაია

**სიონი:** მერლანი, ტვილდიანი, თოთაძე, სვანიძე, ქემოკლიძე, განუგრავა (მიკუჩაძე 46), პარუნაშვილი, ლობჟანიძე (უგულავა 60), გოგობერიშვილი (აფციაური 76), ბიბილეიშვილი, ლ.ახალაია

მატჩის ფავორიტად სტუმრები მიიჩნეოდნენ – ეს უმეტესის აზრით, თორემ ზუგდიდში თამაში იოლი რომ არ არის, „სიონის" გამოცდილმა გუნდმა საკუთარ თავზე იწვნია.

მართალია სტუმრები მალევე დაწინაურდნენ – თავი ვეტერანმა ლადო ახალაია გამოიჩინა, მაგრამ ჯერ ლუკა გუგუჩიამ პენალტით გაათანაბრა, შემდეგ კი ნიკა აფაქიძემ მასპინძლებს პირველი გამარჯვება მოუტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| 2.ჩიხურა | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| 3.სიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| 4.მერანი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| 5.მეტალურგი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| 6.ტორპედო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| 7.დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 8.დილა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 9.ზუგდიდი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| 10.გურია | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| 11.ზესტაფონი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| 12.სპარტაკი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

**ბომბარდირები:** გრიგოლ დოლიძე (დილა), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 3-3 ბურთი; ლაშა თოთაძე (სიონი), ელგუჯა ლობჯანიძე, გიორგი კორიფაძე (ორივე ვიტ ჯორჯია), ნიკა საბანაძე, თორნიკე კაპანაძე (ორივე ტორპედო) – 2-2.

# სუპერთასის სუპერფინალი

**ბაიერნი – ჩელსი 2:2 (5:4პ)**

**პრაღა. ედენ არენა**

0:1 ტორესი (8), 1:1 რიბერი (47), 1:2 აზარი (93), 2:2 ხავი მარტინესი (120)

**ბაიერნი:** ნოიერი, ლამი, რაფინია (ხავი მარტინესი 56), ბოატენგი, დანტე, ალაბა, რობენი (შაქირი 96), რიბერი, კროოსი, მიულერი (გიოტცე 70), მანჯუკიჩი

**ჩელსი:** ჩეხი, კოული, კეჰილი, ივანოვიჩი, დავიდ ლუისი, ლამპარდი, რამირესი, აზარი (ტერი 113), ოსკარი, ტორესი (ლუკაკუ 98), შიურლე (ობი მიკელი 87)



„ბაიერნისა" და „ჩელსის" სასუპერთასო დაპირისპირება ამ გათამაშების ისტორიაში უდავოდ საუკეთესო გახლდათ! ეს ნამდვილი დრამატული, დაძაბული, მძაფრი ჯახი იყო, სადაც ორივე იმსახურებდა თასს! ამასთან ძველი მეტოქეების, პეპ გვარდიოლასა და ჟოზე მოურინიოს კიდევ ერთხელ შეხვედრა იყო აღსანიშნავი.

მატჩი „ბაიერნის" ბურთის გორებით დაიწყო და ამ მხრივ ჰქონდათ კიდეც მიუნხენელებს უპირატესობა, თუმცა სწრაფი გოლი მათ კარში გავიდა.

აზარმა ბრწყინვალედ ითამაშა ცენტრში, მარჯვენა ფლანგზე შიურლე მონახა, რომელმაც გამოზომილი გადაცემა გაუკეთა ტორესს და „ელ ნინიომაც" შეასრულა – უშანსოდ იყო ნოიერი.

ერთადერთი ფეხბურთელი, რომლის გამორჩევაც „ბაიერნის" მხრიდან პირველ ტაიმში შეიძლება, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ფრენკ რიბერი გახლდათ. აი, არიენ რობენი კი ჩვეულად სწრაფი ვერ გახლდათ და არც სიმწვავით გამოირჩეოდა.

მოკლედ, პირველ ტაიმში ფიზიკურად და ტაქტიკურად მოურინიომ აშკარად დაჯაბნა გვარდიოლა, თუმცა მეორე ტაიმში რადიკალურად შეიცვალა ყველაფერი.

სწრაფი გოლი ახლა უკვე „ბაიერნმა" გაიტანა – რიბერიმ საჯარიმოს გარედან უძლიერესი დარტყმით მოულოდნელად ახლო კუთხეში გადაგზავნა ბურთი, რასაც მეკარე ნამდვილად არ მოელოდა.

მოგვიანებით, „ჩელსის" სამი მშვენიერი შანსი ჰქონდა გასატანად: ჯერ იყოდა, დანტე შეცდა და ოსკარს ერთი-ერთზე ნოიერმა აუღო, მერე ივანოვიჩის თავური და ძელი, ბოლოს კი ლუიზის მომენტი, რომელსაც ნოიერმა აუღო.

მატჩის დასრულებამდე 5 წუთიღა იყო დარჩენილი, როდესაც რამირესმა გუნდი დაალალატა – იუხეშა გიოტცეს წინააღმდეგ და წითელი ბარათიც დაიმსახურა.

დაინიშნა დამატებითი დრო, რაც ისე დაიწყო, რასაც არავინ ელოდა: 10-კაციანმა „ჩელსიმ" ეგრევე შეტევა წამოიწყო, აზარმა ლამი და ბოატენგი ჩამოიცილა და ნოიერს ბრწყინვალე გოლი გაუტანა!

მეორე დამატებითი ტაიმის ბოლო 15 წუთში კი ჩეხმა სასწაულები ჩაიდინა: მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ 3 „მკვდარი" ბურთი მოიგერია და საერთოდაც, მთლიანობაში მას 17 (!) სეივი დაუგროვდა.

თუმცა „ბაიერნმა" ანგარიში მაინც გაათანაბრა: საჯარიმოში შექმნილი არეულობის შედეგად, მარტინესმა ისარგებლა და 2:2!!!

უდიდესი ფსიქოლოგიური უპირატესობის ფონზე, პენალტების სერიაში უფრო მტკიცე ნერვები რეკორდმაისტერს აღმოაჩნდა და რომელუ ლუკაკუს გადამწყვეტი დარტყმა ნოიერმა მოიგერია და პირველად მოხდა, რომ სუპერთასი გერმანულმა გუნდმა მოიგო.

წელს ჩეხეთის ულამაზესი დედაქალაქის ჯერი გახლდათ, მომავალ წელს ეს თასი კარდიფში გათამაშდება, 2015 წელს კი თბილისში გაიმართება!

**მატჩის შემდეგ**

**პეპ გვარდიოლა:**

– ბედნიერი ვარ, ჩვენ მოვიგეთ სუპერთასი და თან როგორ ბრძოლაში. ეს დაუვიწყარი იქნება, დიდი მადლობა უნდა გადავუხადო პირველ რიგში ჩემს ფეხბურთელებს, მათ ყველაფერი გააკეთეს რათა გამარჯვებულებს დაეტოვებინათ სტადიონი. მინდა აღვნიშნო ჰაინკესის როლიც, ეს თასი მას ეკუთვნის, ის რომ არა, ჩვენ აქ ვერ ვითამაშებდით და გამარჯვებულიც სხვა იქნებოდა.

**ჟოზე მოურინიო:**

– ყველაფერი ლუკაკუს არ უნდა დაბრალდეს, პენალტების სერია გამართლებაა. ჩვენ ორჯერ ვიგებდით ტორესის და აზარის გოლების წყალობით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბელგიელის გოლი, რომელმაც დამატებით დროში გაიტანა, როცა ჩვენ უკვე 10 კაცით ვთამაშობდით. გერმანელები ბურთს აკონტროლებდნენ, განსაკუთრებით ბოლო 15 წუთის განმავლობაში, ამას დაერთო რამირესის გაძევებაც, მაგრამ თუ ისინი ბურთს აკონტროლებდნენ, ჩვენ კონტრშეტევებით მატჩს ვაკონტროლებდით და გვქონდა რეალური მომენტებიც. მაინც ვფიქრობ, რომ მსაჯს ასეთ მატჩში ფეხბურთელი უბრალო მიზეზით არ უნდა გაეძევებინა, ამ ფაქტორმაც დიდი როლი ითამაშა ჩვენს მარცხში. მივიჩნევ, რომ დღეს უფრო ძლიერი გუნდი დამარცხდა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ახალგაზრდული ნაკრები ახალი ციკლისთვის ემზადება

საქართველოს 21-წლამდე ნაკრები უეფას 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს იწყებს. 5 და 9 სექტემბერს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები პირველ ორ გასვლით მატჩს ჩაატარებს ლუქსემბურგსა და სლოვაკეთში.

ამასთან დაკავშირებით, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა – ალექსანდრე ჩივაძემ „მიხეილ მესხის" სტადიონის მედიაცენტრში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და მედიის წარმომადგენლებს იმ ფეხბურთელთა სიაც გააცნო, რომლებიც პირველი ორი თამაშისთვის გამოიძახა. ესენი არიან:

**მეკარეები:** გიორგი ნადირაძე (სპარტაკი), კახა მეშველიანი (ზესტაფონი), გაბრიელ თებიძე (უგუნდოდ);

**მცველები:** არჩილ ტვილდიანი (სიონი), მამუკა კობახიძე, გიორგი გაგნიძე (ორივე დილა), სოლომონ კვირკველია (რუბინი, რუსეთი), თედო გრიგალაშვილი (ზესტაფონი), დავით უბილავა (ტორპედო);

**ნახევარმცველები:** ნიკა კვეკვესკირი, ლაშა ჩაფიძე (ორივე სპარტაკი), გიორგი პაპავა (დინამო თბ), ლაშა პარუნაშვილი (სიონი), ვალერი ყაზაიშვილი (ვიტესი, ჰოლანდია), მერაბ გიგაური (ტორპედო), დავით კირკიტაძე (მეტალურგი), ჯამბულ ჯიღაური, ბესიკ დეკანოიძე (ორივე ჩიხურა);

**თავდამსხმელები:** დავით სხირტლაძე (ორჰუსი, დანია), გიორგი ჭანტურია (ვიტესი, ჰოლანდია), ნიკა კაჭარავა (რუბინი, რუსეთი), გიორგი ფანცულაია (ტორპედო, ქუთაისი).

ამ 22 ფეხბურთელიდან, მთავარი მწვრთნელი თან 21 მოთამაშეს წაიყვანს.

**ალექსანდრე ჩივაძე:**

– იმედია, ჩვენს წასვლამდე ყველა გამოძახებული ფეხბურთელი ჯანმრთელად იქნება. თუ არა და გვყავს რეზერვი და ჩავანაცვლებთ. 2 სექტემბერს ყველა ლუქსემბურგში შევიკრიბებით. პირდაპირ იქ ჩამოვლენ ჩვენი ლეგიონერებიც. ერთს ვიტყვი, რომ ყველა თამაშს დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ. მნიშვნელობა არ აქვს, ლუქსემბურგი იქნება ეს, შოტლანდია თუ ჰოლანდია. დღესდღეობით, სუსტი მეტოქე უკვე აღარ არსებობს, ყველამ წინ წაიწია. ამიტომ, საკითხს ისე უნდა მივუდგეთ, ჩვენ თავად რას წარმოვადგენთ და ჩვენი ძალები მაქსიმალურად გამოვიყენოთ. ევროპის ჩემპიონატი 2015 წელს, ჩეხეთში ჩატარდება და ჩვენ შორსმიმავალი გეგმები გვაქვს. კიდევ ვიმეორებ, თითოეულ თამაშს მაქსიმალური კონცენტრაციითა და სერიოზულობით უნდა მივუდგეთ. რაც შეეხება გიორგი ჭანტურიას დისკვალიფიკაციას, ჩვენ მივიღეთ ოფიციალური წერილი იმის შესახებ, რომ ეს მხოლოდ კლუბზე ვრცელდება. ასე რომ, არანაირი პრობლემა არ არის და გიორგი ნაკრებში ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი გუნდი მე-3 ჯგუფში იასპარეზებს ჰოლანდიის, შოტლანდიის, სლოვაკეთისა და ლუქსემბურგის 21-წლამდე ნაკრებებთან ერთად. 5 სექტემბერს, ლუქსემბურგი-საქართველოს შეხვედრა გაიმართება. ამ დღესვე ითამაშებენ ჰოლანდია და შოტლანდია. 9 სექტემბერს, სენეცში, საქართველოს ნაკრები უკვე სლოვაკეთს დაუპირისპირდება. ჯგუფის მეორე თამაში კი, ლუქსემბურგი-ჰოლანდიაა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

სიტი-ჰალი ... 2:0
ვესტ ჰემი-სტოკი ... 0:1
კარდიფი-ევერტონი ... 0:0
ნორვიჩი-საუთჰემპტონი ... 1:0
ნიუკასლი-ფულემი ... 1:0
კრ.პალასი-სანდერლენდი ... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| 2.სიტი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| 3.ლივერპული | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| 4.ტოტენჰემი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| 5.სტოკი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| 6.მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| 7.ვესტ ჰემი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| 8.ნორვიჩი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| 9.საუთჰემფტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| 10.კარდიფი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| 11.ნიუკასლი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:4 | 4 |
| 12.არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| 13.ასტონ ვილა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| 14.კრისტალ პალასი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| 15.ევერტონი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| 16.ფულემი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| 17.ჰალი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| 18.ვესტ ბრომვიჩი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| 19.სანდერლენდი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| 20.სუონსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ლიდსი-ქპრ ... 0:1
ბარნსლი-ჰადერსფილდი ... 2:1
ბირმინგემი-იფსვიჩი ... 1:1
ბლექბერნი-ბოლტონი ... 4:1
ბლექპული-უოტფორდი ... 1:0
ბრაიტონი-მილუოლი ... 1:1
დერბი-ბარნლი ... 0:3
დონკასტერი-ბორნმუთი ... 0:1
იოვილი-რედინგი ... 0:1
მიდლსბრო-უენსდი ... 1:1
უიგანი-ნოტინგემი ... 2:1
ჩარლტონი-ლესტერი ... 2:1

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სელტა-გრანდა ... 1:1
ვალიადოლიდი-ხეტაფე ... 1:0
ოსასუნა-ვილიარეალი ... 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ვილიარეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| 2.ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| 3.ატლეტიკო | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| 4.ბილბაო | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| 5.რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| 6.სელტა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| 7.ესპანიოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| 8.სოსიედადი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| 9.გრანადა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| 10.ლევანტე | 3 | 1 | 1 | 1 | 2:8 | 4 |
| 11.ვალიადოლიდი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| 12.ვალენსია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| 13.რაიო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| 14.ალმერია | 3 | 0 | 2 | 1 | 6:7 | 2 |
| 15.ელჩე | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 2 |
| 16.სევილია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| 17.ხეტაფე | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| 18.ბეტისი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| 19.მალაგა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| 20.ოსასუნა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხირონა-ნუმანსია ... 2:2
ლას პალმასი-ეიბარი ... 1:1
ერკულესი-რეალი ბ ... 2:1
ბარსელონა ბ-სარაგოსა ... 1:0

### იტალია. სერია ა

კიევო-ნაპოლი ... 2:4
იუვენტუსი-ლაციო ... 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| 2.იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| 3.რომა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 4.ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 5.ტორინო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 6.ფიორენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 7.კალიარი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 8.ვერონა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 9.ლაციო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| 10.პარმა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 11.კიევო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| 12.უდინეზე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 13.მილანი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 14.სამპდორია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 15.ატალანტა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 16.კატანია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 17.ჯენოა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 18.სასუოლო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 19.ლივორნო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 20.ბოლონია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### იტალია. სერია ბ

ნოვარა-სიენა ... 2:1
ბარი-ბრეშა ... 0:0
ვარეზე-მოდენა ... 1:1
კროტონე-ჩეზენა ... 1:2
ლანჩანო-რეჯინა ... 1:1
ლატინა-აველინო ... 1:1
პალერმო-ემპოლი ... 1:2
ჩიტადელა-ტერნანა ... 2:2
იუვე სტაბია-სპეცია ... 1:2

### გერმანია. ბუნდესლიგა

გლადბახი-ვერდერი ... 4:1
ვოლფსბურგი-ჰერტა ... 2:0
ჰამბურგი-ბრაუნშვაიგი ... 4:0
ჰანოვერი-მაინცი ... 4:1
ნიურნბერგი-აუგსბურგი ... 0:1
შალკე-ლევერკუზენი ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| 2.დორტმუნდი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| 3.ლევერკუზენი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| 4.ჰანოვერი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| 5.მაინცი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:7 | 9 |
| 6.ჰერტა | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| 7.გლადბახი | 4 | 2 | 0 | 2 | 10:8 | 6 |
| 8.ვოლფსბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| 9.ვერდერი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | 6 |
| 10.აუგსბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | 6 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 3 | 1 | 2 | 0 | 10:6 | 5 |
| 12.ჰამბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:9 | 4 |
| 13.შალკე | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | 4 |
| 14.აინტრახტი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 |
| 15.ფრაიბურგი | 4 | 0 | 2 | 2 | 6:9 | 2 |
| 16.ნიურნბერგი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |
| 17.შტუტგარტი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:6 | 0 |
| 18.ბრაუნშვაიგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:9 | 0 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოხუმი-პადერბორნი ... 4:2
უნიონი-ზ.პაული ... 3:2

### საფრანგეთი. 1 ლიგა

ევიანი-ლიონი ... 2:1
პსჟ-გენგამი ... 2:0
ლორიანი-ვალანსიენი ... 1:0
რეიმსი-ნანტი ... 0:0
რენი-ლილი ... 0:0
ბასტია-ტულუზა ... 2:1
სოშო-აიაჩო ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მარსელი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| 2.პსჟ | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| 3.მონაკო | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| 4.რენი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| 5.რეიმსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| 6.ლილი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| 7.ლიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:4 | 6 |
| 8.სტ.ეტიენი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 6 |
| 9.ბასტია | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| 10.ლორიანი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| 11.ნანტი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| 12.ბორდო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| 13.მონპელიე | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 |
| 14.ევიანი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| 15.ნიცა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | 4 |
| 16.ვალანსიენი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:4 | 3 |
| 17.აიაჩო | 4 | 0 | 3 | 1 | 1:2 | 3 |
| 18.გენგამი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| 19.სოშო | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| 20.ტულუზა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |

### ჰოლანდია. ერედივიზიონი

ტვენტე-ჰერენვენი ... 1:1
ვალვაიკი-იგლზი ... 1:4
ერეაკლესი-დენ ჰააგი ... 1:0
პსვ-კამბური ... 0:0

### პორტუგალია. ა ლიგა

გიმარაეში-სეტუბალი ... 1:4
სპორტინგი-ბენფია ... 1:1

### რუსეთი. პრემიერლიგა

ტერეკი-ანჟი ... 1:1
კრასნოდარი-ვოლგა ... 3:0

### შოტლანდია. პრემიერლიგა

დ.იუნაიტედი-სელტიკი ... 0:1
აბერდინი-სტ.ჯონსონი ... 0:0
ინვერნესი-ჰართსი ... 2:0
სტ.მირენი-პარტიკი ... 1:2
ჰიბერნიანი-როსი ... 0:0
მოზერველი-კილმანროკი ... 2:1

### შვეიცარია. სუპერლიგა

არაუ-სიონი ... 0:1

### ავსტრია. ბუნდესლიგა

შტრუმი-ვოლფსბერგერი ... 4:1
ადმირა-რიდი ... 1:4
აუსტრია-ინსბრუკი ... 1:1
გროდიგი-ნოიშტადი ... 3:6

### ბელგია. პროლიგა

მეხელენი-ლიერსი ... 0:0
გენტი-მონსი ... 1:0
ლოკერენი-ოსტენდე ... 1:0
სერკლი-ლეუვენი ... 1:1

### თურქეთი. სუპერლიგა

ქაისერი-ელაზიგი ... 1:3
ანთალია-ბურსა ... 1:2
ფენერბახჩე-სივასი ... 5:2

### საბერძნეთი. სუპერლიგა

კალონისი-იანინა ... 1:0
ქსანთი-ერგოტელისი ... 0:0
პანათინაიკოსი-ვერია ... 1:1

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

პრჟიბრჟამი-დუკლა ... 0:2
სპარტა-ბანიკი ... 4:1

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

ვიძევი-იაგელონია ... 1:1
პოგონი-ვისლა ... 0:0
კრაკოვია-ლეგია ... 0:1

### უკრაინა. პრემიერლიგა

ჰოვერლა-ვორსკლა ... 1:2
შახტარი-მეტალისტი ... 1:1
სევასტოპოლი-კარპატი ... 1:0

### შვედეთი. ალსვენსკა

აიკი-გეფლა ... 3:0

### ნორვეგია. ტიპელიგა

რუსენბორგი-ალესუნდი ... 2:1
ლილესტრიომი-ოდ გრელანდი ... 1:0

### ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ტპს-ჯჯკ ... 2:2

### ირლანდია. პრემიერ დივიზიონი

სლიგო-ლიმერიკი ... 2:0

### აშშ. მლს

კოლამბუსი-სიეტლი ... 0:1
ფილადელფია-მონრეალი ... 0:0
ნიუ იორკი-დ.ს.იუნაიტედი ... 2:1
კანზასი-კოლორადო ... 2:1
ლოს ანჯელესი-სან ხოსე ... 3:0

### ბრაზილია. სერია ა

გოიასი-ატლეტიკო(მ) ... 0:0
გრემიო-პონტე პრეტა ... 1:0
ნაუტიკუ-ატლეტიკო(პ) ... 1:4
პორტუგეზა-ბიაა ... 4:2
ფლუმინენსე-სანტოსი ... 0:2

### არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

ოლ ბოიზი-რასინგი ... 1:0
ტიგრე-ქილმესი ... 0:1
ოლდ ბოიზი-ესტუდიანტესი ... 1:1

## ჩოგბურთი

### ამერიკის ღია ჩემპიონატი

**კაცები**

რობრედო-ევანსი ... 7:6;6:1;4:6;7:5
ფედერერი-მანარინო ... 6:3;6:0;6:2

**ქალები**

ვოზნიაცკი ... 6:4;4:6;3:6
ვინჩი-კნაპი ... 6:4;6:3

# გურამ ოდიშარია თუშეთში ჩავიდა

ეკა ირემაშვილი



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დელეგაცია მინისტრ გურამ ოდიშარიას ხელმძღვანელობით თუშეთში ჩავიდა. დელეგაციაში, გურამ ოდიშარიას გარდა, გაერთიანებული არიან მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი და მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი. ისინი სამდღიანი სამუშაო ვიზიტით ახმეტის მუნიციპალიტეტს სტუმრობდნენ, კერძოდ, ალვანსა და თუშეთს – ომალოს, შენაქოს, დართლოს, ჭეშოს, ფარსმასა და სოფელ დირევს. კულტურის მინისტრს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ბექა ბაიდაურმა უმასპინძლა.

30 აგვისტოს ქვემო ალვანის კულტურის სახლში სამინისტროს დელეგაცია კულტურის მუშაკებს, ახმეტის მხარეთმცოდნეობისა და ქისტაურის რაფიელ ერისთავის სახელობის მუზეუმების წარმომადგენლებს, ძეგლთა დაცვის თანამშრომლებს, ასევე ხალხური რეწვის ოსტატებს შეხვდა.

31 აგვისტოს მინისტრი მოადგილეებთან ერთად სოფელ ომალოში კესელოს ციხეს, ასევე მის კომპლექსში არსებულ მუზეუმს სტუმრობდა და თანამშრომლებს მათ სფეროში არსებულ პრობლემებზე ესაუბრა.

ვიზიტის ფარგლებში ასევე დაიგეგმა ქვედა ომალოში, შენაქოსა და დართლოში სტუმრობა. შენაქოს ახლადრესტავრირებული სამების ეკლესიის, სოფელ დართლოს მონახულება, ასევე შეხვედრა თუშეთის სასაზღვრო პუნქტის თანამშრომლებთან, რომლებსაც მინისტრმა საჩუქრად წიგნები გადასცა.

თუშეთში ჩასვლამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი და მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ესტუმრნენ მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის მუნიციპალიტეტს, კერძოდ, ხევსურეთს – ბარისახოს, არდოტს, შატილსა და მუცოს.

გურამ ოდიშარია პირადად შეხვდა არდოტში დარჩენილი ერთადერთი ოჯახის წევრებს, ასევე მოსახლეობის ნაწილს, რომლებიც ძალიან ცოტა რაოდენობით არიან დარჩენილნი პირიქითა ხევსურეთში. მინისტრმა შატილის სასაზღვრო გამშვები პუნქტის მესაზღვრეებიც მოინახულა. ადგილობრივები არსებულ პრობლემებზე ესაუბრნენ მინისტრს და მოისმინეს სამინისტროს გეგმები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. გურამ ოდიშარიამ მათ საჩუქრად წიგნები გადასცა.

მინისტრმა და მინისტრის პირველმა მოადგილემ ყურადღება გაამახვილეს სოფელ მუცოზე. წლების განმავლობაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პრიორიტეტებში მუცოც მოხვდა. ძეგლის რეაბილიტაცია საკმაოდ გრძელვადიანი პროცესი იქნება. ამ პროექტის განხორციელების მიზნით სამინისტრომ უკვე დაიწყო არსებული მდგომარეობის შესწავლა და მომდევნო წლისთვის მუცოში შესაძლოა ფიზიკური სამუშაოებიც დაიწყოს.

სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ხონსა და სამტრედიაში მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი. ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა ხონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო და სამხატვრო სკოლების მონახულება. ასევე, ხონის კულტურის ცენტრის დარბაზში გაიმართა შეხვედრა სახელოვნებო სკოლების წარმომადგენლებთან და ხონის სასულე ორკესტრის წევრებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ ხონის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზურაბ ჯიბუხაია და კულტურის სამახურის უფროსი თამარ ჩარგეიშვილი. მინისტრის მოადგილემ ხონში ვიზიტის დასასრულს მოინახულა ისტორიული მუზეუმი – ირაკლი აბაშიძის სახელობის სახლ-მუზეუმი.

მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ შეხვედრები განაგრძო სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელოვნებო სკოლაში სახელოვნებო სკოლების წარმომადგენლებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი ავთანდილ თადუმაძე და კულტურის სამსახურის უფროსი ზაზა ხუჭუა. ვიზიტის დასასრულს სამხატვრო სკოლა გალერეის დათვალიერებაც დაიგეგმა.

# ეროვნულ გალერეაში ვიზუალური ხელოვნების ფესტივალი გაიხსნა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ტურები, მოგზაურობა საქართველოს რამდენიმე რეგიონში, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების დათვალიერება, ვორკშოპები, შეხვედრები და ვიზიტები მხატვართა ატელიეებში.



პროექტის ორგანიზატორები არიან კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ამერიკის საელჩო საქართველოში და „არტ კონტაქტ თბილისი". პროექტის დირექტორია მაკა რაზმაძე, პროექტის კურატორი – რიჩარდ ტუკი, ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ექსპერტი.

გამოფენა დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში 15 სექტემბრამდე გაგრძელდება, ფესტივალზე დასწრება კი თავისუფალია.

# ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ფილმს გადაიღებენ

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ვალმხრივმა სამეცნიერო საქმიანობამ დიდი პოპულარობა მოუტანა საზოგადოებას. ექვთიმე თაყაიშვილმა დააფუძნა ორი სამეცნიერო სერია „ძველი საქართველო" და „საქართველოს სიძველენი". იგი თავად იყო ამ სერიების ტომების შემდგენელი.

ექვთიმე თაყაიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში. იგი ივანე ჯავახიშვილთან ერთად იმთავითვე იყო არჩეული „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების" კომისიაში. ის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი იყო. მას უნივერსიტეტის საბჭომ ექვთიმე თაყაიშვილს მიანიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ექვთიმე სამ სალექციო კურსს უძღვებოდა.

ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად საქართველო დატოვა. ის დასახლდა თავდაპირველად პარიზში, ლევილში და დროგამოშვებით სწავლობდა ოქსფორდში. საფრანგეთში იგი თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, სადაც განაგრძობდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. მისი აღიარების დასტური იყო ის, რომ იგი ჯერ პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოების, ხოლო შემდეგ საფრანგეთის სააზიო საზოგადოების ნამდვილ წევრად აირჩიეს. ის იყო მის მიერვე დაარსებული „ქართული კულტურული და საარქეოლოგიო მასალების გამოცემის ფონდის" თავმჯდომარე.

გახიზნულმა მთავრობამ თან წაიღო საქართველოს განძის ისტორიულად განსაკუთრებით ღირებული ნაწილი. მასში შედიოდა თბილისის მუზეუმების ძვირფასეულობა: ოქრო-ვერცხლის ხატები და თვალ-მარგალიტით მოოჭვილი სხვა საგანძური, ძვირფასი ხელნაწერები, ზუგდიდის დადიანისეული სასახლის განძეულობა, გელათისა და მარტვილის სამონასტრო ქონება, თბილისის სასახლის განძეულობა, ბორჯომის სასახლის ქონება და სხვა მრავალი. მიუხედავად იმისა, რომ განძის მესაკუთრედ, ოფიციალურად, საქართველოს მთავრობა ითვლებოდა, ფაქტობრივად, განძს ექვთიმე თაყაიშვილი მეურვეობდა. განძი, სულ 39 ყუთი, ექვთიმეს მარსელის ბანკში ჰქონდა შენახული. განძის ცალკეული ექსპონატების ყიდვა სურდათ ევროპის სხვადასხვა მუზეუმებს, მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილი ამაზე არ თანხმდებოდა. მან სასამართლოში მოიგო საქმე გრაფ ალექსანდრე ობოლენსკის ქვრივის, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკოლოზ დადიანის ასულის, სალომე ობოლენსკაიას წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს პრეტენზია ჰქონდა ზუგდიდის მუზეუმიდან გატანილ განძეულობაზე. ერთა ლიგის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობამ მეტად უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს ემიგრანტული მთავრობის მდგომარეობაზე: მის ნაცვლად შეიქმნა „ქართული ოფისი". რამდენადაც განძის ოფიციალურ მესაკუთრედ მანამდე საქართველოს ემიგრირებული მთავრობა ითვლებოდა, ამიერიდან განძი საფრანგეთმა დაისაკუთრა. აქედან მოყოლებული, ექვთიმე თაყაიშვილი საფრანგეთის მთავრობისგან ითხოვდა, რომ განძი საქართველოსთვის გადაეცათ. საფრანგეთმა დააბრუნა ხელნაწერები, საბოლოოდ კი ეს მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

როცა ექვთიმე თაყაიშვილი თბილისში დაბრუნდა, ის საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანებით დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორად, მიანიჭეს დამსახურებული პროფესორის წოდება, აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, დაუმტკიცეს დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება.

ექვთიმე თაყაიშვილს ჰყავდა მეუღლე, ივანე პოლტორაცკის ასული ნინო და ქალიშვილი. რეჟისორმა რეზო თაბუკაშვილმა მის შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაიღო. ექვთიმე თაყაიშვილი უკიდურეს გაჭირვებაში გარდაიცვალა. მის დაკრძალვას ვაკის სასაფლაოზე მხოლოდ ორმოცამდე ადამიანი დაესწრო. ამჟამად იგი გადასვენებულია საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა და წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა. ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმია განთავსებული მის უკანასკნელ საცხოვრებელ ადგილას, თბილისში, ვაშლოვანის ქუჩის 7 ნომერში და აგრეთვე მისი მუზეუმია აშენებული თაყაიშვილის მშობლიურ სოფელში, ლიხაურში, სადაც ყოველი წლის 16 იანვარს „ექვთიმეობას" აღნიშნავენ. თბილისში დაიგეგმა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ტაძრის მშენებლობა. მის სახელს ატარებს გურიანთა-ვაშნარის მუზეუმ-ნაკრძალი გურიაში. 2013 წელი კი იუნესკოს ეგიდით ექვთიმე თაყაიშვილის საიუბილეო წლად გამოცხადდა.

სპორტი

# ორი ვერცხლი რიოდან

3-დღიანი უმედლობის შემდეგ საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების წევრებმა რიო დე ჟანეიროში 2 მედალი მაინც მოიპოვეს. 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ავთანდილ ჭრიკიშვილი და 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ვალერი ლიპარტელიანი ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ.

ჭრიკიშვილმა ფინალში გადამწყვეტი შეხვედრა ფრანგ ლუის პიეტრისთან დაძაბულ ბრძოლაში ქულებით წააგო და ვერცხლის მედალს დაეუფლა.

ფინალურ ორთაბრძოლამდე, ჭრიკიშვილმა 5 მეტოქე დაამარცხა, ნახევარფინალში კი რუსეთის წარმომადგენელი ევროპის და მსოფლიოს 2009 წლის რუსი ჩემპიონი ივან ნიფონტოვი დაამარცხა.

ჭრიკიშვილის გარდა, 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს სახელით ლევან წიკლაურმაც იჭიდავა, მაგრამ საწყის ეტაპს ვერ გასცდა. აღსანიშნავია, რომ 81 კგ. წონითი კატეგორიის მოჭიდავეების დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმაც მიიღო.

ლიპარტელიანი კი, ფინალში კუბელ ეშლი გონსალესთან დამარცხდა. ქართველმა ძიუდოისტმა ორი გაფრთხილება მიიღო, მისმა მეტოქემ კი – მხოლოდ ერთი.

ნახევარფინალში ლიპომ რუსი კირილ დენისოვი დამაჯერებლად დაამარცხა, ასევე იოლად მოუგო ჩვენებურმა დანარჩენ მეტოქეებსაც: მეოთხედფინალში შვედი იოაკიმ დვარბი, მანამდე – ფრანგი ლუდოვიკ გობერი და გერმანელი მარკ ოდენტალი.

90 კგ-ში ბრინჯაოს მედალს საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ჯარჯი ზვიადაური, იგივე ილიას ილიადისი დაეუფლა.

100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ქართველი ძიუდოისტი ლევან ჟორჟოლიანი, მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში ფრანგ სირილ მარესთან დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა. მანამდე კამერუნელ სტეფან ომბიონგნოს სამ წუთში ოთხი შიდო მიაღებინა.

შეხვედრის ბედი ერთმა შიდომ გადაწყვიტა. საფინალო სირენამდე თხუთმეტიოდე წამით ადრე, მაშინ, როდესაც ორივე ძიუდოისტს სამ-სამი შიდო ჰქონდა, მსაჯმა ჟორჟოლიანი პასიურობისთვის მეოთხედ გააფრთხილა და გამარჯვებულად მარე გამოაცხადა.

მძიმე წონაში მოასპარეზე ოქრუაშვილმა სამი მეტოქე ჩამოიშორა და სამივე ვადამდე. სამოელ დერეკ სუას ჯერ ვაზარი შეუსრულა, შემდეგ კი ბეჭებზეც დააგდო. იგივე მოხდა პოლონელ მაციეჟ სარნაცკისთან, მეოთხედფინალში კი მრისხანე მეტოქეს, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ რუსს ალექსანდრ მიხაილინს გაფრთხილებით აჯობა.

ნახევარფინალში სახელოვან ტედი რინერთან ვაზარზე მოჰყვა და ფრანგმა იქვე შებოჭვაც მიაყოლა. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ოქრუაშვილი ტუნისელ ფაიცელ ჯაბალაჰთან ბეჭებზე დავარდა და საბოლოოდ მე-5 ადგილს დასჯერდა.

მ. ჟ.

# ახალგაზრდული ნაკრები ახალი ციკლისთვის ემზადება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

აქვე გეტყვით, რომ შესარჩევი ციკლის პირველ საშინაო შეხვედრას, ალექსანდრე ჩივაძის გუნდი 10 ოქტომბერს, ჰოლანდიის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. 14 ოქტომბერს კი, შოტლანდიელებს ვუმასპინძლებთ.

ჩვენმა თანაჯგუფელმა სამმა გუნდმა კი, პირველი შეხვედრები უკვე ჩაატარა. 25 მარტს, შოტლანდიამ ლუქსემბურგი დაამარცხა – 3:0. 11 ივნისს კი, ლუქსემბურგი – სლოვაკეთი გაიმართა და სლოვაკთა დამაჯერებელი გამარჯვებით – 7:1 დასრულდა. ასე რომ, ამ ეტაპზე, 3-3 ქულით ჯგუფს სლოვაკეთი და შოტლანდია ლიდერობენ.

# სკანვორდი



1. ნიგერიის დედაქალაქი; 2. ჯარი; 3. სტადიონი ბრაზილიაში; 4. გარეული ვირი; 5. სასმისი; 6. წილი ბიზნესში; 7. ალგორითმული ენა; 8. ქართული ბანკი; 9. თევზის კვერცხების გროვა; 10. იგივეა, რაც პლატფორმა; 11. ფელინის ფილმი; 12. იაპონური ანბანის გრაფიკული ფორმა; 13. საფრანგეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 14. არგენტინული ცეკვა; 15. იუპიტერის თანამგზავრი; 16. კათოლიკე ბერების ორგანიზაცია; 17. ... ხერგიანი; 18. წელიწადის მეთორმეტელი; 19. სპორტული ნავი; 20. ამერიკელი მწერალი (XX ს.); 21. „ოთარაანთ ქვრივის" პერსონაჟი; 22. სპილენძის, ნიკელისა და თუთიის ერთგვარი შენადნობი; 23. ... კოკოჩაშვილი; 24. ნეგროიდული რასის წარმომადგენელი; 25. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 26. სოფელი თერჯოლის რაიონში; 27. ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში; 28. პროგრესის საპირისპირო; 29. „... მარაბდელი"; 30. ... ნახტომი (ასტრ.).

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დეფინიცია; 2. მისხალი; 3. ჩანახი; 4. ულუსი; 5. ატელიე; 11. დოკერი; 12. ტრაკაი; 14. მახა; 16. მენჩიკი; 17. ალილუია; 19. ბულიმია; 21. ფლეში; 22. ნეზვი.

**თარაზულად:** 6. გენეტიკა; 7. ფალცეტი; 8. სეული; 9. ანემია; 10. ხუნდი; 13. დიუმა; 15. იმპრესარიო; 18. „მიტარბი"; 20. ლუზა; 21. ფროიდი; 23. სიმპოზიუმი; 24. ირტიში.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფლობერი; 2. კუპიურა; 3. ნიაღვარი; 4. ბესიკი; 5. ბოდრუმი; 8. მისხალი; 9. მისისიპი; 12. „მალპენსა"; 13. ბიონიკა; 16. სარასატე; 17. მადიარი; 19. „ილიადა"; 20. ჟიგოლო.

**თარაზულად:** 6. ალტრუიზმი; 7. „მეეზოვე"; 8. მულამი; 10. შერბური; 11. ლუდი; 14. ბრისტოლი; 15. „ალკატელი"; 18. კათეტი; 21. „ლოკჰიდი"; 22. კილტი; 23. ასკერი; 24. პერგამონი.

# ბარაკ ობამამ სირიაზე სამხედრო იერიშის გადაწყვეტილება მიიღო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

აშშ-ის სირიასთან მიმართებაში „საკუთარი გრაფიკი“ აქვს. კერის გამოსვლიდან რამდენიმე საათში პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ ბაშარ ასადი დაისჯება ქიმიური იარაღის გამოყენებისათვის. ობამამ აღნიშნა, რომ ამერიკელი სამხედროები სირიის მიწაზე ფეხს არ დადგამენ და ამერიკა სირიაში მხოლოდ „შეზრუდულ და ვიწრომიმართულების სამხედრო ოპერაციას“ განიხილავს. ობამამ ამერიკელები დაარწმუნა, რომ სახმელეთო ოპერაცია და ჯარების გრძელვადიანი განლაგება სირიაში არ იგეგმება.

სირიაში გაეროს ინსპექტორებმა ოთხდღიანი მუშაობა დაასრულეს. მათ ქიმიური იარაღის სავარაუდო გამოყენების ადგილებიდან სინჯები აიღეს. ინსპექტორები ანგარიშს გაეროს გენერალურ მდივანს წარუდგენ.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მსოფლიოს ლიდერებს მოუწოდა თავშეკავება გამოიჩინონ სირიასთან დაკავშირებით. პუტინმა ასევე განაცხადა, რომ ნებისმიერი საგარეო ინტერვენცია სირიაში სრული ნონსენსი იქნება, რადგან სირიის მთავრობას მეამბოხეების წინააღმდეგ ბრძოლაში პროგრესი აქვს.

მან ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდა, რომ საშუალება მისცეს გაეროს ინსპექტორებს დამასკოში დასრულებული მისიის ანგარიში წარმოადგინონ. შეგახსენებთ, რომ ასადის მთავრობა უარყოფს ქიმიური იარაღის გამოყენების ბრალდებას.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ალექსეი პუშკოვის განცხადებით, „აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას სირიაზე სამხედრო დარტყმის განხორციელების ბრძანების გაცემა კონგრესის თანხმობის გარეშეც შეუძლია, თუმცა ეს მისთვის ხელსაყრელი არ არის“.

„ამერიკის კანონმდებლობა პრეზიდენტს ავალდებულებს კონგრესს მიმართოს. თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში ეს კანონი უგულებელყოფილი იქნა კონგრსის 1973 წლის რეზოლუციის საფუძველზე, რომელიც პრეზიდენტს უფლებას აძლევს, განსაკუთრებულ შემთხვევებში, დაუყონებლივ მიიღოს შეიარაღებული ძალების გამოყენების გადაწყვეტილება და აშშ-ის საზღვრებს გარეთ კონგრესის თანხმობის გარეშე საბრძოლო მოქმედებები აწარმოოს“, — აცხადებს პუშკოვი.

მისივე თქმით, აშშ-ის ისტორიაში მთელი რიგი შემთხვევები იყო, როდესაც პრეზიდენტმა კონგრესს არ მიმართა, თუმცა ეს მისი იმპიჩმენტის საფუძვლად არ განხილულა.

„ასე, რომ ობამას შეეძლო, 1973 წლის რეზოლუციის საფუძველზე კონგრესისთვის არ მიმართა, თუმცა ეს არ გააკეთა, შესაბამისად, ისმის კითხვა — რატომ? კონგრესის მხარდაჭერის შემთხვევაში, ობამა იმედოვნებს, რომ ამ თვალსაზრისით საზოგადოებრივ აზრს გასცემს პასუხს: საკანონმდებლო ხელისუფლება მხარს მიჭერს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკელი ერისგან მანდატი მაქვს. ამჟამად, ობამას საზოგადოებრივი გამოკითხვების თანახმად, ასეთი მკაფიო მანდატი არ აქვს“, — მიიჩნევს პუშკოვი.

საქართველოში ამერიკის საელჩო სირიის მთავრობის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით, აშშ-ის სადაზვერვო სამსახურის განცხადებას ავრცელებს. განხადების ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:

„ძირითადი: ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მაღალი სანდოობით აკეთებს შეფასებას, რომ სირიის მთავრობამ განახორციელა შეტევა ქიმიური იარაღის გამოყენებით დამასკოს შემოგარენში 2013 წ. 21 აგვისტოს, რამაც გამოიწვია დიდი მსხვერპლი: დაიღუპა 1 429 ადამიანი, მათ შორის 426 ბავშვი. ასევე ვაკეთებთ შეფასებას, რომ რეჟიმმა შეტევის დროს გამოიყენა ნერვულ-პარალიზული მოქმედების აგენტი.




საიდან ვიცით: ეს შეფასება ეფუძნება მრავალი განსხვავებული წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას, მათ შორის ოპერატიული, რადიოელექტრონული და აეროგეოდეზიური დაზვერვის შედეგად მიღებულ მონაცემებს; მრავალი წყაროდან მოწოდებულ ინფორმაციას, რომელიც აღწერს ქიმიური შიგთავსის მქონე ქობინების მოხვედრას ოპოზიციის მიერ კონტროლირებად ზონებში; საერთაშორისო და სირიელი სამედიცინო პერსონალის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას; სოციალურ მედიაში ათასობით შემთხვევაში გავრცელებულ ინფორმაციას; და მაღალი სანდოობის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციას, რომლის მიხედვით სამმა საავადმყოფომ დამასკოს ტერიტორიაზე მიიღო დაახლოებით 3 600 პაციენტი, რომლებსაც აღენიშნებოდათ ნერვულ-პარალიზული აგენტის ზემოქმედების შედეგად მიღებულ დაზიანებასთან თავსებადი სიმპტომები. სირიის რეჟიმის წარმომადგენლები მზადყოფნაში მოვიდნენ შეტევისთვის...

ჩვენს ხელთ არსებული სადაზვერვო ინფორმაცია მიუთითებს, რომ სირიის მთავრობის ქიმიურ იარაღზე მომუშავე პერსონალი მოქმედებდა დამასკოს შემოგარენში იმ ზონასთან ახლოს, რომელსაც რეჟიმი იყენებს ქიმიური იარაღის, მათ შორის ზარინის საწარმოებლად.

21 აგვისტოს სირიის რეჟიმის შენაერთი მზადყოფნაში იქნა მოყვანილი ქიმიური შეტევისთვის დამასკოს ტერიტორიაზე, მათ შორის აღიჭურვა აირწინაღებით.

სირიულმა ძალებმა განახორციელეს შეტევა...

სატელიტური დაკვირვება ადასტურებს, რომ რეჟიმის მიერ კონტროლირებადი ზონიდან შეტევა მიტანილი იქნა იმ უბნებზე, სადაც, გადმოცემით, მოხდა შეტევა ქიმიური იარაღის გამოყენებით.

ეს გულისხმობს დაკვირვებას რეჟიმის კონტროლირებადი ზონიდან დილას ჭურვების გაშვებაზე, დაახლოებით 90 წუთით ადრე, ვიდრე სოციალურ მედიაში გავრცელდა პირველი ინფორმაცია ქიმიური შეტევის შესახებ.

სირიის რეჟიმის ოფიციალური წარმომადგენლები განიხილავდნენ შეტევას...

ჩვენ მოვიპოვეთ მაღალი რანგის ოფიციალური პირის კომუნიკაცია, რომელმაც უშუალოდ იცოდა შეტევის შესახებ, ადასტურებდა რეჟიმის მიერ 21 აგვისტოს ქიმიური იარაღის გამოყენებას და რომელიც შეშფოთებული იყო გაეროს ინსპექტორების მიერ მტკიცებულების აღმოჩენის შესაძლებლობით.

21 აგვისტოს შუადღისას, ჩვენი სადაზვერვო ინფორმაციით, სირიის ქიმიურ იარაღზე მომუშავე პერსონალმა მიიღო ოპერაციის შეწყვეტის ბრძანება. ამასთან, რეჟიმმა ინტენსიური საარტილერიო დარტყმა მიიტანა იმ უბნების უმრავლესობაზე, რომლებზეც მოხდა ქიმიური შეტევა.

შეტევის შემდეგ 24 საათის განმავლობაში აღინიშნებოდა საარტილერიო და სარაკეტო ცეცხლი, რომელიც დაახლოებით ოთხჯერ უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე წინა ათი დღის განმავლობაში.

მსხვერპლებს აღენიშნებოდათ ქიმიური იარაღის შედეგად მიღებული სიმპტომები...

შეტევის შემდეგ გადაღებული ასეული ვიდეომასალა ასახავს მრავალ დაზარალებულს ფიზიკური ნიშნებით, რომლებიც თავსებადია, მაგრამ არა უნიკალურად დამახასიათებელი ნერვულ-პარალიზული აგენტების ზემოქმედებისთვის, მათ შორის უგონო მდგომარეობა, ქაფი ცხვირიდან და პირიდან, შევიწროვებული თვალის გუგები, აჩქარებული გულისცემა და სუნთქვის უკმარისობა.

რამდენიმე ვიდეომასალა ასახავს მრავალ გარდაცვლილ ადამიანს შესამჩნევი დაზიანების გარეშე, რაც თავსებადია ქიმიური იარაღის გამოყენების შედეგად გარდაცვალებასთან და არათავსებადია გარდაცვალებასთან სასროლი იარაღის, დიდი ასაფეთქებელი ძალის მქონე იარაღის ან კანმაჩირქებელი აგენტით ზემოქმედების შედეგად.

ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სირიის რეჟიმმა გამოიყენა ქიმიური იარაღი. სირიის რეჟიმი ფლობს მრავალ ქიმიურ აგენტს, მათ შორის იპრიტს, ზარინს და გააჩნია ათასობით საბრძოლო მასალა, რომლის გამოყენება შეიძლება ქიმიური იარაღის აგენტებით შეტევის საწარმოებლად.

ვაფასებთ მაღალი სანდოობით, რომ სირიის რეჟიმმა რამდენჯერმე გამოიყენა მცირე მასშტაბში ქიმიური იარაღი ოპოზიციის წინააღმდეგ გასულ წელს. ვაფასებთ, რომ რეჟიმის უუნაროობით გამოწვეულმა იმედგაცრუებამ, მოეპოვებინა კონტროლი დამასკოს დიდ ნაწილზე, შესაძლოა, უბიძგა რეჟიმს, მიეღო გადაწყვეტილება 21 აგვისტოს ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით. ძალიან ნაკლებად სარწმუნოა, რომ ოპოზიციას შეეძლო განეხორციელებინა ეს შეტევა ან გაეკეთებინა მისი ფაბრიკაცია

არ გვინახავს რაიმე ნიშანი, რომ ოპოზიციას ეწარმოებინოს ისეთი ფართომასშტაბიანი, კოორდინირებული სარაკეტო და საარტილერიო შეტევა, როგორსაც ადგილი ჰქონდა 21 აგვისტოს. ჩვენს სადაზვერვო წყაროებს დამასკოს ტერიტორიაზე შეტევის წინა დღეებში არ შეუმჩნევიათ რაიმე ნიშანი, რომ ოპოზიციასთან დაკავშირებული პირები გეგმავდნენ ქიმიური იარაღის გამოყენებას.

მეტიც, ვაკეთებთ შეფასებას, რომ სირიის ოპოზიციას არ გააჩნია შესაძლებლობა, მოეხდინა ყველა ვიდეომასალის, სამედიცინო პერსონალის და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დადასტურებული სიმპტომების და ამ ქიმიურ შეტევასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის ფაბრიკაცია.

სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენება საფრთხეს უქმნის აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს. საფრთხით, რომელსაც წარმოადგენს ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით დიდი ხნის განმავლობაში ჩამოყალიბებული საერთაშორისო ნორმის შერყევა, რასაც უნდა მოჰყვეს პასუხისმგებლობის დაკისრება;

შემდგომი ძალადობის და არასტაბილურობის რისკით, რაც საფრთხეს უქმნის რეგიონს, მათ შორის მჭიდრო მოკავშირეებს და პარტნიორებს, როგორებიც არიან ისრაელი, თურქეთი და იორდანია; და

რისკის ზრდით, რომ ეს იარაღი მოხვდება ტერორისტული ჯგუფების ხელში, რომლებმაც იგი შეიძლება გამოიყენონ ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

არაბულმა ლიგამ განაცხადა, რომ მიიღო გადაწყვეტილება „დააკისროს სრული პასუხისმგებლობა სირიის რეჟიმს ამ დანაშაულის ჩადენაზე“. ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება, რომ „რეჟიმმა უნდა აგოს სამართლებრივი და მორალური პასუხი ამ საზარელი დანაშაულის ჩადენისთვის“.

ნატოს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ განაცხადა, რომ „ასეთი იარაღის გამოყენების ნებისმიერი შემთხვევა მიუღებელია და არ უნდა დარჩეს პასუხგაუცემელი. ჩამდენებმა უნდა აგონ პასუხი“.

ნებისმიერი საპასუხო ქმედების მიზანი იქნება შეზღუდული...

პრეზიდენტს ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება, როგორი უნდა იყოს საპასუხო ქმედება.

მიუხედავად ამისა, ნებისმიერი საპასუხო ქმედება იქნება კონცენტრირებული რეჟიმის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებაზე.

აუცილებელია მკაფიო გზავნილი მიეწოდოს ასადს, მის მოკავშირეებს და მსოფლიოს, რომ ქიმიური იარაღის გამოყენება არ დარჩება პასუხგაუცემელი.

ეს მნიშვნელოვანია იმ მიზნის მიღწევისთვის, რომ შეწყდეს ქიმიური იარაღის გამოყენება სირიაში, შენარჩუნდეს ადამიანების სიცოცხლე და გახდეს შემაკავებელი ფაქტორი ქიმიური იარაღის გამოყენებისთვის სხვების მიერ მომავალში.

ეს არ არის 2003 წ. ერაყი...

პრეზიდენტი განიხილავს საპასუხო ქმედებას, რომელიც იქნება შეზღუდული, მორგებული და კონცენტრირებული ქიმიური იარაღის საკითხზე.

პრეზიდენტმა მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი არ განიხილავს სამხედრო ინტერვენციას განუსაზღვრელი საბოლოო ვადით, რომელიც მიმართული იქნება რეჟიმის ცვლილებაზე, ასევე იგი არ განიხილავს აშშ-ის სახმელეთო ოპერაციას.

ეს არ არის ერაყი ან ავღანეთი (სახმელეთო ძალების მონაწილეობა) ან ლიბია (ხანგრძლივი საჰაერო კამპანია).“ — ნათქვამია განცხადებაში.

ამ ფონზე, საფრანგეთი სირიის მთავრობის წინააღმდეგ მარტო ვერ იმოქმედებს. „როიტერის“ ინფორმაციით, ამის შესახებ საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, მანუელ ვალსმა განაცხადა.

მისი თქმით, სირიის კონფლიქტში სამხედრო ჩარევასთან დაკავშირებით აუცილებელია საფრანგეთი ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილებას დაელოდოს. „საფრანგეთი ვერ შეძლებს ამაზე მარტო წავიდეს. ჩვენ გვჭირდება კოალიცია“, — აღნიშნა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა.

ოფიციალური დამასკო ირწმუნება, რომ დასავლეთის ნებისმიერ აგრესიას შეეწინააღმდეგება, ბაშარ ასადის შემდეგ განცხადება ამის შესახებ სირიის პრემიერმაც გააკეთა. ხელისუფლებამ მზადყოფნაში მოიყვანა ქვეყნის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემაც.

„ჩვენი არმია მზად არის წინ აღუდგეს ყველა გამოწვევას, მოვლენათა განვითარების ნებისმიერი სცენარისთვის ვემზადებით. მთავრობამ უკვე მოახდინა საზოგადოების უზრუნველყოფა საკვებიდან მედიკამენტების ჩათვლით“, — აცხადებს სირიის პრემიერ-მინისტრი ვაელ ალ ჰალკი.

სამხედრო ოპერაციის დასაწყებად მზად არის შეერთებული შტატების არმიაც, თურქეთის ავიაბაზაზე გუშინ საღამოს დამატებით 4 სატვირთო თვითმფრინავი დაეშვა. კრიზისთან დაკავშირებთ სატელევიზიო მიმართვა გაავრცელა თურქეთის პრემიერ მინისტრმაც, რომელმაც გაეროს უშიშროების საბჭო მკაცრად გააკრიტიკა.

„სამწუხაროდ გაეროს უშიშროების საბჭოს არანაირი გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია იმ ორი ქვეყნის გამო, რომელთა პოზიციაც ამ პროცესს ბლოკავს, უშიშროების საბჭო უფუნქციო ორგანო გახდა, ამიტომ გადავწყვიტეთ ერთად ვიმოქმედოთ სირიისათვის, სადაც 100 ათასზე მეტი ადამიანი მოკლეს, დრო დადგა ხალხის ხოცვა შეწყდეს“, — განაცხადა თურქეთის პემიერმა რეჯებ ტაიპ ერდოღანმა.

რომის პაპმა ფრანცისკომ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტი დაგმო და კათოლიკეებს მოუწოდა 7 სექტემბერს ამ ქვეყნისთვის ილოცონ.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, პონტიფიკმა მიანიშნა, რომ იგი არ ეთანხმება სირიის კონფლიქტში სამხედრო ჩარევას, რასაც მაჟამად აშშ-სა და საფრაგნეთში აქტიურად განიხილავენ.

„მე მაწუხებს ვითარების დრამატული განვითარების პერსპექტივა“, — განაცხადა პაპმა.

მან „ყველა კეთილი ნების ადამიანს“, ყველა მორწმუნეს სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიებიდან მოუწოდა შეუერთდნენ 7 სექტემბრის ლოცვას, როდესაც სირიაში მშვიდობისათვის სპეციალური ლოცვა ჩატარდება.

სირიაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„2013 წლის 29 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის ცნობილი გახდა, რომ სირიის არაბთა რესპუბლიკაში იმყოფებიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ითხოვდნენ დახმარებას სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობის მიზნით.

30 აგვისტოს საქართველოს 18 მოქალაქემ განაცხადა სამშობლოში დაბრუნების თანხმობა და ითხოვა დახმარება, ქ. ბეირუთიდან ქ. თბილისის მიმართულებით ბილეთების შეძენაში. 30 აგვისტოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მოქალაქეებისთვის შეიძინა 2013 წლის 1 სექტემბრით დათარიღებული ავიაბილეთები ბეირუთი-ქაიროთბილისის მიმართულებით.

31 აგვისტოს, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მოქალაქეებს, როგორც ისინი თავად აცხადებენ, არ სურთ სირიის ტერიტორიის დატოვება 2013 წლის 5 სექტემბრამდე, რამაც, შესაძლოა, სამინისტროს შეუქმნას სერიოზული სირთულეები მომავალში, მოქალაქეების საქართველოში უსაფრთხოდ გადმოყვანის კუთხით.

სამინისტრომ, ისევე როგორც საქართველოს საელჩომ ქ. ქაიროში, მაქსიმალურად გამოიყენა საქართველოს მოქალაქეთათვის დახმარების დროულად აღმოჩენის არსებული ყველა რესურსი და მოუწოდებს საქართველოს მოქალაქეებს, სასწრაფოდ დატოვონ სირიის ტერიტორია“, — აღინიშნულია განცხადებაში.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

### ნადია ართილაყვა-მზარელუას ხსოვნას!

ჩვენო კეთილშობილო, გულისხმიერო, ჰუმანურო, ყველასთვის საყვარელო ნადია ბებია! ნათელში გამყოფოს უფალმა შვილიშვილ მერაბთან, შვილებთან — ლენასთან და ბუტუშასთან, მეუღლე ბათუსთან, რძლებთან — ლალასა და ნინასთან, სიძე შურასთან და და-ძმებთან ერთად!

მუდამ ჩვენთან ხარ, ჩვენო ტკბილო, გამზრდელო ბებია!

*შვილიშვილები კუსუნა, გოჩა მზარელუები*

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

## TV პროგრამა

### ორშაბათი 2 სექტემბერი

08.00 დ/ფ "გაზაფხული დაკვირვების ქვეშ" 09.00 საბ. მხ/ფ **"ფიქრები თავისუფლებაზე"** 10.30 ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" ფ 11.00 "გურმანია" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 ან/ფ "ვაშლის მარცვალი: EX მანქანა" 14.30 დ/ფ "წიგნის მშვენება" 15.00 ტ/სერ. **"ჭორიკანა"** 17.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 18.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" 19.05 ტ/სერ. "მაგდა ემი" 21.00 ტ/სერ. "ზღვარს მიღმა" 22.00 მხ/ფ " ბნელი რაინდი"

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "კატმანდუ" 08.30 მხ/ფ **"მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად"** (პ.ვილაჯო) 10.00, 14.00, 19.00, 22.00 ტ/სერ. **"დეტექტივი"** 11.00 დ/ფ "ამფორების გზა" 12.00 მხ/ფ **"ის ჩემზე უარესია"** (ა.ჩერლენტანო) 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები". 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ **"ნახვამდის პოლუჩს"**

08.00 ფორტ ბოიარი 09.00 ან/ფ "სპანჯბობი" 10.00 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** . 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. **"ცივი გული"** 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50, 18.50, 19.05 სერ. **"მაგნატები"**. 21.00 სერ. **"დაბრუნება"** 22.00 ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) 23.00 ქ.სერ. **"ცხელი ძაღლი"** 00.15 მხ/ფ. **"თავშესაფარი"**

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 მხ/ფ "GHOST BUSTERS" 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ **"ახალი არკადია "** 14.00 სერ **"ერთგულების ძალა"** 15.30 შერეკილები. 17.00 სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** 18.50 სერ. **"ტიტების დრო"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 00.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 00:30 შიშის ფაქტორი 01.30 მხ/ფ

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.50 მხ/ფ **"დედუნა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ **"აბეზარა"** 13.20 ქართული მულტფილმი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.00 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი - **"შეთქმულება"** 17.20 კონცერტი - გიორგი ლეგეტი 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.45 ველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"მოიტაცეს თამარ ქალი"** 20.40 ძილი ნებისა 21.20 სღვთისმეტყველო საუბრები 22.25 "მთავარსარდალი" დავით აღმაშენებელი" I ნაწ. 22.45 ჩვენი ფონდი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ცასწავალა" გოდერ.ი ჩოხელი 00.30 განთიადის სტუმარი 00.50 მხ/ფ **"ათოვდა ზამთრის ბაღებს"** I ნაწ. 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30 მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) 10.15, 16.00 **სერ. "ღრუბლებს მიღმა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.40, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 14.40, 22.00, 4.30 "ყოველდღიური ამბები" (გამ.) 19.00 **სერ. "1001 ღამე"** 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე 2.30 მაგთიფანი (გამ.)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 სექტემბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6615 |
| ევრო | 2,1993 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5742 |
| 100 რუსული რუბლი | 4,9974 |

**ამინდის პროგნოზი 2 სექტემბრისთვის**




**მალე! მალე! მალე!**

**ლეგენდარული ქართული დეტექტივის „მგლის ბილიკის“, გაგრძელება**

**„შავი ვარდი“**

**„ახალ თაობასთან“ ერთად**

## ია ფარულავა „ნიჭიერის“ ჟიურიში დაჯდება

ეკა ირემაშვილი

მსახიობი და ტელეწამყვანი ია ფარულავა ახალ სატელევიზიო სეზონზე „რუსთავი 2“-ის სახე გახდება და შოუ „ნიჭიერის“ ჟიურიში მომღერალ სოფო ნიჟარაძეს ჩაანაცვლებს. როგორც მსახიობმა აღნიშნა, მან უკვე დაასრულა მოლაპარაკებები „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორთან. იქნებიან თუ არა ჟიურიში კვლავ გეგა ფალავანდიშვილი და ვანო ჯავახიშვილი, ეს ჯერჯერობით უცნობია.

მანამდე ია ფარულავა „ფეისბუქში“ აქტიურად წერდა, რომ თუკი კარგად გადაუხდიდნენ, ის „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურიში დაჯდებოდა:

– ჟურნალისტები მირეკავენ, ვიქნები თუ არა ახალ „დღის შოუში“ („იმედზე“) და ასევე „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურიში – პასუხი: „დღის შოუში“ არ ვიქნები, არც ყოველდღე და არც კვირაში ერთხელ (რაც არ უნდა გადამიხადონ), ხოლო თუ კარგად გადამიხდიან, ჟიურში დავჯდები. აიტაცეთ, ჰე, – დაწერა ია ფარულავამ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

როგორც ჩანს, ია ფარულავა „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე სეზონის ჟიურიში ორგანიზატორებმა არ მიიწვიეს, ამიტომაც ის სამუშაოდ „რუსთავი 2“-ში გადავიდა.

ორიოდე დღის წინ მსახიობმა კვლავ მიიქცია საზოგადოების ყურადღება თავისი მორიგი განცხადებით:

– მოკლედ, ატყდა ვაივიში საიტებზე, დედააააა, ხალხი რა ბოროტია, დასვეს ნიჭიერში, რომ მიშა აქოს და ადიდოსო. ეგ როგორ უნდა ნეტა? მასწავლონ ერთი, ნუ, თუ ვინმე საშინლად გარეპავს ან ისეთ ფოკუზს გააკეთებს – ჯერ ჩამოყრის ციდან ფულს და მერე უცებ გააქრობს, – წერს მსახიობი.



რიგით მეოთხე შოუს ეთერში გასვლამდე „ნიჭიერის“ ორგანიზატორებმა მთელი საქართველო მოიარეს და ყველა სოფელსა თუ ქალაქში ნიჭიერები შეარჩიეს. სახალხო პროექტად აღიარებულმა შოუმ დასკვნით შერჩევა პირველ სექტემბერს თბილისში გამართა.

გოთ ტალენტ ფრენჩაიზი ბრიტანული ტელეფორმატია, რომელიც სიმონ კოუელის კომპანია „საიომ“ შეიმუშავა. დღესდღეობით შოუ 30-ზე მეტ ქვეყანაში გადის. 2010 წლის პირველი თებერვლიდან კი ამ ქვეყნების სიას საქართველოც შეემატა – შოუს ჩვენთან „ნიჭიერი“ ჰქვია.

– „ნიჭიერის“ შესარჩევი კასტინგი პირველად 2010 წელს, საქართველოს 24 ქალაქში ჩატარდა და მონაწილეობა დაახლოებით 7 ათასმა ადამიანმა მიიღო. მეორე, 2011 წლის სეზონში კი მონაწილეების მსურველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. შოუში არ არის ასაკობრივი შეზღუდვა – „ნიჭიერის“ ყველაზე პატარა მონაწილე 3 წლის, ხოლო ყველაზე ასაკოვანი – 86 წლისაა. გარდა ამისა, „ნიჭიერი“ ერთადერთი შოუა, სადაც კასტინგებს ესწრება ცოცხალი აუდიტორია, – აცხადებენ „ნიჭიერის“ ორგანიზატორები.

მათივე თქმით, „ნიჭიერი“ გახდა ქართული ტელესივრცის რეკორდსმენი და ისტორიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი აუდიტორია ყოველი გადაცემის დროს, სწორედ ამ შოუს უყურებდა.

პროექტის წესები უცვლელია: პირველი ეტაპზე მონაწილე წარდგება დარბაზისა და ჟიურის წინაშე. ნომრის მიმდინარეობისას ჟიურის წევრებს შეუძლიათ გამოხატონ უკმაყოფილება და დააჭირონ წითელ იქსს. თუ სამივე იქსი წითლად აინთო, ამ შემთხვე-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ეროვნულ გალერეაში ვიზუალური ხელოვნების ფესტივალი გაიხსნა

ეკა ირემაშვილი



საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „პუნცტუმ კონტრა პუნცტუმ II“ საზეიმოდ გახსნა.

როგორც ეროვნულ მუზეუმში განმარტეს, პროექტი „პუნქტუმ კონტრა პუნქტუმ II“ წარმოადგენს იმ წინააღმდეგობრივი კონტექსტების რეპრეზენტაციას, რომელსაც დასავლეთევროპელი, ამერიკელი, ლათინოამერიკელი თუ ქართველი ხელოვანები სთავაზობენ დამთვალიერებელს, თანაც მრავალფეროვანი და განსხვავებული მედიატექნოლოგიების დახმარებით, იქნება ეს ფერწერა, ქანდაკება, ფოტოგრაფია, შუქით მხატვრობა, ვიდეოარტი, ფოტოკოლაჟი, თუ მულტიმედია.

– „პუნქტუმ კონტრა პუნქტუმ“-ის მიზანი ქართული მედია-არტის და ზოგადად სახვითი ხელოვნების დიაპაზონის გაფართოება და მისი მსოფლიო სახელოვნებო სივრცეში დამკვიდრებაა. პროექტი გზას უხსნის უცხოელ და ქართველ პროფესიონალებს შორის თანამშრომლური ურთიერთობების ჩამოყალიბება-განვითარებას, – ითქვა ფესტივალის გახსნაზე.



ვიზუალური ხელოვნე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ბარაკ ობამამ სირიაზე სამხედრო იერიშის გადაწყვეტილება მიიღო

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა სირიაზე სამხედრო დარტყმის გადაწყვეტილება მიიღო. „მე მივიღე გადაწყვეტილება სირიის წინააღმდეგ გამოვიყენო სამხედრო ძალა“, – განაცხადა ობამამ. მისივე თქმით, აპირებს ამ საკითხზე ნებართვისთვის კონგრესს მიმართოს. სირიის შესახებ საკითხი კონგრესის სესიაზე გავა, რომელიც 9 სექტემბერს უნდა დაიწყოს. ობამას განცხადებით, ვაშინგტონი აპირებს სირიასთან დაკავშირებით გაერო-ს უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე იმოქმედოს. „ჩვენ შეგვიძლია გავაგრძელოთ სვლა წინ გაერო-ს უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშეც, რომელიც მთლიანად პარალიზებულია და არ სურს ბაშარ ასადის პასუხისგებაში მიცემა“,-აღნიშნა ობამამ.



ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში სირიის პრობლემაზე დებატები 9 სექტემბერს დაიწყება, – ამის შესახებ აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერმა, ჯონ ბონერმა განაცხადა.

„ჩვენ ველოდებით, რომ წარმომადგენლობითი პალატა ამ საკითხს 9 სექტემბრიდან ერთი კვირის განმავლობაში შეისწავლის“,-აღნიშნა ბონერმა. მისივე თქმით, კონგრესმენები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმით, რომ პრეზიდენტმა სირიაში საბრძოლო ქმედებების განხორციელებისთვის ნებართვა მათ სთხოვა.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა სირიის საკითხის განხილვას პეტერბურგში, 4-5 სექტემბერს დაგეგმილ „დიდი ოცეულის“ სამიტის მონაწილეებთანაც გეგმავს.

ამასთან, ტელეკომპანია „ფოქს ნიუსი“ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსან წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციას ავრცელებს, რომ პრეზიდენტ ობამას სირიაზე იერიშის დაწყება იმ შემთხვევაშიც შეუძლია, თუკი კონგრესისგან ნებართვას ვერ მიიღებს. წყაროსვე ინფორმაციით, ბარაკ ობამამ სირიაზე სამხედრო იერიშის გადაწყვეტილება დამოუკიდებლად, თანაშემწეებთან კონსულტაციების გარეშე მიიღო.

გაზეთი „ნიუ იორკ თაიმსი“ იუწყება, რომ „ეფბიაიმ“ გააძლიერა თვალთვალი აშშ-ში მცხოვრებ სირიელებზე – ინტენსიურად აგროვებენ მათზე მასალებს. უწყების თანამშრომლები უახლოეს დღეებში აპირებენ გაესაუბრონ აშშ-ში დამკვიდრებულ ათასობით სირიელს.

„ეფბიაი“ შიშობს, რომ სირიაზე დარტყმის შემთხვევაში, ამერიკელთა მოქმედებას შესაძლებელია მოჰყვეს ტერორისტული თავდასხმები ამერიკელ მოქალაქეებზე, კომპანიებსა და ორგანიზაციებზე – მათ შორის, ჰაკერული თავდასხმებიც.

გაზეთი შეახსენებს მკითხველს, რომ ლიბიის წინააღმდეგ 2011 წლის საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის დროს „ეფბიაის“ თანამშრომლები შეხვდნენ დაახლოებით ათასამდე ლიბიელს.

მას შემდეგ, რაც აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამა სირიაში სამხედრო ოპერაციების დაწყების გადაწყვეტილება მიიღო, საპროტესტო აქციები ქვეყნის რამდენიმე ქალაქსა და დიდ ბრიტანეთში გაიმართა. აქცია გაიმართა თეთრ სახლთანაც. აქციის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ შტატებს ახალი ომი არ სჭირდება, ამაზე დიდი ოდენობის თანხები დაიხარჯება და მას უდანაშაულო სირიელი ხალხი შეეწირება.

„იგივე განმეორდება, რაც ერაყის შემთხვევაში მოხდა. ჩვენი ჯარები ავღანეთიდან და ერაყიდან უნდა გამოვიდნენ. სირიაში ომს უკანონოდ მივიჩნევთ, ეს საშინელი დანაშაული იქნება“, – აცხადებენ ობამას გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოსული ამერიკელები.

ამერიკული კონსტიტუციით პრეზიდენტს აქვს უფლება დაიწყოს სამხედრო ოპერაცია კონგრესის თანხმობის გარეშე, თუმცა ობამა აღნიშნავს, რომ კონგრესის თანხმობა და დებატები ამ საკითხზე პოლიტიკურად ძალიან მნიშვნელოვანია.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ ქიმიურ თავდასხმაში ბაშარ ასადის რეჟიმის ბრალეულობის მტკიცებულებები წარმოადგინა და აღნიშნა, რომ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## კროსვორდი

**თარაზულად:** 5. ავადმყოფის ორგანოების ხელით გასინჯვა; 6. ფორტეპიანოს ავტომატურად დამკვრელი მოწყობილობა; 8. ზოგი მცენარის სქელი, სურნელოვანი წვენი; 10. კარელია-ფინეთის ხალხური ეპოსი; 11. ერთად აკინძული სურათების კრებული; 13. ვულკანის ჩაღრმავება; 16. სეიშელის კუნძულების დედაქალაქი; 18. ცირკის მოედანი; 19. ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 21. თარაშ ემხვარის ცხენი; 22. რისამე დამახასიათებელი ნიშანი; 23. ტროპიკული გიგანტური ხე.

**შვეულად:** 1. მაგნიტური ნაკადის საზომი ერთეული; 2. ... და ქარიბდა; 3. ოპტიკური ხელსაწყო ქვემეხის დამიზნების დასახუსტებლად; 4. ერთგვარი დარაბა ან შტორი; 7. მინანქარი; 9. ზღვის დიდი კიბო; 12. ობობასებრი ცხოველები; 14. სულდგმული ქმნილება; 15. ერთგვარი ტკბილეული; 17. შარდმჟავას მარილები; 20. სატრფიალო პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




## კახელიშვილი და დევდარიანი დასაჯეს

ქართული ფეხბურთის ქომაგებს უთუოდ ემახსოვრებათ, რომ 25 აგვისტოს ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურში ბოლნისის „სიონმა“ ლანჩხუთის „გურიას“ თბილისში, „მიხეილ მესხზე“ უმასპინძლა. მატჩის 45-ე წუთზე უსიამოვნო ინციდენტი მოხდა „გურიას“ მარჯვენა მცველ არნო ჩუენსუსა და „სიონის“ ნახევარმცველ გიორგი კახელიშვილს შორის. ჩუენსუმ კახელიშვილის წინააღმდეგ დაარღვია თამაშის წესები, კახელიშვილმა კი საპასუხოდ გვერდით მიმავალ ჩუენსუს ფეხი განზრახ ჩაარტყა და წააქცია. მსაჯმა დავით სანოძემ არაადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო – იმის მაგივრად, რომ კახელიშვილი მოედნიდან გაეძევებინა, ყვითელი ბარათი, სიტუაციის გასარკვევად მისულ „გურიას“ მეკარე მინდია ბობღიაშვილს უჩვენა. თუმცა, ხსენებულ მატჩში მსაჯების დამკვირვებელმა მერაბ მალაღურაძემ მომხდარი დააფიქსირა და სადისციპლინო კომიტეტს სამსჯელოდ გადასცა.



სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, გიორგი კახელიშვილი 3 მატჩს გამოტოვებს და, ამასთანავე 500 ლარს გადაიხდის, ხოლო მინდია ბობღიაშვილს ყვითელი ბარათი გაუუქმა.

მსაჯთა ბრიგადას (სანოძე, სადილიანი, კუპატაძე, სილაგავა, კრიჭაშვილი, ნონიკაშვილი) გარკვეული ვადით აეკრძალათ უმაღლესი ლიგის თამაშების მსაჯობა.

ასევე 3 მატჩით დასაჯეს გორის „დილას“ მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი და 600-ლარიანი ჯარიმის გადახდაც დააკისრეს. დევდარიანმა ეს სასჯელი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მე-2 ტურში, თბილისის „დინამოსთან“ მატჩში (1:1) მთავარი არბიტრის თორნიკე გვანცელაძის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მიიღო.

მ. ჟ.

## ასტროპროგნოზი 2 სექტემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**
**შემოქმედებითი დღეა**

**ვერძი** – დიდი სიხარული გელით, ეს დღე არ დაგავიწყდებათ. **კურო** – ფული გაქვთ, კიდევ ელოდებით. **ტყუპები** – დღეს თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** – საღამოს დიდი სიხარული გელით. **ქალწული** – გეგმები გეცვლებათ, საქმე კარგად მიდის. **სასწორი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, გადაღლილი ხართ. **ღრიანკალი** – ფულს იშოვით და პრობლემაც მოგეხსნებათ. **მშვილდოსანი** – თავს კრიტიკულად უყურებთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ. **თხის რქა** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **მერწყული** – კითხვა გაწუხებთ, პასუხს მალე მიაგნებთ. **თევზები** – საქმე კარგად წაგივათ, დაჯილდოვდებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

ლურჯი წითელი ყვითელი შავი